პარტიები საარჩევნო კანონპროექტზე მუშაობენ - ზოგი საიდუმლოდ, ზოგი საჯაროდ A3

თვითმფრინავების ვარდნის ტრაექტორია სახელმწიფოებრივი სინდისის მიღმა რჩება A5

მომავალი კვირის TV-პროგრამა B4-5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 3 აგვისტო 2002 წელი. №62

ფასი 50 თეთრი

# დღესასწაული საბრძოლო განწყობით

**„აფხაზეთის ომმა გვაჩვენა, ბრძოლა და არმია სულ სხვა რამაა, ვიდრე ბევრი ფიქრობდა. ეგონათ, შავ სათვალეს გავიკეთებთ, ავტომატს გადავიკიდებთ, ხელყუმბარებს ავიღებთ და მორჩა, უკვე ნამდვილი მეომრები ვართო. ომის მოგება ასე არ შეიძლება. ქართველი მხედართმთავრები ბრძოლას პატარა არმიით იგებდნენ და ეს მხოლოდ მათი სწორი ტაქტიკის დამსახურება იყო. სამეთაურო საშტაბო სწავლებამ სწორედ ეს ტაქტიკა ასწავლა ქართველ ოფიცრებს, აჩვენა, როგორია ჯარის თანამედროვე მსოფლიო სტანდარტები, როგორ ხდება მეთაურის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღება და ვითარების მართვა“,** - აცხადებს გენერალი გივი იუკურიძე, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექტორი, რომელიც თავად მონაწილეობდა სამეთაურო საშტაბო სწავლებაში.

სამეთაურო საშტაბო სწავლება გუშინ საზეიმოდ დაიხურა თავდაცვის ეროვნული აკადემიის შენობაში. ამით დამთავრდა 27 მაისს დაწყებული „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ პირველი ეტაპი. დილიდან აქ დიდი მზადება იყო, ცერემონიას ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ესწრებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე





*შემხვედრი ინტერესები - ქართველი და ამერიკელი ოფიცრები თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში.*

ბესო გულაშვილის ფოტოები

რას შეცვლის ფესვები - დღევანდელ რეალობას თუ "მოქკავშირს"? A2

საქართველო ფეოდალიზმში ბრუნდება A2

შარაძე სასამართლოს უტევს A2

ხიზრი ალდამოვი პანკისის გაწმენდას გვპირდება A3

შეუძლია თუ არა ამერიკას, საგარეო პოლიტიკის შეუცვლელად შეიცვალოს იმიჯი A5

პოლიტიკური მანევრები კასპიის ზღვაზე A5

თქვენ დაიფარეთ ბავშვები, ქუჩებო! A6

"თბილწყალკანალი" მევალეებს ურიგდება A6

პანკისში დაკავებული სამი რუსი ვინაობას მალავს A7

"ალფადან" პენტაგონის პროგრამამდე A7

ახმეტელები ალაპარაკდნენ A7

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ქრონიკა A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | ☼ |
| ქუთაისი | 29 | ☁ |
| ბათუმი | 28 | ☁ |
| სოხუმი | 30 | ☁ |
| ფოთი | 29 | ☁ |
| თელავი | 31 | ☼ |
| ზუგდიდი | 31 | ☁ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.1607 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4243 |
| რუბლი | 0.0694 |

# ქართული არმიის ქაოსი ამერიკის ინტერესებს საფრთხეს უქმნის

კობა ლიკლიკაძე,

"რადიო თავისუფლება", პრაღა

სპეციალურად "24 საათისათვის"

გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე, საქართველოში მიმდინარე პენტაგონის "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა კვლავაც რჩება საერთაშორისო ექსპერტების ყურადღების ცენტრში. ამასთან, თუ საქართველოში ბევრი ეჭვის თვალით უყურებს არმიის მომავალს, უცხოელი ექსპერტები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ, ამერიკელთა დახმარებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა ამაღლდება. თუმცა, მიმომხილველებს არც იმის ხაზგასმა ავიწყდებათ, რომ პროგრამის წარმატება, პირველ ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეა დამოკიდებული. ამ პრობლემას მიეძღვნა საინტერნეტო გამოცემა "იურეიზია ვიუ"-ში 29 ივლისს გამოქვეყნებული ტომას ბრეიდის (პოლიტოლოგი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ფრაქცია "აბრეშუმის გზის"თანათავმჯდომარის, სენატორ სემ ბარუნბეკის მრჩეველი საკანონმდებლო საკითხებში) სტატია.

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგად, საკუთარი ინტერესების კიდევ უფრო მეტი ენერგიულობით წარმოჩენა, ამერიკის საგარეო პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანად იქცა. თანაც, ეს ახალი ორიენტირი არა მხოლოდ ეროვნული კათარზისის თვალსაზრისთ აღმოჩნდა მეტად მნიშვნელოვანი, არამედ უნიკალური შესაძლებლობა მისცა სხვა ქვეყნებსაც, შეეცვალათ საკუთარი მიდგომები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაუნინგ სტრიტიდან ფრანგულ წისქვილში

## პირველი პირების საოცნებო კურორტები

B1



*მამა-შვილის უიკენდი.*

# მაგთიGSM-ში პარტნიორი, შეიძლება, შეიცვალოს

**ექსპერტები მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე კონკურენციის გააქტიურებას 1-1,5 წლის შემდეგ ელიან**

გვანცა კვინიკაძე

*საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის ბაზარი დიდი ცვლილებების მოლოდინშია. ამერიკული Metromedia-ს მიერ მაგთიGSM-ში თავისი წილის გაყიდვის სურვილის გაცხადებისა და "ჯეოსელის" დამფუძნებლის ("ფინტური") მეწილე კომპანიის - "სონერასა" და შვედური "ტელიას" შერწყმის პროცესის დასრულების შემდეგ, ამ სფეროში კარგა ხნის წინ დადგენილი ბალანსი, შეიძლება, დაირღვეს. მართალია, ეს ცვლილებები უახლოეს მომავლში მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ახლავე იძლევა სერიოზული განსჯის საფუძველს.*

მობილური კავშირგაბმულობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მომგებიანი დარგია. მისი ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მაჩვენებლის - მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპებს და მისი განვითარების სერიოზული პოტენციალიც არსებობს. საქართველოში მოქმედი სამი ოპერატორიდან (მაგთიGSM, "ჯეოსელი" და "მეგაკომი") არც ერთი არ აქვეყნებს ფინანსურ და საწარმოო მონაცემებს (მაგთიGSM მხოლოდ ბიუჯეტში შენატანების თაობაზე აქვეყნებს მონაცემებს და მოგება-ზარალის არასრულ ანგარიშებს), რაც ამ სექტორის შესახებ ინფორმაციის მიღებას მნიშვნელოვნად ართულებს. თუმცა, იმ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელსაც მაგთიGSM-ის შესახებ Metromedia (როგორც მისი საჯარო აქციონერი) აქვეყნებს, საინვესტიციო ბანკი "გალთ ენდ თაგართ სექიურითი" (გთს) ქართულ კომპანიას ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერად და მიმზიდველად მიიჩნევს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# მერაბ ადეიშვილს ქართული ავიაციის განადგურებაში ადანაშაულებენ

**ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, შესაძლოა, სასამართლო დარბაზში აღმოჩნდეს**

სოფო კვინტრაძე

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის, მერაბ ადეიშვილის წინააღმდეგ სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ასოციაცია სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ამასთან დაკავშირებით, ასოციაციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც ბოლოს მფრინავთა შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ასოციაციის პრეზიდენტის, ალბერტ ნურბეკიანის განცხადებით, სარჩელის შეტანის მიზეზი გახდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის, მერაბ ადეიშვილის მიერ საქართველოს ავიაციის მიზანმიმართული და ხელოვნური დანგრევა. მისი თქმით, ადეიშვილმა ხელი შეუწყო შპს "საქართველოს ავიახაზების" კუთვნილი ქონების განადგურებას, რაშიც საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ათეულობით სამოქალაქო თვითმფრინავის ჯართად დაჭრა და გაყიდვა იგულისხმება. სამოქალაქო ავიაციის პროფკავშირების თავმჯდომარე ჯემალ გოგიაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ თვითმფრინავებს კიდევ ჰქონდათ 20 წელი საექსპლუატაციო ვადა.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მზია ნარმანია. მისი განცხადებით, **"ის თვითმფრინავები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში დაფრინავდნენ, ძალიან დაძველდა. ამ ტექნიკას უკვე დაკარგული აქვს თავისი შესაძლებლობები. სახელმწიფოს კი იმის სახსრები არ გააჩნია, რომ მათი რემონტი განახორციელოს."**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 კალენდარი

B2 კულტურა B3 რეკლამა B4 - B5 TV-პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი..** საქართველოში 30 წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაფიქსირდა მუცლის ტიფის ინფექცია. როგორც შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროდან იტყობინებიან, ტიფით დაავადდა მარნეულის რაიონში მცხოვრები და-ძმა.

ავადმყოფები ამჟამად რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც ქართველი ინფექციონისტები ვარაუდობენ, დაავადება საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოვიდა, რის გამოც ბავშვები ინფიცირებულები აღმოჩნდნენ.

ეპიდემიის ადგილზე ეპიდემიოლოგების ჯგუფი გაემგზავრა. ექიმები ვარაუდობენ, რომ არსებობს ავადმყოფობის გავრცელების საშიშროება. დაავადებულთა მკურნალობის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

უკანასკნელად მუცლის ტიფის შემთხვევა 70-იანი წლების ბოლოს დაფიქსირდა, თუმცა, მაშინ ეპიდემია აღმოფხვრეს. ამჯერადაც ავადმყოფობა ანტიბიოტიკებით მკურნალობას ექვემდებარება.(კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** ქართული ავიაკომპანია "აირზენას" თვითმფრინავი გუშინ მოსკოვის "ვნუკოვოს" აეროპორტში დააკავეს.

აირზენამ ოფიციალური რადიოგრამა მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ საჰაერო ტრასა, რომელზეც უნდა გაიაროს თვითმფრინავმა, გადაკეტილი იყო მიმდინარე სამხედრო სწვლებების გამო.

რუსული მხარის არგუმენტი კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან დაახლოებით იგივე მარშრუტით იფრინა სომხურმა თვითმფრინავმა. აეროპორტში თავშეყრილი არიან მოსკოვიდან ჩამომსვლელთა ნათესავები და ისინიც, ვინც მოსკოვში უნდა გაფრინდნენ.

ავიაკომპანიაში აცხადებენ, რომ ისინი აპირებენ, რუსულ მხარეს მიყენებული მორალური და ეკონომიკური ზარალის ანგარიში წარუდგინონ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ვიცე-პრემიერი რაულ ხაჯინბა საქართველოს "სუვერენული აფხაზეთის" წინააღმდეგ აგრესიის მცდელობაში ადანაშაულებს. როგორც ხაჯინბამ გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მისიის ხელმძღვანელთან ყაზი აშფაკთან შეხვედრისას განაცხადა, "ქართული შეიარაღებული ფორმირებები ბოლო დროს აფხაზეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეჭრას ცდილობენ." მისი თქმით, განსაკუთრებული მუქარა კოდორის ხეობიდან მოდის, სადაც 1000-მდე სხვადასხვა ფორმირების სამხედრო პირია დაბანაკებული. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი გერმანე ფაცაცია ევროპაში განლაგებული ნატოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდლის და აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი თავმჯდომარის, 65 წლის ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის საქართველოში მოწვევისა და მისი 2005 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის, აგრეთვე, შალიკაშვილის მხარდამჭერი მძლავრი საერთო სახალხო მოძრაობა "აღმოსავლეთ-დასავლეთი: ისტორიული საქართველოსთვის" დაფუძნების ინიციატივით გამოდის.

ფაცაცია მიიჩნევს, რომ შალიკაშვილი შეძლებს გახლეჩილი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური სულისა და სხეულის გამთლიანებას და ორი დაპირისპირებული ქართველის შერიგებას.

ფაცაციას არ აინტერესებს, იცის თუ არა ქართული ენა შალიკაშვილმა. მისი თქმით, "საკმაო დროა იმისთვის, რომ გენეტიკურმა ქართველმა როგორმე მოახერხოს ენის შესწავლა".

საპარლამენტო ფრაქცია „სოციალისტის" ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი ამ იდეას მისაღებს, თუმცა არარეალურს უწოდებს (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი**. მალე ქართული მართლმადიდებლური ენციკლოპედია გამოვა. მასში ამომწურავი ინფორმაცია იქნება საქართველოში მართლმადიდებლობისა და საეკლესიო ძეგლების შესახებ. ენციკლოპედიის შესადგენად სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივით აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე გამოდის. იგი აღაშფოთებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ რუსეთის მიერ მომზადებულ ენციკლოპედიაში ხშირად ქართული მართლმადიდებლური ძეგლების შესახებ უზუსტობები და ინსინუაციები იბეჭდება. კერძოდ კი, რუსების მიერ მომზადებულ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიაში ქართული ეკლესიები რატომღაც სომხურად არის მოხსენიებული.

კომისიაში, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის გამოშვებაზე იმუშავებს, შევლენ საქართველოს საპატრიარქოს, ისტორიკოსების, არქეოლოგების და სხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. გამოცემა მთელი მსოფლიოსათვის მისაწვდომი გახდება და აუცილებლად გამოვა ინგლისურ ენაზე.(კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** 11 სექტემბერს ვაკის პარკი უმასპინძლებს აქცია-კონცერტს - "არა ტერორიზმს". აქცია ეძღვნება 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში დაღუპულთა ხსოვნას.

აქციის ორგანიზატორები ამერიკის საელჩოსთან ერთად არიან თბილისის კულტურის საქალაქო სამსახური და ქალთა საერთაშორისო მოძრაობა "თეთრი მანდილი".

ვაკის პარკის საპროტესტო აქცია 18:20 საათზე ჩატარდება. ამ დროს ნიუ-იორკში 10:20 საათი იქნება, დრო, როცა პირველი აფეთქებები მოხდა.(კავკას-პრესი)

■ ■ ■

**ერევანი..** რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები ყოველთვის ახდენდა გავლენას ჯავახკის მოსახლეობაზე. ამის მთავარი მიზეზია ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზა, - აცხადებს "ჯავახეთის" სათვისტომოს თავმჯდომარე ოვანეს აივაზიანი.

მას მიაჩნია, რომ სომხური მოსახლეობის საქართველოს ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ნორმალური და ასატანია.

აივაზიანის აზრით, არ შეიძლება რეგიონში არსებული პრობლემების სოციალურ-ეკონომიკურ სიბრტყეზე გადატანა. ძირითადი პრობლემა მოსახლეობის უსაფრთხოებაა, რის გარანტიასაც აქაური მოსახლეობისათვის ახლქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზა წარმოადგენს. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ჯავახკის სომხური მოსახლოება არ ენდობა საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც რეგიონში საუკუთარ ეროვნულ პოლიტიკას ატარებს,- აცხადებს აივაზიანი. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების უმეტეს ნაწილს სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობაში აბანდებენ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარატმენტის ცნობით, წლის დასაწყისიდან გამოყენებულია 57,8 მილიონი ლარი უცხოური ინვესტიცია, რომელშიც ქვეყნების მიხედვით რიგი ამგვარად ნაწილდება - აშშ (50,2%), გაერთიანებული სამეფო (8,1%), კანადა (22,3%), რუსეთი (14 %) და საფრანგეთი (5,4%).

2002 წლის პირველ ნახევარში დამთავრდა 210 ობიექტის მშენებლობა, რომელთა შორის აღსანიშნავია 143 ადგილიანი სასტუმრო "თბილისი-მარიოტი". შესრულებული სამშენებლო სამუშაოების 81,8% არასახელმწიფო ორგანიზაციებზე მოდის. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**ფოთი.** „ქალაქ ფოთთან, მდინარე რიონზე არსებული წყლგამყოფი კვანძის კაშხლის დაზიანების გამო ყოველ წუთს ავარიაა მოსალოდნელი,"- აცხადებს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების პრობლემების საბჭოს მდივანი ოთარ სიჭინავა.

კაშხალი სერიოზულად არის დაზიანებული და სასწრაფო შეკეთებას მოითხოვს. ნაგებობა 40 წელზე მეტია, ფოთს წყალდიდობებისგან იცავს. ის ასევე, ხიდის ფუნქციას ასრულებს და ბოლო 10 წლის განმავლობაში ფოთი-თბილისის მიმართულებით ევრაზიის ტვირთების უწყვეტი ნაკადის გატარებას უზრუნველყოფს.

სიჭინავას განცხადებით, ჯერ კიდევ 2000 წელს წყალპროექტისა და საწყალეკოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტის ერთობლივმა საველე ექსპედიციამ ჩაატარა ანალიზი, რითაც დადასტურა კაშხლის კრიტიკული მდგომარეობა, რომელმაც მე-5, მე-6 ბურჯები ნებისმიერ დროს შეიძლება გამოიყვანოს მწყობრიდან. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციათაშორისი გაერთიანება "ევროპული კლუბის" წევრმა ვლადიმირ კოპტევ-დვორნიკოვმა ღია წერილი გაავრცელა. წერილში რუსმა დეპუტატმა ევროპელ პარლამენტარებს მოუწოდა, შეაჩერონ საერთაშორისო სამხედრო, ფინანსური და ეკონომიკური დახმარება საქართველოსათვის, რადგან ეს დახმარება, შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ და ტერორისტების სასარგებლოდ გამოიყენონ.

"რუსეთის ხელისუფლების პოზიცია პანკისის ხეობაში მომხდართან დაკავშირებით ცალსახაა - ჩვენი ქვეყანა ჩეჩენი ტერორისტების მხრიდან აგრესიის განხორციელების პირისპირ დადგა. საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას არ აქვს უნარი, შეაჩეროს მსგავსი ქმედებები და ეს არაერთგზის დადასტურდა. ამით საქართველო, ნებსით თუ უნებლიედ, ტერორიზმის ხელშემწყობი ხდება,"- ნათქვამია წერილში. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** დღეისათვის არსებული ქართულ-რუსული ურთიერთობების "ძალიან რთულ ფონზე" საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა ისეთ დონეზე არ ჩატარდება, როგორც მას საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებდა.

შექმნილ ვითარებაში მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ ორივე მხარემ უნდა გამოამჟღავნოს პოლიტიკური ნება ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით. "საქართველომ, თავის მხრივ, გადადგა ნაბიჯი, რომლის თანახმად უნდა შეიქმნას დაბომბვის ინცინდენტების გამოსაძიებლად ერთობლივი კომისია," - განაცხადა მენაღარიშვილმა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**სანკტ-პეტერბურგი..** რუსი სპორტსმენები ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე მზად არიან, სასამართლოს მიმართონ ამერიკული ტელეკომპანიების წინააღმდეგ, რომლებმაც გაავრცელეს ინფორმაცია სოტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებზე მათ მიერ მოპოვებული "სკანდალური ოქროს მედლის" შესახებ.

წყვილის აზრით, კანადელებს ისედაც აჩუქეს მედლები. სიხარულიძის აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ტელევიზიაში მათ ფოტოს კრიმინალური ავტორიტეტის ტაივანჩიკის სურათთან ერთად უჩვენებენ. როგორც ცნობილია, ტაივანჩიკი იტალიაში ოლიმპიადაზე მსაჯების მოსყიდვის ბრალდებით დააკავეს. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსი მესაზღვრეები საქართველოს ტერიტორიიდან ექსტრემისტთა შესაძლო შემოტევისთვის ემზადებიან. როგორც ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა კონსტანტინ ტოცკიმ განაცხადა, "ზუსტ მონაცემებს მესაზღვრეები ფლობენ იმის შესახებ, რომ 150-160 ბოევიკი მზად არის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შეჭრის მორიგი მცდელობისთვის".

ტოცკი შეშფოთებულია ბოევიკების გააქტიურებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის სხვა მონაკვეთებზეც. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** პოლიციის მხრიდან თავდასხმის შედეგად დაჭრილი მოზარდის მშობლებმა და ახლობლებმა "ნაძალადევის" მეტროსთან ცოტნე დადიანის პროსპექტი გადაკეტეს. ისინი ინცინდენტის ობიექტურად გამოძიებას ითხოვენ.

მოზარდი ჯერ კიდევ საავადმყოფოშია მოთავსებული. დაზარალებულის მშობლები აცხადებენ, რომ პოლიცია ხელს აფარებს თავის თანამშრომლებს და არ ატარებს ობიექტურ გამოძიებას. (კავკას-პრესი)

# რას შეცვლის „ფესვები" - დღევანდელ რეალობას თუ „მოქკავშირს?"

ვერიკო თევზაძე

*საზოგადოებრივი მოძრაობა "ფესვების" დამფუძნებლები, ძირითადად, ყოფილი კომკავშირის ცეკას აქტიური თანამშრომლები, შემდგომში სხვადასხვა თანამდებობებზე დაწინაურებული პირები და მათი შვილები არიან. ჯერ კიდევ გუშინდელ პრეზენტაციამდე საზოდოება ამ ორგანიზაციას უშუალოდ სამ პიროვნებას - ბაკურ გულუას, ნიკო ლეკიშვილს და ჟიული შარტავას ვაჟს, კახაბერ შარტავას უკავშირებდა. აღმოჩნდა, რომ ნიკო ლეკიშვილი და ბაკურ გულუა "ფესვების" გვერდით მდგომი შუაკაცები არიან.*



*გოგი ქავთარაძე და კახაბერ შარტავა.* ბესო გულაშვილის ფოტო

ბაკურ გულუა თავადვე აღიარებს, რომ ის მხარში ამოუდგება ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ექსმინისტრი არ მალავს, რომ "ფესვები" მომავალში პოლიტიკური ხასიათისა გახდება: **"მათ სჭირდებათ პოლიტიკური ძალა... ბაკურ გულუა არასოდეს იქნება ამ პარტიის წევრი, ვინაიდან იგი პოლიტიკური ორგანიზაციის – "რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირის თავმჯდომარე" გახლავთ. "ფესვებს" გვერდში დავუდგები, ჩვენ გვექნება ერთი მიზანი, გვეყოლება საერთო ამომრჩეველი."**

გამოდის, რომ "ფესვები" სერიოზულად ემზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის და მას ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია აქვს? - "24 საათის" ამ შეკითხვას ბაკურ გულუამ უყოყმანოდ და ამაყად უპასუხა: "დიახ!" გულუა არც იმას გამორიცხავს, რომ ისინი ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანდებიან, თუმცა, რატომღაც თავშეკავებულობას იჩენს და ამ ვარიანტს მაინც "შესაძლებელს" უწოდებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ "შესაძლებელი" ამ შემთხვევაში საკმაოდ რეალურია. აკი, თავად გულუა ბრძანებს - ჩვენ საერთო ამომრჩეველი გვეყოლებაო.

ნიკო ლეკიშვილი პრეზენტაციას არ ესწრებოდა, თუმცა, გულუას დარად, ისიც "ფესვების" "კოლეგიური დამფუძნებელია" (გულუა და ლეკიშვილი "ჟიული შარტავას ფონდის" გამგეობის წევრები არიან. გამგეობამ კი, როგორც "ფესვების" დამფუძნებლები აცხადებენ, ამ საზოგადოებრივი მოძრაობის იდეოლოგიური საფუძველი მოამზადა).

37 წლის კახაბერ შარტავა პრეზენტაციაზე საკმაოდ ზოგადი და პათეტიური იყო. "24 საათთან" საუბრისას მან განაცხადა: **"ჩემი აზრით, საქართველოში სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ძალაუფლების ინსტიტუტი არ არსებობს. ხელისუფლების ძალა ცალკე რჩება, ცალკეა სახალხო ლეგიტიმაციის უფლება. ნდობის ფაქტორი საერთოდ არ არსებობს. აუცილებელია, ძალასა და უფლებას შორის ნდობამ დაისადგუროს, რათა ძალაუფლება რეალურად არსებობდეს, ანუ უფლება გვქონდეს, ძალა განვახორციელოთ."**

მამის შესახებ კახაბერ შარტავა აღელვებული ლაპარაკობს: **"გულდასაწყვეტია, როცა ასე აუფასურებენ ჟიული შარტავას ღვაწლს და მის ამაგს შემთხვევითობას, პოლიტიკურ ინტრიგებს მიაწერენ. შარტავა შეგნებულად დადგა იქ, სადაც უნდა მდგარიყო. მან ისიც იცოდა, რისთვის კვდებოდა. სხვა დანარჩენი მე არ მაინტერესებს... ჟიული შარტავას მსგავს ადამიანს არ სჭირდებოდა, ვინმეს კონკურენტი ყოფილიყო. მას, უმუშევარსაც, ყოველგვარი თანამდებობის გარეშეც შეეძლო, ღირებული და საჭირო საქმე ეკეთებინა. ვიღაცის კონკურენტად ყოფნის უფლებას ის საკუთარ თავს არასოდეს მისცემდა. და თუ ვინმემ ამგვარი რამ თვითონ მოიგონა, ეს უკვე მისი პრობლემაა..."**

პრეზენტაციაზე რამდენჯერმე აღნიშნეს, რომ "ფესვები" მიზნად ისახავს "მამათა" და "შვილთა" შორის დარღვეული კავშირის აღდგენას, რომ იგი წინაპართა ტრადიციებს დაიცავს. ტრადიცია, რასაკვირველია, წარსულის პატივისცემას ნიშნავს, მაგრამ საინტერესოა, ამ შემთხვევაში წინაპრებში ვინ იგულისხმება? ამ კითხვაზე პასუხი კარგად ჩანს "რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირის თავმჯდომარის," გულუას მოსაზრებაში: **"არ შეიძლება იმ ადამიანთა იგნორირება, ვინც საბჭოთა კავშირის დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. შეუძლებელია, ამ ადამიანებს თავიანთი საქმიანობის დადებითი გამოცდილება არ ჰქონდეთ."**

შარტავა უმცროსის საპრეზენტაციო გამოსვლაში იგრძნობოდა, რომ მათ აქვთ პრეტენზია, სხვებს არ ჰგავდნენ. "ფესვების" დამფუძნებლებს არ სურთ, ისევე იტყუებოდნენ, როგორც სხვები იტყუებიან, ისევე მოიპარონ, როგორც სხვები იპარავენ. **"ამ ახალგაზრდებმა საქართველო უნდა შეცვალონ",** - ხმამაღლა აცხადებს "ფესვების" გვერდით მდგომი ბაკურ გულუა და კითხვაზე – მართალია თუ არა, რომ ეს საზოგადოებრივი მოძრაობა "მოქალაქეთა კავშირს" უნდა ჩაენაცვლოს? - ამგვარ "პასუხს" იძლევა: **"დღეს არ ღირს ამაზე ლაპარაკი."**

დაველოდოთ ხვალინდელ დღეს, რომელიც ზუსტად გვიჩვენებს, რას შეცვლის "ფესვები" – ჩვენს დღევანდელ ყოფას თუ "მოქკავშირს."

# საქართველო ფეოდალიზმში ბრუნდება

გიორგი ასანიშვილი

საქართველო სწრაფი ნაბიჯებით ბრუნდება ფეოდალიზმის ეპოქაში: ქვეყნის დაქუცმაცება, "გზებზე ავაზაკთა გახშირებული თარეში", ხალხის მოტაცება და მათი "გაყიდვა" პანკისის "ტყვეთა ბაზარზე", ცალკეულ მხარეთა მმართველების ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა და კიდევ სხვა მრავალი ტენდენცია ნამდვილად იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს. ბოლო დროს, ყოველივე ამას შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანიც დაემატა - ზოგიერთი კუთხის ლიდერებმა შინაომი წამოიწყეს, კერძოდ, აფხაზეთისა და აჭარის პოლიტიკური ელიტა ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ერთმანეთს.

ბათუმური ალიანსის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა ვალერი გელბახიანი აფხაზეთიდან დევნილ ხელისუფლებას უკვე **"ეგრეთ წოდებულ ლეგიტიმურ"** ძალად მოიხსენიებს და აცხადებს, რომ მისი წარმომადგენლები "აღორძინების" წევრთა ფიზიკურ ლიკვიდაციას ამზადებენ. დეპუტატის თქმით, პირადად მისი მისამართითაც იყო მუქარანარევი სატელეფონო ზარები და ყოველივე ამის თაობაზე მან სამართალდამცავი ორგანოების პირველ პირებს აცნობა.



*"აფხაზეთის წინააღმდეგ ეპოპეა შევარდნაძემ დაიწყო".* იური ლობოდინის ფოტო

აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ გამართული პრესკონფერენციის დროს, გელბახიანმა განსაკუთრებით მწვავე განცხადებები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მისამართით გააკეთა. ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარის მოადგილეს, თამაზ ნადარეიშვილს **"დანაშაულებრივად მოაზროვნე ადამიანს"** უწოდებს, რომელიც **"ომის პროპაგანდას ეწევა და, კანონის დარღვევით, ორ თანამდებობას ითავსებს".** აქედან გამომდინარე, გელბახიანი აპირებს, პარლამენტში მისი იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს.

უფრო შორს მიდის ბათუმური ბლოკის მეორე წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი. იგი მხოლოდ ნადარეიშვილის განქიქებით არ კმაყოფილდება და კრიტიკის სამიზნედ საქართველოს პრეზიდენტს ირჩევს.

**"აფხაზეთის წინააღმდეგ ეპოპეა შევარდნაძემ დაიწყო. ამიტომ, როდესაც შენ ხარ აგრესორი, ცოტა სხვანაირად უნდა იმოქმედო. დაუშვებელია, როდესაც პრეზიდენტი, დახმარების ნაცვლად, ასლან აბაშიძეს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ხელს უშლის",** - აცხადებს ჭიპაშვილი. იგი მოუწოდებს შევარდნაძეს, რომ იმ დიდი სახელმწიფოების ლიდერებს მიბაძოს, რომლებმაც თავიანთი ქვეყნების სახელით პატარა ერების წინაშე ჩადენილი დანაშაულები მოინანიეს. ჭიპაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ქართველებსაც და აფხაზებსაც ბოდიში მოუხადოს აფხაზეთში ომის დაწყებისთვის.

აჭარის დეპუტაციის წარმომადგენელი ირწმუნება, რომ აფხაზეთის ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი დაუშვებელია, რადგან საქათველოს არ გააჩნია იმის საშუალება, დაკარგულ ტერიტორიებზე იურისდიქცია ომის გზით აღადგინოს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც **"საერთაშორისო ორგანიზაციები დღეს გაცილებით მეტი სიმპათიით უყურებენ აფხაზებს, ვიდრე გუშინ".**

იმისთვის, რომ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის რეინტეგრაცია მშვიდობიანად მოხდეს, ჰამლეტ ჭიპაშვილს აუცილებლად მიაჩნია: რკინიგზის გახსნა, სოხუმის პორტის ამოქმედება, ტელეხიდების ორგანიზება, მასმედიის წარმომადგენლების სისტემატური შეხვედრები...

**"მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმაზე მსჯელობა, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ საერთო სახელმწიფო",** - დასძენს პარლამენტარი.

ჭიპაშვილის მსგავსად, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დამნაშავე მხარედ ოფიციალური თბილისი გამოჰყავს "კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის" ექსპერტს პაატა ზაქარეიშვილსაც. იგი საქართველოს ხელისუფლებას საყვედურობს, რომ თავის დროზე გონიერება ვერ გამოიჩინა.

**"როდესაც ადამიანს კიდურები გაულურჯდება, ეს ხელების და ფეხების კი არა, გულის ბრალია",** - აცხადებს ზაქარეიშვილი, რომელიც იქვე შენიშნავს, რომ არც საერთაშორისო სამართლის და არც მენტალიტეტის თვალსაზრისით, აფხაზებს დამოუკიდებლობის მოპოვების არანაირი შანსი არა აქვთ.

თუმცა, აფხაზეთის დაბრუნების გზების ძიება ნამდვილად არ ყოფილა გუშინდელი პრესკონფერენციის ძირითადი შტრიხი. იქ გაჟღერებული ხმამაღალი რიტორიკა უფრო იმ დაპირისპირების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელიც, თუ არ შეჩერდა, ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს: როდესაც ერთი კუთხის (თუნდაც იქიდან დევნილი) მოსახლეობა მეორე კუთხის წარმომადგენლობასთან საპროტესტო მიტინგს მართავს და მის შენობას ცეცხლს უკიდებს, როდესაც აჭარის საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს აფხაზეთის წარმომადგენლობითი ორგანოს თავყრილობაზე ფიზიკურად უსწორდებიან - ამ მდგომარეობიდან სახელმწიფოებრივ თვითმკვლელობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. სამწუხაროა, რომ ცენტრალური ხელისუფლება არათუ არ ცდილობს ამ სახიფათო ტენდენციის შეჩერებას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, თავად ხლართავს ინტრიგებს და ხან ერთი, ხან კი მეორე მხარის წამქეზებლად და შიდა დაპირისპირების ინსპირატორად გვევლინება.

გარდა ამისა, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ბრალია ისიც, რომ აფხაზებთან შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრებიდან ცხრა წლის გასვლის შემდეგაც, არ არსებობს ამ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგია და გენერალური ხაზი. და თუ ხელისუფლებას მაინც აქვს იმის პრეტენზია, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის დასაბრუნებლად ძალ-ღონე არ დაუშურებია, მაშინ ისიც უნდა აღიაროს, რომ მისი გარჯა ამაო გამოდგა.

# შარაძე სასამართლოს უტევს

თამარ ხორბალაძე

გურამ შარაძის გულისწყრომის დღევანდელი ადრესატი მოსამართლე ტაბატაძე და ზოგადად "ნარეფორმალი" სასამართლოა.

გულისწყრომის მიზეზი – "თავისუფლების ინსტიტუტის" წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვის გაჯანჯლება, მოსამართლის მიერ მოსარჩელესთან დაკავშირებისთვის დადგენილი 7-დღიანი ვადის გადაჭარბება...

**"მე რომ ასე მექცევიან, რას უზამენ დამნაშავეებს",** - აცხადება გუშინ, საქართველოს სასამართლოს შესახებ საუბრისას, დეპუტატი გურამ შარაძე, რომელმაც პარლამენტის წევრობაზე უარის თქმა "თავისუფლების ინსტიტუტის" ბრალდებების საპასუხოდ გადაწყვიტა. თუმცა, პარლამენტი მას, მისივე თქმით, თავად ვერ შეელია.

ახლა ოსაძის კომისიის საშემოდგომო ვერდიქტზეა დამოკიდებული დეპუტატი შარაძის დეპუტატობის ბედი, მანამდე კი იგი სასამართლოში გამეფებულ უზნეობას აპროტესტებს.

ერთი ცხადია - მოსამართლე ტაბატაძემ ნამდვილად ვერ გააცნობიერა, ვისი საქმე ჩაუვარდა ხელთ გასარჩევად, თორემ, გაგანია ზაფხულის მიუხედავად, ვადების დარღვევაზე და მერე "უფრო შორს წასვლაზეც" არ იფიქრებდა.

გურამ შარაძის ინფორმაციით, მის სარჩელს, რომელიც ვაკე-საბურთალოს სასამართლოში 19 ივნისს შეიტანა, მოსამართლის მხრიდან ყურადღება 26 ივლისამდე უნდა ღირსებოდა.

ხოლო როცა უყურადღებობით გაოცებული მოსარჩელე სასამართლოში თავად მიბრძანდა, მოსამართლის თანაშემწისა და თავად მოსამართლის უცერემონიობით გაღიზიანებული, "იძულებული გახდა," ვადებისა და სასამართლო წესების დარღვევისთვის მოსამართლისთვის იუსტიციის საბჭოში ეჩივლა.

ამის შემდეგ კი, შარაძის განცხადებით, მოსამართლე კიდევ უფრო შორსაც წავიდა და გამოუგზავნა შეტყობინება, რომელშიც აღნიშნულია, რომ 26 ივლისს სხდომა ჩატარდა, რაც სიცრუეა და ამ სიცრუეს თავად სასამართლოს ხელმძღვანელიც დაადასტურებს.

მოკლედ, ყოველივე ამის შედეგი ისაა, რომ გურამ შარაძე მოსამართლე ტაბატაძეს უნდობლობას უცხადებს და მიიჩნევს, რომ ყალბისმქმნელი მოსამართლისგან სამართლიან გადაწყვეტილებას არ უნდა ველოდეთ.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# დღესასწაული საბრძოლო განწყობით

პირველი გვერდიდან

სამხედრო ძალების გენერალიტეტი თავშეკავებულად აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტმა სტუმრობა ღონისძიებამდე მცირე ხნით ადრე, ქვეყნის საზღვრებთან გართულებული ვითარების შემდეგ გადაწყვიტა, რითიც მეზობელ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ აჩვენა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელისუფლება საქართველოსა და ამერიკის თავდაცვის სისტემების თანამშრომლობას.

ნურავინ დაგვაბრალებს ტერორისტების მფარველობას. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული მსოფლიო ანტიტერორისტულ კამპანიაში და ყველაფერს ვაკეთებთ მისი წარმატებით განსხორციელებისთვის, ამ პროგრამასაც მხოლოდ და მხოლოდ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ვახორციელებთ, - ასეთი იყო ყველა შეფასების ქვეტექსტი. გამომსვლელთა საუბრის დაწყება ფრაზით - **თავს დავანებებთ იმის ახსნას, რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ სწავლებას** - ამძაფრებდა ფაქტს, რომ სწავლებასა და ოფიცერთა მომზადებაზე უფრო მნიშვნელოვანია თავად აშშ-ს მთავრობის დახმარება საქართველოს სამხედრო ძალების მომზადებაში. ღონისძიებაზე არავის აღუნიშნავს ბოლო დროს რუსეთთან გართულებული ურთიერთობა და არც „ვაშა“ დაუძახია საბრძოლო ოპერაციების დასაწყებად, თუმცა სიამაყის, რწმენისა და მეომრული თავდაჯერებულობის საზეიმო განწყობა მაინც ყველას ეტყობოდა.



*სწავლების მორიგი ფაზა წარმატებით დასრულდა - პატაკი მინისტრს.*

ბესო გულაშვილის ფოტო

სამეთაურო საშტაბო სწავლებაში თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარის, სასაზღვრო ძალების, სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურისა და უშიშროების სამინისტროს 200-მდე ოფიცერი მონაწილეობდა, მათ შორის - 2 გენერალი და 27 პოლკოვნიკი. ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, დავით თევზაძემ ყველა მათგანი საზეიმოდ დააჯილდოვა წარმატებისათვის. ბოლო ათი კვირის მანძილზე ქართველ ოფიცრებს 40-მდე ამერიკელი ინსტრუქტორი ამზადებდა. „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ამერიკელმა ხელმძღვანელმა, რობერტ ვოლტემაიერმა ამ პროგრამას „წმინდა მისია“ უწოდა და ასე შეაფასა: **„სწავლება წარმატებით მიმდინარეობდა. ქართველმა ოფიცრებმა აჩვენეს სურვილი და მოტივაცია იმისა, რომ სურთ, გაზარდონ საკუთარი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები“.**

დღეს, „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ მეორე ფაზის დამთავრების შემდეგ, ქვეყანას უკვე ჰყავს 200-ზე მეტი კარგად მომზადებული მეთაური, განახლებულია ეროვნული სამხედრო მართვის ცენტრი და შექმნილია ახალი ტაქტიკური ოპერაციების ცენტრი, ცოტა მოგვიანებით კი კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული „კომანდოს“ ბატალიონიც ეყოლება...

ირაკლი ბათიაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე: **„დღეს საქმე ეხება ქართული ჯარის მშენებლობის პროცესს, მის მიახლოვებას თანამედროვე მსოფლიო მოთხოვნებთან. ჩვენ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გზას ვადგავართ. ეს გზა არ არის იოლი, ბევრ შრომას მოითხოვს და ეს სწავლებაც სწორედ ამ გზის გავლაში დაგვეხმარება.“**

ქართველი ოფიცრები, ვინც სამეთაურო საშტაბო სწავლება წარმატებით გაიარეს, აცხადებენ, რომ ისინი დღეს უფრო მეტად ბრძოლისუნარიანები გახდნენ, ვიდრე აქამდე იყვნენ და მზად არიან, ქვეყნის უსაფრთხოება დაიცვან.

ფრიდონ ელბაქიძე, კაპიტანი: **„ჩვენ ახლა ვიცით, როგორ დავსახოთ საბრძოლო ამოცანა და წარმატებით როგორ გადავჭრათ, როგორ ვმართოთ ქვედანაყოფი და ვაკონტროლოთ ოპერაციის ჩატარება.“**

„წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ მომდევნო ეტაპი 27 აგვისტოს დაიწყება, როცა ამერიკელი ინსტრუქტორები იაღლუჯის პოლიგონზე მყოფი რეზერვისტებიდან უკვე შერჩეული 400 ჯარისკაცის წვრთნას შეუდგებიან, „კომანდოს“ ბატალიონის დასაკომპლექტებლად.

# ქართული არმიის ქაოსი ამერიკის ინტერესებს საფრთხეს უქმნის

პირველი გვერდიდან

ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ტერორისტების შეტევით მოგვრილი შოკის შემდეგ, თანადგომა აშშ-ს იმ ქვეყნებმა გამოუცხადეს, რომელთაგან ვაშინგტონი ამას ნაკლებად მოელოდა. "უდრეკი თავისუფლების" სახელწოდებით ცნობილი ოპერაციის დაწყებისთანავე, ანტიტერორისტთა ბანაკში, რუსეთთან ერთად, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებიც აღმოჩნდნენ.

თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით მიმდინარე სამხედრო ოპერაციამ, რომლის მთავარი მიზანი გლობალური ტერორიზმის დევნა-განადგურება გახლდათ, "ალ-ქაედას" დაქსაქსულ ძალთა სხვა ფრონტებზე შესაძლო გადაადგილების ალბათობა წარმოშვა. ტერორისტების თავშეყრის ერთ-ერთ შესაძლო მონაკვეთად საქართველოს უკონტროლო ტერიტორიებიც იქნა მიჩნეული. ტომას ბრეიდი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან საქართველო უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთს და იგი მონაწილეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებაში, ქართულ არმიაში მიმდინარე ქაოსი საფრთხეს უქმნის ამერიკის ინტერესებს.

ამიტომ 2001 წლის შემოდგომაზე, ამერიკის შერთებულ შტატებში ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უყოყმანოდ მიიღო თანხმობა სწრაფი სამხედრო დახმარების თაობაზე. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ცნობით, "წვრთნისა და აღჭურვის" ორწლიანი პროგრამის შედეგად 2000 ქართველი ჯარისკაცისგან ელიტარული მრავაფუნქციური ქვედანაყოფი ჩამოყალიბდება.

ამასთან, ამერიკელი სამხედრო მრჩევლები არა მარტო ანტიტერორისტული უნარ-ჩვევების განვითარებაში ეხმარებიან ქართველ ჯარისკაცებს, არამედ ცდილობენ, მათ რწმენა და მომავლის იმედი ჩაუსახონ. დაახლოებით 30 000-კაციან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, დღეს არა მარტო ფინანსების პრობლემა აწევს მძიმე ტვირთად, არამედ - კორუფციის მაღალი დონე და საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ოფიცერთა კადრების არსებობა.

როგორც ქართველი მიმომხილველები აღნიშნავენ, ამერიკული სამხედრო დახმარების პროგრამის პირველი მნიშვნელოვან შედეგად უნდა ჩაითავალოს კრიზისის კონტროლისა და მართვის ცენტრის ჩამოყალიბება, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საბჭოეთის კვალობაზე მკაცრად ცენტრალიზებულ თავდაცვის სამინისტროს მართვას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს სამხედრო უწყებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

მაგრამ ამერიკის ძლიერი დახმარება საქართველოს მთავრობისადმი საჩუქრად არ უნდა ჩაითვალოს. მეტიც, იგი არის ერთგვარი გამოცდა იმის დასადგენად, თუ რამდენად არიან პრეზიდენტი შევარდნაძე და თავდაცვის მინისტრი თევზაძე თავიანთი იდეალის ერთგულები: შეიქმნას ძლიერი არმია, გათავისუფლდნენ დრომოჭმული სტერეოტიპებისგან, ხოლო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტისას, უფრო მოქნილი და პრაგმატული მოსაზრებებით იხელმძღვანელონ.

პირველი, რაც შევარდნაძემ ამ გამოწვევას უნდა დაუპირისპიროს, არის ის, რომ არმიის რიცხოვნების შემცირების ხარჯზე, მოხდეს მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. საქართველოსთვის 30 000-ანი არმია არც სტრატეგიული და არც ფისკალური თვალსაზრისით გამართლებული არ არის. საერთო შეფასებით, საქართველოს ამ ეტაპზე შეუძლია შეინახოს მხოლოდ 4 ბატალიონი, რომელშიც 2000 ჯარისკაცი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ქართული არმია სრულად აირეკლავს საქართველოს დამოუკიდებლობის ათწლიანი პერიოდში მომხდარი ყველა მანკიერებას, სტატიის ავტორის თქმით, სამომავლოდ ქართველ სამხედროებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევთ. მათ შორის - ქვეყნის გამთლიანებასა და სამოქალაქო ომითა და კონფლიქტებით მიყენებული ჭრილობების განკურნებაში. ეს კი ამერიკისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სამხედრო სიძლიერე, რომელსაც საქართველო მომავალში შეიძენს.

# ხიზრი ალდამოვი პანკისის გაწმენდას გვპირდება

სოფო ბუკია

*პანკისის ხეობის ჩეჩენი ბოევიკებისგან გაწმენდას საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვი საკუთარი ძალებით აპირებს.* ***“მე, ხიზრი ალდამოვი, საქართველოს მოქალაქე, არ მივცემ ვასიას და ვანიას ჩემი ქვეყნის დაბომბვის საშუალებას. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია და სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ხეობას პროვოკატორებისგან გავწმენდ,”*** *- წარმოთქვა ალდამოვმა ჟურნალისტთა სახლში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტებთან საუბრის დასრულებისთანავე, იგი ახმეტაში გაემგზავრა.*

ალდამოვი პანკისის ხეობაში ქართველი გამრეკელაშვილის მკვლელობით აღშფოთებულია და აცხადებს, რომ აღნიშნულ მკვლელობაში რუსეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია.

ალდამოვი ავრცელებს განცხადებას, სადაც საქართველოს ხელისუფლებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, არ დაუშვან რუსეთის მოთხოვნის შესრულება და პანკისის ხეობაში სპეცოპერაციის ჩატარება. მისი თქმით, რუსეთი საქართველოზე ზეწოლას ახდენს, რათა ხსენებული სპეცოპერაციის ჩატარებაზე დაითანხმოს. საამისოდ რუსეთს ჩეჩნებისა და ქართველების გადამტერება აქვს განზრახული. პანკისის ხეობაში უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაც ამ მიზნებს ემსახურება, - დარწმუნებულია იგი. **“რუსი რომ საქართველოში შემოვა, მაგას მერე აქედან ვერ გააგდებ,”** - ამბობს ალდამოვი.



*“რატომ უნდა გვიტყაპუნოს თავში ვანიამ?“*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ახმეტის ჩეჩენი პროვოკატორებისგან გაწმენდას ის იარაღით არ აპირებს: **“იარაღი ჩვენ არა გვაქვს. რად გვინდა იარაღი, როცა მთელი პანკისის ხეობა ფეხზე დავდგებით. ამდენ ხალხს მუშტიც გვეყოფა, “ლაფათქა” იქნება, ჯოხს ავიღებთ...”** - აცხადებს ალდამოვი და პირობას იძლევა, რომ მალე, ლტოლვილების გარდა, ხეობაში არც ერთი ჩეჩენი არ დარჩება.

ალდამოვი ახმეტაში სახალხო ყრილობის გამართვას აპირებს და პანკისის ბოევიკებისგან გაწმენდის გეგმასაც ხალხთან ერთად შეიმუშავებს. მისი თქმით, ყველა ჩეჩენი მეომარი, ვინც დღეს პანკისში **“ლტოლვილი ქალების კაბის უკან იმალება”**, სამშობლოს მოღალატე, დეზერტირი და ლაჩარია. **“რა უნდა ჩეჩენ მეომარს პანკისში? ის საკუთარი პრეზიდენტის, მასხადოვის გვერდით უნდა იდგეს. ისინი, ვინც დღეს ხეობაში არიან, რუსეთის ხალხია,”** - განაცხადა მან.

საკუთარი გეგმების შესახებ ალდამოვს ქართველ სამართალდამცავებთან კონსულტაციები არ უწარმოებია. **“სამართალდამცავებმა თავისი საქმე იციან და გააკეთებენ. მე, როგორც ახმეტაში გაზრდილი კაცი, ვალდებული ვარ, დღეს იქ ვიყო და რამე ვიღონო. ყველანი ერთად უნდა გამოვიდეთ, მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რას გვიკეთებს რუსეთი... სულ რატომ უნდა გვიტყაპუნოს თავში ვანიამ? ყველა ერთად თუ დავდგებით, სერიოზული ომის საფრთხეს ავიცილებთ. რუსეთი მეორეხარისხოვან ხალხად გვთვლის... მაპატიეთ ხმამაღალი განცხადებისთვის, მაგრამ თუ არაფერი ვიღონეთ, ხვალ თბილისიც დაიბომბება,”** - მიაჩნია ხიზრი ალდამოვს. მისი თქმით, კავკასიაში საქართველო დღეს სტრატეგიული ქვეყანაა და რუსეთს სჭირდება მთლიანად საქართველო და არა რომელიმე ერთი ხეობა. ალდამოვი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მნიშვნელობა კავკასიის ყველა ერს კარგად ესმის და ისიც კარგად უწყიან, რომ, თუ რუსეთი საქართველოს ამდენს უზედავს, კავკასიის სხვა ქვეყნებსაც იმავე სცენარით მიუბრუნდება. **“საქართველოს მთელი კავკასია ამოუდგება გვერდით. სხვებზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩეჩენი ხალხი ნამდვილად ჩვენს გვერდით იქნება,”** - დარწმუნებულია ალდამოვი.

# პარტიები საარჩევნო კანონპროექტზე მუშაობენ - ზოგი საიდუმლოდ, ზოგი საჯაროდ

ვერიკო თევზაძე

*12 აგვისტოსთვის რამდენიმე პარტია არჩევნების კანონპროექტის ორ ვარიანტზე მსჯელობას დაიწყებს. საკუთრივ თავიანთი კანონპროექტი აქვთ შემუშავებული “მრეწველებს”. აგვისტოს თვის საკონსულტაციო შეხვედრაზე მეორე კანონპროექტით წარდგება პარტიათა გაერთიანება, რომლის ზუსტი შემადგენლობა გაურკვეველია. “24 საათის” მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ესენი არიან: ლეიბორისტები, “სახალხო ფრონტი”, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და “ილია ჭავჭავაძის საზოგადოება”. როგორც “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” თავმჯდომარემ, თამარ ჩხეიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, საქმე ეხება შარშან და შარშანწინ “თავისუფლების და დემოკრატიის ცენტრის” მიერ შემუშავებულ კანონპროექტს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს “სახალხო ფრონტისა” და “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” მიერ შემუშავებული ორი პროექტის შეჯერებულ ვარიანტს. თამარ ჩხეიძის განმარტებით,* ***"ამ პროექტს ხელს აწერენ სხვადასხვა პარტიები, მათ შორის - ლეიბორისტებიც. კანონპროექტი ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა თანასწორუფლებიანობას, გამჭვირვალობას და ფულის როლის შეზღუდვას.***

*ლეიბორისტები საქმის ვითარებას ასე ხსნიან: “არსებობს ლეიბორისტების პროექტი, მის განხილვაში, შესაძლოა, რამდენიმე პარტიამ მიიღოს მონაწილეობა. 12 აგვისტოსთვის თავიანთ კანონპროექტს წარმოადგენენ “მრეწველები”. ერთმანეთს გავაცნობთ ამ კანონპროექტებს და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებამდე მივალთ.”*

*“24 საათი” დაუკავშირდა ირაკლი წერეთელს, რომელსაც ჩვენგან შეტყობილმა ინფორმაციამ ნერვები აუწეწა: “ვინ გითხრათ, რომ ვიკრიბებით, ეს შეკრება მასმედიისთვის საიდუმლო უნდა ყოფილიყო... მოიცათ, თუ ჩემი გამოტეხვა არ გინდათ, აბა, ზუსტად რიცხვი მითხარით, როდის ვიკრიბებით... ყოველ შემთხვევაში, ირაკლი წერეთელი იმით არის ცნობილი, რომ საიდუმლო ინფორმაციას არ “აბაზრებს”, ასე რომ, ჩემგან ვერაფერს გაიგებთ და თუ რაიმე გაწყენინეთ, ბოდიშს გიხდით.”*

*ერთი სიტყვით, არსებობს ორი კანონპროექტი. ერთის ავტორი მრეწველთა პარტიაა, მეორე მათგანზე, ალბათ, მკითხველი გარკვეულ დასკვნას თავად გამოიტანდა.*

ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანმა, ზურაბ ჟვანიამ და იურიდიული სამსახურის უფროსმა გიორგი გუგავამ “24 საათს” “თავიანთი” კანონპროექტის ძირითადი არსი გააცნეს. ჟვანიასა და გუგავას თქმით, არჩევნების შედეგებს უნდა ითვლიდეს კომისია, მაგრამ მას უნდა ამტკიცებდეს სპეციალური პალატა უზენაეს სასამართლოში. საარჩევნო კომისიები უნდა დაკომპლექტდეს პარიტეტულ საწყისებზე: **“კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ ძირითადი პარტიების წარმომადგენლები და არა იმ პარტიების წევრები, რომლებიც არჩევნებში ფორმალურად მონაწილეობენ... საქართველოსათვის მისაღებია როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპოციული არჩევნები. პარლამენტის წევრთა რაოდენობა 130 კაცით უნდა განისაზღვროს, აქედან 80 დეპუტატი პროპორციული წესით იქნება არჩეული, დანარჩენი – მაჟორიტარულით.”**

ჟვანიას აზრით, ახალი საარჩევნო კოდექსით პარტიასაც და ამომრჩეველსაც უფლება უნდა ჰქონდეთ, გაიწვიონ დეპუტატი.

**“ასევე გამოკვეთილად უნდა განისაზღვროს კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. დღევანდელ საარჩევნო კანონში ამის შესახებ ძალზე ზოგადადაა ნათქვამი. მასში მითითებული არ არის საოლქო ან უზენაეს სასამართლოებში საქმის განხილვის ვადები. ახალ კოდექსში თვალსაჩინოდ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული პირების კონკრეტული პასუხისმგებლობა. კანონდამრღვევები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ,”** – განუცხადა “24 საათს” გიორგი გუგავამ.

მრეწველთა პარტიის წარმომადგენლი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ მათი მიზანია, ახალი კოდექსით გამოასწორონ ძველი საარჩევნო კანონის ძირითადი ნაკლოვანებები: კონტროლის მექანიზმის უქონლობა, აქედან გამომდინარე, გაყალბების დაშვების დიდი ალბათობა, პასუხისმგებელ პირთა დაუსჯელობა, აღრიცხვიანობის უაღრესად დაბალი დონე. **“მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, როგორ შედგეს სიები, ვინ არის ვალდებული, სიების შესადგენად საჭირო ინფორმაცია წარადგინოს, ვინ დაამტკიცებს სიებს და ა. შ.”** - დასძინა ვახტანგ ხმალაძემ.

მისი აზრით, საარჩევნო კანონში მაქსიმალურად უნდა იყოს აღწერილი და განსაზღვრული ყოველი პროცედურა. კანონი მაქსიმალურად უნდა პასუხობდეს ყველა კითხვას და კომისიას არ უნდა სჭირდებოდეს დამატებითი გადაწყვეტილებების მიღება.

“მრეწველების” კანონპროექტის მიხედვით, არჩევნების პროცესში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კომპიუტერულ-ელექტრონული სისტემა: **“აღრიცხვის შედეგები უნდა აისახოს სპეციალური კოდის მქონე პლასტიკურ ბარათებში. ამ პლასტიკური ბარათების დაცულობის ხარისხი საბანკო საკრედიტო ბარათებისას უნდა უტოლდებოდეს. კომპიუტერული სისტემა მოხსნის ამომრჩევლის იდენტიფიცირების პრობლემას, გამორიცხავს სიყალბეს კენჭისყრის შედეგების დათვლისას. დაახლოებით, ხუთ წუთში ცნობილი იქნება შედეგები უბნებში, სავარაუდოდ, ერთ საათში – საოლქო კომისიებში. საჯაროობის გზით, გამოირიცხება კომპიუტერული პროგრამის საეჭვოობა. ამავე დროს, პროგრამას უნდა ჰქონდეს დაცვის ისეთი ხარისხი, რომ მასში შეღწევა და მისი შეცვლა ვერავინ მოახერხოს.”**

ვახტანგ ხმალაძის აზრით, კომპიუტერული სისტემის დანერგვა შესაძლებელია უკვე მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის: **“სექტემბრისთვისთვის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს შესაბამისი პროექტი (როგორი იქნება ეს სისტემა, რა თანხებს მოითხოვს) და იგი პარლამენტს წარუდგინოს განსახილველად. სექტემბერშივე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.”**

კომპიუტერული სისტემის არსებობის პირობებში, მრეწველების პროექტის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტდება არა პარტიული პარიტეტის პრინციპით, არამედ პროფესიონალებით, რომლებსაც ეცოდინებათ ამ სისტემის მუშაობის პრინციპი. ამასთანავე, ყველა პარტიას და დამოუკიდებელ კანდიდატს საშუალება ექნება, ჰყავდეს თავისი დამკვირვებელი საარჩევნო კომისიაში.

ვახტანგ ხმალაძე ამ ეტაპზე არარეალურად მიიჩნევს კონსტიტუციურ ცვლილებას პარლამენტის რაოდენობის განსაზღვრისა და მისი არჩევის წესის (პროპორციული, მაჟორიტარული) შესახებ. მას ეეჭვება, რომ ამ საკითხის გადსაწყვეტად საჭირო საპარლამენტო უმრავლესობა შეგროვდება. იდეალურ ვარიანტში ხმალაძე მომხრეა, საქართველოში შემოღებულ იქნას ე. წ. პროპორციული საარჩევნო სისტემა, ერთადერთი გადასაცემი ხმის მეთოდით: **“ხუთმანდატიანი საარჩევნო ოლქის პირობებში (ოლქიდან ირჩევა ხუთი კაცი) ამომრჩეველს საშუალება ეძლევა, სასურველი კანდიდატის პარარელურად, სხვა კანდიდატებსაც მისცეს ხმა. ასეთ ვითარებაში მინიმალურად ნაკლები ხმა იკარგება.”**

“მრეწველების” კანონპროექტი არ ითვალისწინებს დეპუტატის გამოწვევის პრინციპს. მათი აზრით, გამოწვევა იქცევა დესტაბილიზაციის მუდმივ წყაროდ და ბიუჯეტს დაეკისრება დამატებითი ხარჯები. **“თუ დეპუტატის მანდატი თავისუფალი არ იქნება, აქტიურად იმოქმედებს შიშის სინდრომი და პარლამენტში გახშირდება პოპულისტური გადაწყვეტილებების მიღება, რაც ქვეყნისთვის საზიანო აღმოჩნდება.”**

რამდენად ნაყოფიერი იქნება “მრეწველების”, ლეიბორისტების (და მათ გვერდით მდგომი ნახევრად გასაიდუმლოებული პარტიების) პირველი საკონსულტაციო შეხვედრა, ჯერჯერობით, გაურკვეველია. არაოფიციალური ინფორმაციით, “მრეწველებს” გაუჭირდებათ იმ კანონპროექტის გაზიარება, რომელსაც ლეიბორისტები “ჩვენსას”, ხოლო თამარ ჩხეიძე “ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა” და “სახალხო ფრონტის” პროექტების ნაჯერს უწოდებს. მხარეები აცხადებენ, რომ ისინი, ჯერჯერობით, ერთმანეთის კანონპროექტებს არ იცნობენ და კომენტარებისგან თავს იკავებენ.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი

# კრიზისმა ურუგვაიშიც იფეთქა

თორნიკე შარაშენიძე

ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოს არნახული საპროტესტო გამოსვლებისა და გაფიცვების ტალღამ გადაუარა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკით აღშფოთებულმა მოსახლეობამ ქვები დაუშინა მაღაზიებისა და პიცერიების ვიტრინებს. მათი დაშოშმინება მხოლოდ პოლიციის ჩარევის შემდეგ მოხერხდა. ხალხის მხრიდან ასეთი მოქმედების მიზეზად იქცა ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბანკებიდან ანაბრების გატანა აიკრძალა. ამის პასუხად, პრაქტიკულად, ყველა გაიფიცა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის მუშაკების გარდა. ურუგვაის მთავრობა შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნას ცდილობს, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება.

ბანკების დახურვა ქვეყნის ხელისუფლების კაპრიზი, ცხადია, არ ყოფილა. ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ეს რომ არ გაკეთებულიყო, სახელმწიფოს ნამდვილი კატასტროფა ელოდა. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემითა და, საერთოდ, ეკონომიკური ვითარების გაუარესებით დაპანიკებულ მოსახლეობას მასიურად გაჰქონდა ფული ბანკებიდან. ასეთ რამეს კი არამცთუ ურუგვაის, არამედ აშშ-ს ფინანსური ინსტიტუტებიც ვერ გაუძლებენ. ბანკს არასოდეს არ უდევს რეზერვში იმდენი თანხა, რომ ერთბაშად ყველა მეანაბრე გაისტუმროს, მან იქ შეტანილი ფული უნდა გაასესხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირ მოგებას ვერ ნახავს და მუშაობას აზრი დაეკარგება.

მაგრამ ეკონომიკის ეს მარტივი ჭეშმარიტება ყველას არ ესმის. მით უმეტეს, არ ესმის დაპანიკებულ მოსახლეობას, რომელსაც იმაზე ფიქრიც კი აშინებს, რომ მისი ფული, შეიძლება, ფარატინა ქაღალდად იქცეს. ასეთ ვითარებაში ურუგვაის ხელისუფლებამ, ალბათ, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო – ბანკები მომავალ კვირამდე დახურა. მთავრობის წევრებს იმედი აქვთ, რომ ეს საკმარისი დრო იქნება პანიკის ჩასახშობად. მით უმეტეს, ურუგვაიში დამაიმედებელ ცნობებს ელიან ვაშინგტონიდან. როგორც ამბობენ, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტი მოლაპარაკებას აწარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, რათა ამ უკანასკნელმა მომავალი კვირიდან 1,5 მილიარდი დოლარი მიიღოს. მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანას უკვე 3 მილიარდი დოლარი ჩაერიცხა ფონდისგან, მაგრამ, ქვეყანაში და, საერთოდ, რეგიონში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, აშშ და სავალუტო ფონდი ამაზე ნამდვილად არ გაჩერდებიან.

სავალუტო ფონდი, ურუგვაის გარდა, ბრაზილიისა და არგენტინისათვის დახმარების გაწევის საკითხსაც განიხილავს. ეს სამი ქვეყანა წამყვან როლს თამაშობს რეგიონში და მათ რომ ერთდროულად სჭირდებათ მკურნალობა, ეს მწარე გამოცდილებამაც აჩვენა. თავის დროზე აზიიდან და რუსეთიდან წასულმა კრიზისმა თავდაპირველად მხოლოდ ბრაზილია ჩაითრია. სავალუტო ფონდმა მაშინვე მიიღო ზომები ქვეყნისათვის დახმარების გასაწევად. მაგრამ მალე გაცილებით უფრო სერიოზულმა კრიზისმა იფეთქა არგენტინაში, სადაც, ბრაზილიისგან განსხვავებით, დღემდე უმძიმესი ვითარებაა. ახლა, როგორც ვხედავთ, ამ მოვლენებისგან განზე ვერც ურუგვაი დარჩა. ივნისის შუა რიცხვებში კრიზისმა ამ ქვეყნის მთავრობა აიძულა, შეზღუდვები მოეხსნა უცხოური ვალუტით ვაჭრობაზე, რასაც ურაგვაული პესოს დოლარის მიმართ 14 პროცენტით გაუფასურება მოჰყვა.

ჯერჯერობით რეგიონში ყველაზე უკეთ, ალბათ, ისევ ბრაზილიის ეკონომიკა გამოიყურება. თუმცა, აქაც ყველაფერი ვერ არის რიგზე. ოქტომბერში ამ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული და, მემარცხენეების გამარჯვების შემთხვევაში, დიდი შანსია, ქვეყანამ 250-მილიარდიანი ვალის დეფოლტი მოახდინოს.

მოკლედ, ლათინურმა ამერიკამ კიდევ ერთხელ შეახსენა თავი სამყაროს. ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს ამ პრობლემას სავალუტო ფონდი და აშშ, რომელსაც ამ რეგიონში სასიცოცხლო ინტერესები აქვს.

## ბიზნესის ამბები

# „უორლდკომის" ყოფილი ფინანსისტები თავდებით გაათავისუფლეს

გაკოტრების პირას მისული კომპანია "უორლდკომის" ყოფილი ფინანსური დირექტორი სკოტ სალივანი და ყოფილი ინსპექტორი დევიდ მეიერსი, რომლებიც გუშინ აშშ-ს ხელისუფლებას ჩაბარდნენ და რომლებსაც თაღლითობისა და თაღლითობის ხელშეწყობის ბრალდება წაეყენათ, სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა. თავდების თანხა, შესაბამისად, 10 და ორი მილიონი დოლარია.

"უორლდკომმა" ივნისში აღიარა, რომ მოგების მაჩვენებელი ხელოვნურად 3,8 მილიარდი დოლარის ოდენობით გაზარდა და 2001 წლის საფინანსო ანგარიში გააყალბა. გარდა ამისა, კომპანიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ "უორლდკომს" არ შეუძლია 30 მილიარდი დოლარის ოდენობის დავალიანების დაფარვა. მოგვიანებით, კომპანიამ გაკოტრების თაობაზე გააკეთა განცხადება.

"უორლდკომის" საქმეს ამჟამად აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო იძიებს. სასამართლო პროცესზე ბიუროს თანამშრომლებმა სალივანი და მეიერსი ხელბორკილებით მიიყვანეს. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მათ თავისუფლების 65 წლით აღკვეთა ემუქრებათ.

# „ბაიერის" მოგება განახევრდა

გერმანულმა ქიმიურ-ფარმაცევტულმა გიგანტმა, "ბაიერმა" წლის პირველ ნახევარში თავისი წმინდა მოგების 48 პროცენტით შემცირების შესახებ განაცხადა. ევროპაში გაყიდვები 3.5, ხოლო ამერიკაში 11.5 პროცენტით დაეცა.

"ბაიერის" შტაბ-ბინისთვის ეს შემცირება მოულოდნელი არ ყოფილა. შარშან კომპანია სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა. "ბაიერის" მიერ ქოლესტერინის შემცველობის დამწევი პრეპარატი "ლიპობაი" გაყიდვიდან ამოიღეს. მედიკამენტებზე კონტროლის ამერიკულმა კომისიამ დაასკვნა, რომ ეს წამალი, გარკვეული გვერდითი ეფექტების გაუთვალისწინებლობის გამო, 40 ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა.

წელსვე "ბაიერის" ქიმიური ქვედანაყოფის მოგება 60 პროცენტით შემცირდა. ეს კომპანია იმედებს ჰემოფილიის საწინააღმდეგო პრეპარატ "კოგენატზე" ამყარებდა, მაგრამ მისმა გაყიდვებმა ვერ შეძლო მდგომარეობის გამოკეთება.

ანალიტიკოსებს "ბაიერისთვის" საუკეთესო გამოსავლად მისი რომელიმე კონკურენტთან შერწყმა მიაჩნიათ.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 28 ივლისი - 3 აგვისტოს მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.637 | 0.6283 | 0.0053 |
| US$ | 1.5698 | | 0.9864 | 0.0084 |
| €uro | 1.5915 | 1.0137 | | 0.0085 |
| ¥en | 187.24 | 119.26 | 117.65 | |

### 2002 წლის 3 აგვისტოდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1607 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4243 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4909 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1900 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3201 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1840 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0694 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4484 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3873 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1104 ლარი |

# მაგთიGSM-ში პარტნიორი, შეიძლება, შეიცვალოს

## ექსპერტები მობილური კავშირგაბმულობის ბაზარზე კონკურენციის გააქტიურებას 1-1,5 წლის შემდეგ ელიან

პირველი გვერდიდან

ლიდერის ამჟამინდელ მდგომარეობას მაგთიGSM-მა საფუძველი 1999 წელს ჩაუყარა, როცა "ჯეოსელიდან" ინჯიას ჯგუფის წასვლისა და ამ კომპანიის თურქების ხელში გადასვლის დაძაბული პროცესის გამო, საქართველოს პირველმა GSM ოპერატორმა პოზიციები სერიოზულად დათმო. თუმცა, სიტუაციის გარკვევის შემდეგ, "ჯეოსელმა" აბონენტთა მიზიდვაზე გათვლილი აგრესიული სარეკლამო და სატარიფო პოლიტიკის წყალობით, დიდი ნაბიჯები გადადგა "მაგთის" დასაწევად. დღეისთვის, გთს-ს შეფასებით, მაგთიGSM-ის აბონენტთა რაოდენობა 200 ათასს, ხოლო "ჯეოსელისა" კი 120 ათასს აღწევს. ასევე მნიშვნელოვნად აღემატება "მაგთის" დაფარვის ზონა (90 პროცენტი) "ჯეოსელისას" (79 პროცენტი). ამ ორი კომპანიის ბრძოლაში, პრაქტიკულად, "თამაშგარეთ" არის დარჩენილი "მეგაკომი" (იგი ამერიკული APRS სისტემის ოპერატორია), რომელიც ვერც აბონენტთა რაოდენობით და ვერც სერვისით GSM ოპერატორებს ვერ შეედრება. გთს-ს შეფასებით, მაგთიGSM-ის საწარმოო ღირებულება 110-150 მილიონ, "ჯეოსელისა" კი 75-100 მილიონ დოლარს შეადგენს.

მობილური კავშირგაბმულობის ქართულ ბაზარზე არსებული გაწონასწორებული მდგომარეობიდან ცხადი ხდება, რომ ორივე წამყვანმა ოპერატორმა (მაგთიGSM და "ჯეოსელი") მიაგნო ოპტიმალურ ბალანსს აბონენტთა რაოდენობის ზრდასა და მომგებიანობას შორის. ამიტომ ისინი სატარიფო ომში ჩაბმის აუცილებლობის გარეშეც სწრაფად იზრდებიან და ინარჩუნებენ მაღალ მომგებიანობას. ასეთი მდგომარეობა, გარკვეულწილად, იმ ურთიერთშეთანხმების შედეგია, რომელსაც ორი კონკურენტი ურთიერთხელსაყრელ პირობებზე აღწევს ხოლმე. გარდა ამისა, ექსპერტთა აზრით, ორივე კომპანია ფარავს აბონენტთა რეალურ რაოდენობას. ორიოდე თვის წინ მაგთიGSM-მა ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი აქტიური აბონენტების რაოდენობამ 200 ათასი შეადგინა. თუმცა, მისი, ისევე როგორც "ჯეოსელის," ინდექსების რაოდენობიდან გამომდინარე (მაგთიGSM-ს 50, 90, 10, 20; "ჯეოსელის"- 40, 77 და 93), ცხადია, რომ პრეზიდენტის სიძის კომპანიას 300 ათასზე, ხოლო "ჯეოსელს" კი – 200 ათასზე ნაკლები აბონენტი არ ჰყავს. საერთოდ, აბონენტთა რაოდენობის მაჩვენებლის ხელოვნური შემცირება, საუბრების ხანგრძლივობის, კომპანიისთვის ხელსაყრელად, დამრგვალებასთან ერთად, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიათა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

გთს-ს შეფასებით, საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების მიერ ერთი აბონენტიდან მიღებული საშუალო შემოსავალი (ARPU) საკმაოდ მაღალია. ის უახლოვდება რუსული კომპანიის MTS-ის მაჩვენებელს და თითქმის ორჯერ აღემატება თურქეთის წამყვანი ოპერატორის Turkcell-ის ერთი აბონენტიდან მიღებულ შემოსავალს. თუმცა, ბაზრის დაფარვის მაჩვენებელი, ამ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით დაბალია. გთს-ს შეფასებით, სექტორის გაფართოებაში მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი საორიენტაციო ბაზრის შეზღუდულობაა, რომელიც, საინვესტიციო ბანკის ვარაუდით, 2006 წლისთვის მოსახლეობის, დაახლოებით, 22 პროცენტს შედგენს. ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსეთისა და თურქეთის ანალოგიური საპროგნოზო მაჩვენებლები. ასეთი, შედარებით ნელი ზრდის მთავარ მიზეზად, გთს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სიმცირეს ასახელებს. სამაგიეროდ, საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის სფეროს მიმზიდველობა აშკარაა სომხეთში ამავე დარგის მდგომარეობის ფონზე, სადაც ერთადერთი ოპერატორის, "არმენტელის" მაღალი ტარიფების გამო, აბონენტთა რაოდენობა 50.000-ს ძლივს აჭარბებს.

ბაზრის შეზღუდულობის გამო, ექსპერტები ამ სექტორს ახალი კომპანიების გამოჩენისგან საკმაოდ დაცულად მიიჩნევენ. გთს-ს აზრით, ქართულ ბაზარზე ახალი ოპერატორის გამოჩენის შემთხვევაში, აგრესიული დემპინგური პოლიტიკის გარეშე, მისთვის თითქმის შეუძლებელი იქნება აბონენტთა ბაზის თუნდაც 100.000-მდე გაზრდა. ეს კი, თავის მხრივ, ახალი ქსელის აშენებას ეკონომიკურად გაუმართლებელს გახდის.

სხვა საქმეა მაგთიGSM-სა და "ჯეოსელში" ახალი მეწილეების გამოჩენა, რაც ამ კომპანიებში მოსალოდნელმა კორპორატიულმა ცვლილებებმა სავსებით შესაძლებელი გახადა. "ჯეოსელში" "მაგთისგან" განსხვავებული სიტუაციაა. ჯერჯერობით, რთული სათქმელია, რა შეიცვლება თურქული მენეჯმენტის ამ კომპანიაში, მისი მფლობელი "სონერასა" და შვედური "ტელიას" გაერთიანების შემდეგ. ფაქტია, რომ გაერთიანებული კომპანია ამჟამად ვალებით შეწუხებულ "სონერაზე" გაცილებით ძლიერი იქნება. რაც შეეხება მაგთიGSM-ს, Metromedia მისი კუთვნილი 34.3-პროცენტიანი წილის გაყიდვას გეგმავს. ამასთან, საქართველოში ამ ამერიკული კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ამ წილის სავარაუდო ღირებულება 100 მილიონ დოლარს შეადგენს და თუ იგი თავად "მაგთიმ" არ გამოისყიდა, მისი მყიდველი ასევე სოლიდური კომპანია იქნება. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, Metromedia-ს მიერ "მაგთის" წილის გაყიდვა არახელსაყრელია, რადგან ახლა მსოფლიო ბაზარზე სატელეკომუნიკაციო კომპანიათა აქციების ფასების შემცირების ტენდენცია ძალზე ძლიერია. ეს ტენდენცია კი, ალბათ, დროებითია და ამ სფეროს წარმომადგენელი კომპანიების მოსალოდნელი ზრდის გადაჭარბებულად შეფასებამ განაპირობა – უბრალოდ, მსოფლიოში ტელეკომუნიკაციები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ მასის მოთხოვნილება ახალ დონემდე გაზრდას ვერ ასწრებს.

საინტერესოა, ვინ შეიძლება, დაინტერესდეს მაგთიGSM-ის გამოთავისუფლებული წილით. ექსპერტთა აზრით, "მაგთის" ინვესტორობას არა მხოლოდ სოლიდური ფინანსური შესაძლებლობები, არამედ ამ სფეროში სერიოზული ბიზნეს-ინტერესისა და გამოცდილების არსებობაც სჭირდება. ცნობილია, რომ რამდენიმე ებრაულ კომპანიას საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროსადმი და ისინი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებენ. გარდა ამისა, სავსებით რეალურად მიიჩნევა "მაგთის" წილით ცნობილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის დაინტერესებაც. იგი ორივე ზემოხსენებულ პირობას აკმაყოფილებს – არც უფინანსობას უჩივის და ტელეკომუნიკაციების სექტორშიც საკმაოდ ჩახედულია. გარდა ამისა, საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროსადმი ამ ბიზნესმენის სერიოზული დაინტერესება უკვე დადასტურდა "ინფოკომის" შეძენით და, ექსპერტების აზრით, მისი ჩარევის გარეშე არც ამავე სექტორში მოსალოდნელი ცვლილებები ჩაივლის.

შესაძლო პრეტენდენტთა შორის გთს რუსულ MTS-სა და Vimpelcom-საც ასახელებს. ბერძნული OTE კი, რომელიც "არმენტელის" მფლობელია და შარშან "საქართველოს ტელეკომის" საპრივატიზაციოდ გამოტანილ წილში საქართველოს 21 მილიონ დოლარს სთავაზობდა, კავკასიის რეგიონში ახალი მსხვილი ინვესტიციის გაკეთებას, ალბათ, მოერიდება.

ერთი რამ ცხადია, "ჯეოსელსა" და "მაგთიGSM`-ში მოსალოდნელი ცვლილებები მთლიანად იმ სტრატეგიაზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც ამ კომპანიათა ახალი ინვესტორები საქართველოს ბაზრის შეცვლილი კონიუქტურიდან გამომდინარე შეიმუშავებენ. გამოცხადებული ცვლილებები "მაგთიGSM"-ში 1-1.5 წლის განმავლობაშია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, ამავე დროს მოითხოვს "ჯეოსელში," მეწილეთა გადახალისების შემთხვევაში, მოქმედების გეგმის გარკვევაც. ზოგი ექსპერტის აზრით, სწორედ მაშინ ისარგებლებს "ჯეოსელი" მის სასარგებლოდ შეცვლილი პოლიტიკური მდგომარეობით და საქართველოშიც ისეთსავე აგრესიულ პოლიტიკას გაატარებს, როგორითაც მისი ერთ-ერთ მთავარი მეწილე, "თურქსელი" აზერბაიჯანსა და ყაზახეთში გამოირჩევა. ქართული მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებს შორის ნამდვილი კონკურენციის გაჩაღებას ექსპერტები სწორედ ამ პერიოდიდან ელიან.

სექტორის ზრდის პროგნოზები

| | 2001E | 2002F | 2003F | 2004F | 2005F | 2006F |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობა (მილიონი) | 5.0 | 4.9 | 4.9 | 4.8 | 4.9 | 4.9 |
| საორიენტაციო ბაზარი (მოსახლეობის %) | 10% | 14% | 17% | 19% | 21% | 22% |
| საორიენტაციო ბაზარი (მილიონი) | 0.50 | 0.69 | 0.83 | 0.91 | 1.03 | 1.08 |
| საორიენტაციო ბაზრის დაფარვა | 52% | 68% | 71% | 73% | 74% | 75% |
| **მობილურების აბონენტები, წლის ბოლოს ('000)** | **260** | **465** | **591** | **666** | **761** | **809** |
| *ზრდა, წელი-წელიწადში* | *238%* | *79%* | *27%* | *13%* | *14%* | *6%* |
| **მოსახლეობის დაფარვა** | **5.2%** | **9.5%** | **12.1%** | **13.9%** | **15.5%** | **16.5%** |
| მაგთიკომის საორიენტაციო ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 50% | 47% | 50% | 45% | 40% | 38% |
| ჯეოსელის საორიენტაციო ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 48% | 52% | 50% | 45% | 42% | 38% |
| მეგაკომის/ახალი ოპერატორის საორიენტაციო ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 2% | 1% | 0% | 10% | 18% | 24% |
| მაგთიკომის მთლიანი აბონენტები, წლის ბოლოს ('000) | 154 | 250 | 314 | 347 | 385 | 403 |
| *ზრდა, წელი-წელიწადში* | *88%* | *63%* | *25%* | *11%* | *11%* | *5%* |
| ჯეოსელის მთლიანი აბონენტები, წლის ბოლოს ('000) | 90 | 197 | 260 | 293 | 333 | 351 |
| *ზრდა, წელი-წელიწადში* | *na* | *118%* | *32%* | *13%* | *14%* | *5%* |
| მეგაკომის/ახალი ოპერატორის მთლიანი აბონენტები, წლის ბოლოს ('000) | 16 | 18 | 18 | 25 | 43 | 54 |
| *ზრდა, წელი-წელიწადში* | *na* | *13%* | *0%* | *41%* | *68%* | *26%* |
| მაგთიკომის მთლიანი ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 59% | 54% | 53% | 52% | 51% | 50% |
| ჯეოსელის მთლიანი ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 35% | 42% | 44% | 44% | 44% | 43% |
| მეგაკომის/ახალი ოპერატორის მთლიანი ბაზრის წილი, წლის ბოლოს ('000) | 6% | 4% | 3% | 4% | 6% | 7% |







მაგთიკომის მონაცემები

US$ მლნ, აბონენტთა რაოდენობის გარდა

| | Q1 '02 | Q1 '01 |
|---|---|---|
| აბონენტები | 177,271 | 97,120 |
| შემოსავლები | 10.4 | 8.7 |
| მოგების მარჟა | 9.1 | 7.5 |
| SG&A | 1.4 | 1.5 |
| D&A | 3.0 | 2.1 |
| საოპერაციო მოგება | 4.7 | 3.9 |
| EBITDA | 7.7 | 6.0 |

წყარო: მაგთიკომი

# მერაბ ადეიშვილს ქართული ავიაციის განადგურებაში ადანაშაულებენ

## ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, შესაძლოა, სასამართლო დარბაზში აღმოჩნდეს

პირველი გვერდიდან

სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ასოციაციას მერაბ ადეიშვილის მიმართ სხვა პრეტენზიებიც აქვს. ალბერტ ნურგეკიანი უშუალოდ მინისტრს სდებს ბრალს, რომ საქართველოში პროფესინალ პილოტთა მომზადება აღარ ხდება. **"ადეიშვილმა ზუსტად გათვალა, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველოში ქართველი პილოტები აღარ იქნებიან, ქართულ ავიაციას კი მთლიანად უცხოელები დაეპატრონებიან. თუ არ იქნება ქართველი მფრინავი, არ იქნება არც ქართული ავიაცია,"** – განაცხადა ალბერტ ნურგეკიანმა.

ნურგეკიანის გამოსვლა ამგვარი პათოსით იყო სავსე, რამაც მისი კოლეგა მფრინავების აღშფოთება გამოიწვია. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ნურგეკიანის "ბანაკის" მოწინააღმდეგეებიც - ვეტერან მფრინავთა პროფკავშირების წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მფრინავთა ასოციაციის პრეზიდენტი კერძო ავიაკომპანია "აირზენას" დაკვეთას ასრულებს და ცდილობს, "აირზენასა" და "საქართველოს ავიახაზებს შორის" კონფლიქტი წარმოქმნას. გარდა ამისა, ვეტერან მფრინავებს იმედი აქვთ, რომ მერაბ ადეიშვილი მათ პენსიის 14 ლარიდან 150 ლარამდე გაზრდაში დაეხმარება. **"იქნებ როგორმე დაგვეხმაროს ადეიშვილი და ეს მათხოვრული პენსია გაგვიზარდოს. ამ დროს კი ნურგეკიანი გამოდის და მინისტრს ლანძღავს. ამის შემდეგ რა დახმარების იმედი უნდა გვქონდეს?"** – აცხადებს ვეტერან მფრინავთა პროფკავშირების თავმჯდომარე ალექსანდრე პაპაშვილი. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წარმომადგენლის, მზია ნარმანიას თქმით კი, მინისტრს არ შეუძლია, თვითნებურად გაუზარდოს ვინმეს პენსია. გარდა ამისა, **"ადეიშვილი წარმართავს პოლიტიკას და მას დაფინანსებასთან არანაირი კავშირი არა აქვს."**



ალბერტ ნურგეკიანი



ალექსანდრე პაპაშვილი

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავთა ასოციაცია ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს რამდენიმე თვის ვადას აძლევს, რათა ამ უკანასკნელმა მათი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მერაბ ადეიშვილს სასამართლოში სარჩელის შეტანით ემუქრებიან. ასოციაციის უპირველეს მოთხოვნად კი საქართველოს ავიაციის ტრანსპორტის სამინისტროდან გამოყოფა და ცალკე დეპარტამენტად ჩამოყალიბება რჩება.

# თვითმფრინავების ვარდნის ტრაექტორია სახელმწიფოებრივი სინდისის მიღმა რჩება

რუსიკო ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

რუსი სპეციალისტები დიდი ხანია მიანიშნებენ რუსეთის მორალურად და ტექნიკურად მოძველებელი ავიაპარკის კატასტროფულ მდგომარეობაზე. რუსი სამხედრო სპეციალისტების გაანგარიშებით, სამხედრო მრეწველობის 70 პროცენტზე მეტი უხარისხო ნედლეულით მარაგდება; ამას ემატება სპეციალისტთა კადრების მინიმალური შრომითი ანაზღაურება და ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა იყოს უკრაინისა და რუსეთის საჰაერო სივრცეებში დატრიალებული ავიატრაგედიები.

რუსეთში ავიაკატასტროფების "შავი სეზონი" გახსნა ერთი წლის წინათ, სამხედრო მანევრების დროს, ავიაშოუზე რუსეთის გმირის თეიმურაზ აფაქიძის დაღუპვამ. ამ ფაქტის შემდეგ რუსეთის ავიაპარკს ბედი ნამდვილად არ უღიმის.

რუსული ავიაგამანადგურებლების მსოფლიო პრესტიჟი დღეს ნოლზეა დასული. მსოფლიოში იარაღის მწარმოებელი და ექსპორტიორი რუსეთის ავტორიტეტი ასევე დიდი კითხვის ქვეშაა. უკრაინაში, ლვოვისცაში მომხდარმა ავიაკატასტროფამ და რამდენიმე თვით ადრე შავ ზღვაზე უკრაინის საბრძოლო რაკეტით სამგზავრო რეისის ჩამოგდების უპრეცედენტო ფაქტმა საეჭვო გახადა, ასეთი ავიაპარკითა და საავიაციო პოტენციალით, უკრაინის ნატოს ბლოკში გაერთიანება. საქმეს ვერ უშველა კუჩმას მიერ სამხედრო ავიაციის მაღალი ჩინების სამსახურებიდან დათხოვამ.

რუსეთის გმირმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა თეიმურაზ აფაქიძემ მოახერხა და მწყობრიდან გამოსული "მიგი" ხალხით სავსე აეროდრომს ააშორა. დღეს მისი კოლეგები ამტკიცებენ, რომ აფაქიძეს თავისუფლად შეეძლო კატაპულტირება, მაგრამ ეს არ გააკეთა. არ შეიძლება იგივეს თქმა ლვოვის ტრაგედიაზე, რომელიც მფრინავთა შეცდომით, დაუშვებლად დაბალ სიმაღლეზე ფრენის გამო მოხდა, მფრინავებმა კი თავს უშველეს. მათი პასუხისმგებლობის საკითხს რუსეთის სამხედრო პროკურატურა დაადგენს.

"შერემეტიოვოდან" "ილ-86"-ის სანქტ-პეტერბურგში გაფრენის წინ თვითმფრინავს აუცილებელი ტექნიკური დათვალიერება არ გაუვლია. ავიაკტასტროფის ნამდვილ მიზეზებს სპეციალური კომისია ან დაადგენს, ან ეს ტრაგედიაც წინამორბედების ბედს გაიზიარებს. უკრაინისა და რუსეთის გენერალურმა პროკურატურებმა მიზეზების გარკვევამდე სამხედრო ავიაგამანადგურებლების ფრენა აკრძალეს. რუსეთის მთავარი საავიაციო სამმართველოს ინტერნეტ-საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ადგილი აქვს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მიზანდასახულ დივერსიას, რომლის ორგანიზატორებიც მიზნად ისახავენ, გახშირებული ავიაკატასტროფებით, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პრესტიჟის დაწევას. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ მთელი რიგი რუსი სამხედრო სპეციალისტები. მათი ერთი ნაწილის აზრით, ავიაკატასტროფების მიზეზი სახელმწიფო მოხელეების უპასუხისმგებლობაა და ე.წ.ადამიანური ფაქტორი.

რუსეთში ბოლო დროს მომხდარი ავიაკატასტროფების 70 პროცენტი ადამიანურ ფაქტორს უკავშირდება, ანუ იმ შემთხვევას, როცა ავიატექნიკა მფრინავებს არ ემორჩილება და ეკიპაჟი მართვას კარგავს.

რუსეთის ავიაშემთხვევების გამოძიებათა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის, ანდრეი გუსევის აზრით, ხშირ შემთხვევაში, ავიაკატასტროფები ხდება ამ სფეროში არასათანადო დაფინანსებისა და უმეტესად მწყობრიდან გამოსული ტექნიკის მიზეზით. დაბალი ხელფასები, არაკომპეტენტური კადრი და სამხედრო-საავიაციო სასწავლებლებში მომზადების დაბალი დონე,



ავიაკატასტროფა შერემეტიევოს აეროპორტში. ИТАР-ТАСС

უკანასკნელი წლების კატსტროფების მთავარ მიზეზად დასახელდა.

რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ დღეს ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ სწორედ არაკეთილსინდისიერი სპეციალისტები. მათი აზრით, რუსეთში გახშირებული ავიაკატასტროფები ტენდენცია კა არა, არსებულ მდგომარეობაზე ზემოქმედების აუცილებლობის იგნორირებაა. რუსეთის ავიაშემთხვევების გამოძიებათა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ამბობს, რომ ყველაფრის მიზეზი რუსეთის გარკვეულ სტრუქტურებში სინდისის დეფიციტიცაა.

# ისრაელის არმია პალესტინის ქალაქებში შევიდა

2 აგვისტოს, ღამით ისრაელის არმიის ასამდე ტანკი და სამხედრო ბულდოზერები მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პალესტინურ ქალაქ ნაბლუსში შევიდნენ. ისრაელის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით, პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მოიწონა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყების გეგმა ორგანიზაცია "ჰამასის" წინააღმდეგ, რომელმაც იერუსალიმის უნივერსიტეტში მომხდარ ტერორისტულ აქტზე აიღო პასუხისმგებლობა. ტერაქტის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 86 მძიმედ დაშავდა. მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე 2 აგვისტოს დაწყებული სამხედრო აქცია სწორედ ამ გეგმის ნაწილს წარმოადგენს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, პალესტინელებმა ისრაელის არმიას ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლის შედეგად სამი პალესტინელი დაიღუპა.

ნაბლუსის გარდა, ისარელის არმიამ დაიკავა იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში მდებარე ქალაქები - შხემი და რაფიახა. ისრაელის არმიის წარმომადგენელთა თქმით, შხემი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციების - "ჰამასის" და "ფათჰის" ერთ-ერთ ძირითად ცენტრს წარმოადგენს. მათი განცხადებით, ისრაელში ბოლო პერიოდში მომხდარი ტერორისტული აქტები სწორედ ამ ორგანიზაციებმა განახორციელეს.

თვითმხილველთა თქმით, ისრაელის არმიის, დაახლოებით, 150-მა ერთეულმა ჯავშანტექნიკამ გადაკეტა ქალაქ შხემის ცენტრალური ტერიტორია, ხოლო სპეცრაზმებმა დაიწყეს საცხოვრებელი სახლებისა და შენობების ჩხრეკვა.

შხემში სამხედრო ოპერაციის ჩატარებამდე ისრაელის არმიის იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დაჯგუფების სარდალმა, გენერალ-მაიორმა იცხაკ ეითანმა ხელი მოაწერა ბრძანებას შხემიდან ორი პალსტინელი მებრძოლის ნათესავების გასახლების თაობაზე. ისრაელის გენერალურმა პროკურორმა, ელიაქიმ რუბინშტეინმა კი აღნიშნული აქციის განხორციელებაზე სანქცია გასცა და პალესტინელთა ოჯახებს სააპელაციო სარჩელისათვის 12-საათიანი ვადა მისცა.

ღაზას სექტორში მდებარე ქალაქ რაფიახაში ისრაელის არმიის შესვლის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ეს აქცია პირდაპირ უკავშირდება შხემიდან პალესტინელების გამოსახლების ფაქტს, რადგან გამოსახლებული ოჯახები სწორედ რაფიახაში უნდა გადაიყვანონ.



ისრაელის არმიის ჯარისკაცი ნაბლუსში. REUTERS

# შეუძლია თუ არა ამერიკას, საგარეო პოლიტიკის შეუცვლელად, შეიცვალოს იმიჯი

კობა ლიკლიკაძე,

სპეციალურად "24 საათისათვის" "რადიო თავისუფლება", პრაღა

*როგორც ჩანს, თეთრი სახლი ძალებს იკრებს, რათა საერთაშორისო ავტორიტეტი აიმაღლოს და ამის მიღწევას ახალი უწყების – გლობალურ ურთიერთობათა მუდმივმოქმედი ოფისის- მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური "მესიჯებით" გეგმავს. მაგრამ საერთაშორისო საკითხების ექსპერტები და ამერიკის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად სვამენ რიტორიკულ შეკითხვას, თუ როგორ შეძლებს სუპერსახელმწიფო, მსოფლიოს საზოგადოების თვალში, საკუთარი რეპუტაციის ტრანსფორმირებას ისე, თუკი ძირეულად არ შეიცვლება ის პოლტიკური კურსი, რომელიც დიდწილად განაპირობებს ამერიკისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას?*

"რატომ ვძულვართ მათ", კონგრესის ტრიბუნიდან სწორედ ამ შეკითხვით მიმართა 11 სექტემბრის ტერაქტიდან 9 დღის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამერიკელ ხალხს. ამერიკის მოძულეებში ბუში მუსულმანურ სამყაროს იმ წარმომადგენლებს გულისხმობდა, რომლებმაც ნიუ- იორკსა და ვაშინგტონში საზარელი ტორორისტული დანაშაული ჩაიდინეს. "მათ ვძულვართ ჩვენი თავისუფლების გამო," - ასეთი იყო თავად ბუშის პასუხი საკუთარ შეკითხვაზე.

სინამდვილეში, ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ვაშინგტონის მიმართ არსებული საერთაშორისო სიძულვილისა და რისხვის მიზეზი თავად ამერიკის შეერთებული შტატების არადემოკრატიული საგარეოპოლიტიკური კურსია. ხოლო ასეთი ანტიამერიკული განწყობილება, სინამდვილეში, 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა თეთრი სახლის მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებების გამო. მათ შორის კრიტიკოსები ყველაზე ხშირად შემდეგ მიზეზებს ასახელებენ: ერთპიროვნული ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, დაუბალანსებელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე, გლობალური საფრთხის უგულებელყოფა და უარის თქმა ახალ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში მონაწილეობაზე.

ამ ფონზე მეტად საინტერესოდ გამოიყურება გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც თეთრი სახლის ინკოგნიტო წარმომადგენელი ბუშის ადმინისტრაციის ახალ სტრატეგიაზე საუბრობს. ინკოგნიტო რესპონდენტის მტკიცებით, ამერიკის მთავრობა აპირებს, შექმნას გლობალურ ურთიერთობათა მუდმივმოქმედი ოფისი, რომელსაც საზღვარგარეთ ამერიკის საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცება დაევალება. მოგვიანებით ამას მოჰყვა საგარეო ურთიერთობების საბჭოს განცხადება, რომელშიც საუბარია "სახალხო დიპლომატიის" გააქტიურებაზე მუსლიმანური ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის ახალგაზრდებში თანამოაზრეთა რიცხვის გაზრდის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ თეთრი სახლის ამ ინიციატივას ჯერ მელანიც არ შეშრობია, ამერიკის ახალ დიპლომატიურ სტრატეგიას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. შტატ ნიუ ჰემპშირის დარტმუთის კოლეჯის პროფესორი სტივენ ბრუკსი მიიჩნევს, რომ ბუშის ადმინისტრაციას მართლაც მართებს ენერგიული ზომების მიღება, რათა გაანეიტრალოს ის არაკეთილგანწყობა, რაც ამერიკის ქედმაღლური საგარეო პოლიტიკის მიმართ შეიმჩნევა მუსლიმანურ ქვეყნებში და, მათ შორის, ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოშიც. ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიან საშუალებად, ბრუკსის თქმით, ღარიბი ქვეყნებისთვის მიმზიდველი ეკონომიკური პროგრამების შექმნა და მათი პროდუქციის გასაღებისთვის ხელშეწყობა იქნება.

სტივენ ბრუკსი: "თუ აღშფოთება მატულობს, როცა განვითარებადი ქვეყნებს არ ძალუძთ ზრდა, და თუკი მათ უფრო სწრაფი განვითარების საშუალებას მისცემს ამერიკის ბაზარზე საკუთარი აგროსამრეწველო პროდუქციისა და ქსოვილების გატანა, მაშინ საკვირველი იქნებოდა, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ ისარგებლებდა ამ ვითარებით და არ შეამცირებდა იმ ბარიერებს, რაც განვითარებად ქვეყნებს პროდუქციის ექსპორტს უზღუდავს."

ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო ავტორიტეტის განსამტკიცებლად, თეთრი სახლის გლობალურ ურთიერთობათა ოფისი, ეკონომიკურის გარდა, კულტურულ და საინფორმაციო პროგრამების შექმნაზეც მუშაობს. მათ შორის ასახელებენ რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობების გახსნას ისეთ საკვანძო რეგიონებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი. მაგრამ ბევრი ანალიტიკოსი და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ თეთრი სახლის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში არ დაბალანსდება და იგი კვლავინდებურად პროშარონისტული დარჩება, სიძულვილი კიდევ უფრო ბევრ მუსლიმანს გადაედება და ამერიკა კვლავაც დარჩება ტერორისტთა სამიზნედ.

## საერთაშორისო ამბები

# გაერო-ს სამხედრო ინსპექტორი ბაღდადში მიიწვიეს

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ნაჯი საბრიმ გაერო-ს გენერალურ მდივანს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ ერაყის ხელისუფლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ სამხედრო ინსპექტორს, ჰანს ბლიქსს, ექსპერტებთან ერთად, ბაღდადში ე.წ. "ტექნიკური საკითხების შესახებ" იწვევს მოლაპარაკებებზე. ჯერჯერობით გაერო-ს წარმომადგენლებს აღნიშნულ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. "ბიბი-სი"-ს კორესპონდენტთა აზრით, ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის განახლების იმედები ადრეც იყო, თუმცა ამას რეალური შედეგები არ მოჰყოლია. გაერთიანებული ერების სამხედრო ინსპექტორებმა ერაყის ტერიტორია 1998 წელს დატოვეს, როდესაც სადამ ჰუსეინსა და მის მთავრობას თანამშრომლობის ჩაშლის მცდელობაში დასდეს ბრალი. (REUTERS)

# ჩეჩნეთში დივერსიის შედეგად რუსი სამხედროები დაიღუპნენ

2 ივნისს გროზნოში, ბაზართან ჩეჩენი მებრძოლები რუს სამხედროებს დაესხნენ თავს, რის შედეგადაც ორი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ხოლო ექვსი დაიჭრა. იმავე დღეს სოფელ ნოვი ატაგისთან რადიომართვად ჭურვზე რუსი სამხედროების ჯავშანტრანსპორტიორი და ავტომანქანა "ურალი" აფეთქდა. ოთხი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა ვედენოს რაიონში, სადაც ნაღმზე აფეთქდა რუსეთის შინაგანი ჯარების ავტომანქანა. აფეთქებების სერია ღამითაც გაგრძელდა. შელკოვსკოეს რაიონულ ცენტრში ჩეჩენმა მებრძოლებმა რუსეთის შინაგანი ჯარების სამხედრო პუნქტზე იერიში მიიტანეს. ბრძოლის შედეგად ერთი რუსი რიგითი ჯარისკაცი დაიღუპა. (რია-ნოვოსტი)

# აზერბაიჯანელებმა ყარაბაღის სოფელი დაიკავეს

აზერბაიჯანულმა სატელევიზიო სადგურმა ANS-მა 31 ივლისს, საღამოს აჩვენა რეპორტაჟი მთიანი ყარაბაღის აგდამის რაიონის სოფელ იუსიფჯანლიდან, რომელიც თითქოსდა აზერბაიჯანელმა ჯარისკაცებმა გაათავისუფლეს. რეპორტაჟის მიხედვით, თვე-ნახევრის წინ, სომხეთის მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის საპასუხოდ, აზერბაიჯანის არმიის რამდენიმე ჯგუფმა შეძლო არა მარტო მოწინააღმდეგის განეიტრალება, არამედ შეტევაზეც გადავიდა და სოფელი დაიკავა. ტელეკომპანიის სიუჟეტის მიხედვით, შეტაკებაში სამი აზერბაიჯანელი ჯარისკაცი დაიღუპა.

რეპორტაჟის დროს აზერბაიჯანელი ჯარისკაცები აცხადებდნენ, რომ მათ სურთ და შეუძლიათ წინ წასვლა, მაგრამ ამისთვის "პრეზიდენტის ბრძანება ესაჭიროებათ".

სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ უარყო ეს ფაქტი და მას "აზერბაიჯანის მხრიდან ჩვეულებრივი პროვოკაციული განცხადება" უწოდა.

# „პოლიტიკური„ მანევრები კასპიის ზღვაზე

გიორგი ხელაშვილი

*რუსეთ-აზერბაიჯან-ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო მანევრების მიზანი კასპიის ზღვის სტატუსის გადაწყვეტის დაჩქარებაზე პოლიტიკური ზემოქმედებაა.*

რაში დასჭირდათ რუს სამხედროებს მანევრების ჩატარება ზღვაზე, რომელსაც მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელი არ გააჩნია? რუსეთის სამხედრო-საზღვაო პოტენციალი ხომ კასპიის ზღვის ყველა მონაპირე სახელმწიფოს პოტენციალს, ერთად აღებულს, ისედაც აღემატება.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, 1 აგვისტოს დაწყებული შეკრება-ლაშქრობა კასპიის ზღვაზე ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველაზე მრავალრიცხოვან სამხედრო მანევრებს წარმოადგენს. მასში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის 60 სამხედრო ხომალდი, 30 ვერტმფრენი და თვითმფრინავი, ასევე 10 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. მანევრებში ჩაერთვებიან რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები, ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი, საზღვაო ქვეითი ჯარები, სარკინიგზო ჯარები, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები, დაზვერვის ფედერალური სამსახური, განსაკუთრებულ ვითარებათა სამინისტრო და ტრანსპორტის სამინისტრო.

სამხედრო-საზღვაო მანევრების ფორმალური მიზნებია კასპიის ზღვის რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლა, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტის აღკვეთა, ბრაკონიერობის, მეკობრეობის ალაგმვა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შეკრება-ლაშქრობის პირველი ნაწილი სამეთაურო-საშტაბო სწავლებებს, მეორე ნაწილი კი უშუალოდ სამხედრო მანევრებს დაეთმობა, რომლებიც კასპიის ზღვის შუაგულში ჩატარდება და მათში აზერბაიჯანული სამხედრო ხომალდი და ყაზახეთის ავიაესკადრილიაც მიიღებენ მონაწილეობას.

რუსული და უცხოური სააგენტოები თანხმდებიან, რომ მიმდინარე სამხედრო მანევრები პოლიტიკურ სარჩულს ატარებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტმა პუტინმა მანევრების ჩატარების ბრძანება მაშინვე გასცა, როდესაც, დაახლოებით, ერთი თვის წინ კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.

კასპიის ზღვის გაყოფის თაობაზე რუსეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის პოზიციას არ იზიარებენ თურქმენეთი და ირანი. ნიშანდობლივია, რომ ისინი ამ მანევრებშიც არ მონაწილეობენ. საინტერესოა, რომ ირანმა სულ ახლახან გამოაცხადა, რომ კასპიის ზღვაზე ძლიერი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფების შექმნას აპირებს, რომელსაც მასშტაბური სამხედრო ოპერაციების განხორციელება შეეძლება. მეორეს მხრივ, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, კუროედოვმა თქვა, რომ "რუსეთის სამხედრო პოტენციალი კასპიის ზღვაზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტია უნდა გახდეს რეგიონის ყველა ქვეყნისათვის".

უფრო შორს მიდის ამერიკული "ქრისჩენს საიენს მონიტორი", რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთს ამ მანევრების ჩატარება კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების გაკონტროლებისა და თავისი ტერიტორიის გავლით მათი გადაზიდვისათვის დაჭირდა. გაზეთის მიმომხილველი ყურადღებას აქცევს პრეზიდენტ პუტინის გაზრდილ აქტივობას ყაზახეთის მიმართ და სულ უფრო მზარდ ჩარევას კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების საკითხებში.

# თბილისს მოსკოვის შეცდომებზე პასუხისგება უხდება

საქართველო ტერორიზმთან ბრძოლისას ორ ცეცხლშუა მოექცა. თბილისი სიამოვნებით მოიშორებდა თავიდან პანკისის ხეობის ბანდებს, მაგრამ არ შეუძლია მათთვის ომის გამოცხადება, რადგან სამხედრო მომზადების მხრივ სუსტია. იმ შემთხვევაში, თუ ბანდები საქართველოს დატოვებენ და ჩეჩნეთის მიმართულებით წავლენ, მაშინ მოსკოვი საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებით იმუქრება. ამავე დროს, მოსკოვი, პროფილაქტიკის მიზნით, იქ აკეთებს ყველაფერს, რასაც თავისთვის საჭიროდ მიიჩნევს. შეერთებული შტატების მცდელობა, დაცვის ქვეშ აეყვანა საქართველო, იქ სამხედრო მრჩევლების გაგზავნის საშუალებით, ჩაიშალა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ კავკასიაში ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში პროგრესი არ შეიმჩნევა. ჩეჩნეთის საზღვრის მიღმა მიმდინარე მოვლენები რუსეთის არმიის საშინელი ქმედებების მხოლოდ ნაწილია, რომლებიც თითქოსდა დიდი ხნის წინ დაწყნარებულ სამხედრო პლაცდარმზე მიმდინარეობს, სადაც ტერორიზმი მიზეზი კი არ არის, არამედ სეპარატისტულ მისწრაფებებთან ბარბაროსული ანგარიშსწორების შედეგია. ამიტომაც საქართველოს საქმე აქვს ჩეჩნეთის ომის არასწორ აღქმასთან: უკვე დიდი ხანია, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა ამართლებს არა მარტო მიზნებს, არამედ საშუალებებსაც, რომლებსაც მოსკოვი მიმართავს ამბოხებულებთან ომში გროზნოშიც და სხვაგანაც. ამაზე პასუხისგება კი სულ სხვა მთავრობას უწევს, სულ სხვა ქვეყანაში.

**"Frankfurter Allgemeine Zeitung", 1 აგვისტო, 2002**

# გმადლობ, ამერიკა!

მაკა ჭაიანი

ამ პათოსით დასრულდა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა "ქმედება იმედის საწინდარია", რომელიც საქართველოს სტაციონარების აღჭურვასა და მედპერსონალის წვრთნას ითვალისწინებდა. ეს არ გახლავთ ამ ხასიათის პირველი ამერიკული დახმარება. მსგავსი პროგრამა საქართველოში 1992 და 1994 წლებშიც განხორციელდა, თუმცა ასეთი მასშტაბური არც ერთი ყოფილა. შარშან, აგვისტოში ჩამოსული ტვირთის ღირებულება 20 მილიონი დოლარია.

სამედიცინო ტექნიკა და საგნები საქართველოს ამჯერად იტალიაში არსებულმა აშშ-ს სამხედრო საზღვაო ჰოსპიტალმა აჩუქა. სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩვენთან აპარატურის დასამონტაჟებლად და მედპერსონალისთვის მისი მოხმარების სასწავლებლად ჩამოვიდა, 11 სექტემბრის მოვლენების გამო, იძულებული გახდა დისლოკაციის ადგილს დაბრუნებოდა. მისია შეწყდა, მაგრამ მხოლოდ დროებით. "11-მა სექტემბერმა ვერ შეძლო ჩვენი კოოპერირების ჩაშლა, დახმარების მსგავსი პროექტები მომავალშიც განხორციელდება", - აღნიშნა გუშინ ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა, ნილ ო`კონორმა.

წლევანდელი პროგრამა წინამორბედებისგან იმითაც განსხვავდება, რომ მის ფარგლებში საქართველოს მაღალმთიანი და გაჭირვებული რეგიონების - ყაზბეგის, მესტიის, ახალქალაქისა და ლანჩხუთის სტაციონარების აღჭურვაც მოხდა. თბილისში ჩამოტანილი ტექნიკა: რენტგენის აპარატები, ექოსკოპები, დეფიბრილატორები და ა.შ. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, ტუბერკულოზისა და ფილტვის კიბოს, თერაპიის, კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტებში, ჯო ენის, სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში, ონკოლოგიურ, ქალაქის I, IV საავადმყოფოებსა და I საავადმყოფოს 6 კლინიკაში დამონტაჟდა.

"ეს არის კარგად შენახული ან პრაქტიკულად ახალი ტექნიკა. საწოლების მშვენიერი ფონდი. ამიერიდან სახელმწიფო პროგრამები ჩვენთან თანამედროვე და არა 50-იანი წლების მოწყობილობებით განხორციელდება", - აცხადებს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, შოთა გოგიჩაიშვილი. ისიც და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, ამერიკელ სამხედრო ექსპერტებთან შემაჯამებელ შეკრებაზე მისული სხვა იღბლიანი სტაციონარების ხელმძღვანელებიც, უკვე დასრულებულ ამ პროგრამაზე მხოლოდ კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ. მოსახლეობის კმაყოფილებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია - აისახება თუ არა ოკეანისგაღმელთა ჰუმანიტარული დახმარება სამედიცინო მომსახურების ტარიფებზე, ვერავინ ამბობს.

ამერიკელი ექსპერტები სამშობლოში დღეს მიემგზავრებიან. ორი-სამი წლის შემდეგ ისინი კვლავ აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას. მათი მომავალი ვიზიტის მიზანი დამონტაჟებული აპარატურის შემოწმება და სტაციონარების სამედიცინო ინვენტარით მომარაგება იქნება. იქამდე თუ რამე გაგიჭირდათ, მხოლოდ დაგვირეკეთ და აქ გავჩნდებითო, ღიმილით დაიბარეს ამერიკელებმა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ დანაბარებს ქართველები აუცილებლად გამოიყენებენ.

# ინვალიდთა მუქარის შედეგად ხელისუფლება დათმობაზე წავიდა

ნანა ქადაგიშვილი

გუშინდელმა შეხვედრამ სახელმწიფო მინისტრთან ინვალიდებს მუქარა გადააფიქრებინა. "24" საათი უკვე წერდა, რომ ინვალიდები სასექტემბროდ მასობრივი აქციების მოწყობას აპირებდნენ.

"თუკი ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, არ მოგვხედავს და იმას მაინც არ დაგვიბრუნებს, რაც აქამდე გვეკუთვნოდა, სექტემბერში ათასობით ინვალიდი ქუჩაში გამოვალთ და მერე უკვე მხოლოდ შეღავათებს აღარ მოვითხოვთ, ჩვენი გამოსვლები პოლიტიკურ აქციებში გადაიზრდება", – იმუქრებოდნენ ისინი და ამის შესრულება ნელ-ნელა დაიწყეს კიდეც. რამდენიმე დღის წინათ კანცელარიის წინ აქცია მოაწყვეს, სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა კატეგორიულად მოითხოვეს და თავისსას კიდევაც მიაღწიეს - ავთანდილ ჯორბენაძესთან შეხვედრა ინვალიდების სასარგებლოდ დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ ინვალიდები 2002 წლის აგვისტომდე კუთვნილ სოცანარიცხებზე, ქონებისა და მოგების გადასახადებზე შეღავათების დაბრუნებას ითხოვდნენ. ეს შეღავათები საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ გაუქმდა. ინვალიდები ირწმუნებიან, რომ მათი შეღავათები სავალუტო ფონდის მოთხოვნას შეეწირა. ხელისუფლებამ ფონდის დირექტივა უყოყმანოდ შეასრულა და ინვალიდები მხოლოდ 14-ლარიანი პენსიის იმედად დატოვა. აღშფოთებული ინვალიდები, განსაკუთრებით, ავთანდილ ჯორბენაძით იყვნენ უკმაყოფილო. იგი მათ შეპირდა, რომ საგადასახადო ცვლილებებში შესატანი ცვლილებები ინვალიდების კუთვნილ შეღავათებს არ შეეხებოდა, მაგრამ, როგორც რამდენიმე დღეში გაირკვა, მინისტრის ნათქვამი ტყუილი აღმოჩნდა. ინვალიდებმა ეს ფაქტი გაახმაურეს და პრესკონფერენციასა და აქციებზე ჯორბენაძის გვარს მოიხსენიებდნენ.

ინვალიდთა მოთხოვნა-მუქარამ ხელისუფლება აიძულა, მათთვის ყურადღება მიექცია. გუშინ ჯორბენაძემ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო კოდექსში, ინვალიდების სასარგებლოდ, ახალი ცვლილებების მომზადება მოსთხოვა.

ეს ცვლილებები სამშაბათისთვის უკვე მზად უნდა იყოსო, კატეგორიულად განაცხადა მინისტრმა და ინვალიდების წინაშე თავიც იმართლა, შეღავათები ისე გაუქმდა, საქმის კურსში არ ვიყავიო. ხელისუფლება ინვალიდთა ლიგის თავმჯდომარის გოგა კოხრეიძის პროექტითაც სერიოზულად დაინტერესდა. ეს პროექტი ინვალიდებით დასაქმებული საწარმოების კონტროლისა და აღრიცხვიანობის ახალ მექანიზმებს ითვალისწინებს.

ხელისუფლება ჩვენთვის შეღავათების გაუქმებას იმით ხსნის, რომ თუკი ინვალიდებით დასაქმებულ საწარმოებს შეღავათები ექნებათ, მეწარმეები მაქინაციებს მიმართავენ, საწარმოში ინვალიდებს გააფორმებენ და ბიუჯეტს ფული დააკლდებაო. ჩვენი პროექტი თუ განხორციელდა, ეს პრობლემები აღარ იქნება", – აცხადებს კოხრეიძე. სახელმწიფო მინისტრმა ინვალიდთა ლიგა დააიმედა, რომ მათი პროექტი დღის სინათლეს იხილავს და ეკონომიკის სამინისტროს აღნიშნულ პროექტზე მუშაობა დაავალა.

ასე რომ, ინვალიდთა აქტიურობამ შედეგი გამოიღო. თუმცა, საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ ბევრი პროცედურაა გასავლელი.

# „თბილწყალკანალი" მევალეებს ურიგდება

ეთერ მამულაშვილი

"თბილწყალკანალმა" ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებთან ახალი ტიპის ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყო. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც წლების განმავლობაში სოლიდური დავალიანება დაუგროვდათ, შესაძლებლობა ექნებათ, მიმდინარე თვეების გადასახადთან ერთად, ძველი დავალიანების 5-10 პროცენტი დაფარონ.

"თბილწყალკანალის" განცხადებით, ჯანდაცვის იმ ობიექტებს, რომლებიც 5 აგვისტომდე ამგვარ შეთანხმებას ხელს არ მოაწერენ, წყლის მიწოდება ავტომატურად შეუწყდებათ. თბილისში მოქმედი 129 ჯანდაცვის ობიექტის დავალიანებამ "თბილწყალკანალისადმი", საურავის გარეშე, უკვე ორ მილიონნახევარ ლარს გადააჭარბა.

"სასიცოცხლო დანიშნულების მსხვილ ობიექტებთან პირადად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, ოცდაათმა მათგანმა ჩვენთან უკვე გააფორმა ხელშეკრულება ვალების ეტაპობრივად დაფარვის თაობაზე, დანარჩენებისგან არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა. ყველას გავუგზავნეთ გამაფრთხილებელი წერილები. ორშაბათიდან იძულებული გავხდებით, ყველას, ვინც "თბილწყალკანალთან" არ შეთანხმდება, შევუწყვიტოთ წყლის მიწოდება. ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც ინფორმირებულია", – განუცხადა "24 საათს" "თბილწყალკანალის" პრესმდივანმა გოჩა ჯელიამ.

ბოლო მონაცემებით, იმ ობიექტთა რაოდენობამ, რომლებსაც "თბილწყალკანალთან" ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია, ასამდე მიაღწია. მათ შორისაა: თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფო, სეფსის ცენტრი, ტუბდისპანსერი და №1 საავადმყოფო. ეს უკანასკნელნი აცხადებენ, რომ ამ დღეებში "თბილწყალკანალთან" ხელშეკრულებას აუცილებლად მოაწერენ ხელს, თუმცა, რამდენად შეასრულებენ მათ პირობებს, ამაში თავადაც არ არიან დარწმუნებულნი. "მიმდინარე დავალიანების დაფარვა ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ გასული წლების ვალი 150.000-ზე მეტია და ამ თანხის გადახდა ძალიან გაგვიჭირდება. ჩვენდამი სახელმწიფო სადაზღვეო კომპანიის მიერ ჩვენთვის გადასახდელმა ვალმა 300.000 ლარს გადააჭარბა. თუკი სადაზღვეო ამ ვალის თუნდაც ნაწილს გადაგვიხდის, "თბილწყალკანალთან" არანაირი პრობლემები არ გვექნება", – აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თბილისის სეფსისის ცენტრის დირექტორმა ომარ ქუტიძემ.

# ჩვეულებრივი ისტორია



მასწავლებელი აღსაზრდელებთან ერთად

იური ლობოდინის ფოტო

თამარ მაისურაძე

ამ სენტიმენტალური ამბის მონაწილე ქალბატონს წყნეთის ბავშვთა სახლში შემთხვევით შევხვდით. ქალბატონი, როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, იქ ბავშვის ხელახლა ჩასაბარებლად იყო მისული. ხელახლა იმიტომ, რომ მზია კეზუას თავისი 4 ძმისშვილი ბავშვთა სახლიდან ერთი თვის წინ გაუყვანია. რის იმედად, თავადაც ვერ გვითხრა. "ბავშვები 3 წლის განმავლობაში აქ იყვნენ. უფროსი 7 წლის არის. პატარები ამდენს ვერ ხვდებიან, მაგრამ უფროსი სახლში წამიყვანეო, მეხვეწებოდა. მეც გადავწყვიტე და წამოვიყვანე. რის და ვის იმედად, არ ვიცი... 3 შვილი მყავს. არც მე ვმუშაობ და არც ჩემი ქმარი. ჩვენი ბავშვებისთვის ვერ მიგვიხედავს, მშივრები და ტიტვლები არიან. საარსებოდ ელემენტარული პირობებიც არ მაქვს. კიდევ 4 ბავშვს, ვერანაირად ვუპატრონებ. აქ კი ბავშვები უკეთესად არიან, არც შიათ და არც სცივათ. უფროსი წყნეთის საშუალო სკოლაში სწავლობს. რამდენიმე წლის წინ პატარა ავად გახდა. უმკურნალეს, მოარჩინეს. სახლში რომ მყოლოდა, დღეს ცოცხალი იქნებოდა თუ არა, ისიც არ ვიცი. ელემენტარულად წამლის ყიდვაც კი არ შემეძლო. ამდენად, იძულებული გავხდი, რომ ჩემი ძმისშვილები ისევ ბავშვთა სახლში ჩამებარებინა. იცით, ბავშვები რომ აქ იყვნენ, რამდენჯერმე ხელმძღვანელობის გაუფრთხილებლად მოვედი და ჩემი პატარები სუფთები და მოწესრიგებულები დამხვდნენ", – გვითხრა პატარების მამიდამ. მის ძმისწულებს დედაც ჰყოლიათ და მამაც. "დედა ავად ჰყავთ. მეოთხე შვილის გაჩენის შემდეგ გონზე აღარ არის. ნევროზი აქვს მძიმე ფორმებში. ვერც ხვდება, რომ მისი შვილები არიან. მამა არ მუშაობს, თავს ძლივს ირჩენს. ზუგდიდში ცხოვრობს. ბავშვებიც იქ ჰყავდა. მათი თბილისში წამოყვანა მე გადავწყვიტე. სამი წლის განმავლობაში ბავშვები სახლში პირველად წავიყვანე. აქ თუ დაიტოვეს, არ ვიცი სახლში როდის გავიყვან. ალბათ, აქ გაიზრდებიან. არადა, იცით, როგორ ითხოვენ დედას და მამას? თავიანთ მშობლებთან ერთად უნდათ რომ იყვნენ... იცით, რა კარგი, ლამაზი ბავშვები არიან? თეთრები, პუტკუნები, სხვებისგან გამორჩეულები... მაგრამ, რა ვქნა, როცა არაფერი შემიძლია..." – მოგვიყვა თვალცრემლიანმა მამიდამ და დაამატა: "მასწავლებლებიც ძალიან კარგები არიან. ამ დილით რომ მოვედი, მასწავლებელს ბავშვი კალთაში ჩაესვა, კოცნიდა და ეხუტებოდა."

# თქვენ დაიფარეთ ბავშვები, ქუჩებო!




"ბავშვი და გარემოს" კონტინგენტი

მარიკა ამურელაშვილის ფოტო

ეკატერინე ბახუტაშვილი

დიდუბის მეტროს ზედა ჩასასვლელის მიმდებარე ტერიტორია ქუჩის ბავშვებისა და ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" ქუჩის მობილური ჯგუფის შეხვედრის ადგილია. ორგანიზაციას ანალოგიური პუნქტი აქვს დიდ დიღომშიც, სადაც ტოქსიკომანი მოზარდები არიან. ქუჩის ბავშვების ეს საგანმანათლებლო პროექტი, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, უკვე მეოთხე წელია მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე ბავშვების კონტინგენტიც მუდმივად იცვლებოდა.

ქუჩის მობილური ჯგუფის ყოველი დღე შუადღიდან იწყება. ისინი ჯერ დიდუბის პუნქტში გადიან, შემდეგ დიღომში. მათ თან მიაქვთ მაგიდა და სკამები და ბავშვებს ელემენტარულ განათლებას აძლევენ - ხატავენ, შემდეგ კი პატარებს სხვადასხვა სათამაშოებით ართობენ. მუშაობაში უმთავრესი ფუნქცია ჯგუფის ფსიქოლოგს და სოციოლოგს აკისრიათ.

დიდუბის პუნქტში რაიონებიდან ჩამოსული 22-მდე ქუჩის ბავშვი იკრიბება. ჯგუფთან ერთად გასულებს, დიდუბეში, გაუქმებული შადრევნების მახლობლად, ამჯერად ორი გოგონა დაგვხვდა - 11 წლის თამუნა და 17 წლის ქეთი.

ცოტა მოგვიანებით კიდევ ათამდე ბავშვი მოვიდა. ჩვენ მათთვის უცხოები ვიყავით და ზოგიერთი მათგანი აგრესიითაც კი შეგვხვდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით თამუნა გამოირჩეოდა, რომელიც სხვებს ჩვენი ყოფნის შესახებ სიგნალს აძლევდა. ზოგიერთმა ბავშვმა ეს ამბავი მეტროს სადგურზევე შეიტყო და პუნქტს აღარ გაკარებია. "ჟურნალისტების მიმართ ამათ გარკვეული შეხედულებები ჩამოუყალიბდათ. ასე შეხვდნენ ბი-ბი-ს-ის კორესპონდენტებსაც. ეს იმის გამო მოხდა, რომ ბავშვებმა მათ მიმართ პოლიციელთა დამოკიდებულების შესახებ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა. ამის შემდეგ კი მეტროში აღარ უშვებდნენ", - გვითხრა "ბავშვი და გარემოს" წარმომადგენელმა თინა კიკალიშვილმა.

მეტრო კი ქუჩის ბავშვების ოჯახების არსებობის წყაროა. ახალგორელი თამუნა, დედასთან და ორ ძმასთან ერთად, ერთ-ერთი რესტორნის საყარაულოს პატარა ოთახში ცხოვრობს. ბავშვის დედაც მეტროში ვაჭრობს. მამა ტუბერკულოზით გარდაიცვალა.

თამუნა სკოლაში მხოლოდ 2 წელი დადიოდა.

17 წლის ქეთის 11 წლის ბავშვის აღნაგობა აქვს. დედამისის თქმით, ქეთი ხშირად ავადმყოფობს. ახლახანს, ორგანიზაციის "ბავშვი და გარემოს" მეშვეობით, ექიმებმა მას რევმატიზმის დიაგნოზი დაუსვეს. ალუმინის მოპარვის გამო, ქეთი მეხუთე იზოლატორშიც მოხვდა და იქ ცხრა დღე გაატარა. იგი ომბუდსმენმა დაიხსნა. "მობილური ჯგუფის წევრებს ბავშვების ცხოვრებაში სიხალისე შეაქვთ.ამათი შვილობილები არიან", - გვითხრა მადლიერმა ქეთის დედამ.

დიდუბის ამ პუნქტში ახლახანს დაბადების დღეც აღნიშნეს. ოზურგეთელი კახა 16 წლის გახდა. მას სამუშაო არ აქვს და იმას აკეთებს, რასაც შესთავაზებენ.

"6-7 წლის ასაკის შემდეგ სიგარეტის მოწევა მათთვის ჩვეულებრივი ამბავია. ამ ბავშვებს განათლების მიღება ნაკლებად აინტერესებთ. მხოლოდ ზოგიერთს სურს ხელობის შესწავლა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მობილური ჯგუფის ფსიქოლოგმა მაია ლაშქარაშვილმა.

დიღმის პუნქტში შემოგვეგება 13 წლის ფედია, რომელსაც წებოს სუნი ასდიოდა. მოგვიანებით, 15 წლის ინგა და 13 წლის მარიკაც გამოჩნდნენ. დიღმის პუნქტში სულ 10 ტოქსიკომანია. ისინი თავს მათხოვრობით ირჩენენ.

"ამ ბავშვებში დიდი სითბო და სიყვარულია. მათ მდგომარეობას ყველა განვიცდით. ყველაზე მეტი სიყვარულით ისინი მობილური ჯგუფის მასწავლებელს მოიხსენიებენ. ერთხელ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: რესტორანში ერთ-ერთი გამყიდველი გოგოს დაბადების დღეს აღვნიშნავდით.

ამ ბავშვებმა ეს რომ გაიგეს, ტორტი იყიდეს და შემოაგზავნეს. ამის შემხედვარე, ყველა ვტიროდით. შემდეგ ისინი რესტორანში შემოვიყვანეთ", - გვითხრა ნატო ასლანიკაშვილმა.

თავისუფლება, სილაღე მათ დადებით მუხტს ანიჭებს. დიდუბის მეტროს ტერიტორიაზე მყოფ ქუჩის ბავშვებსა და ტოქსიკომანებს შორის სხვაობა თვალშისაცემია. მობილური ჯგუფის წევრებმა გვითხრეს, რომ დიდუბის მეტროს ტერიტორიაზე მომუშავე ბავშვები აგრესიულები მშობლების გამო არიან, რადგან ისინი მათ მუშაობას აიძულებენ.

# პანკისში დაკავებული სამი რუსი ვინაობას მალავს

**"რუსეთის სასაზღვრო ჯარების მეთაური კონსტანტინ ტოცკი ან არ აწვდის შესაბამის ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველო-რუსეთის საზღვარზე შექმნილი ვითარების შესახებ, ან რუსული მილიციის წარმომადგენლებისათვის არც ისე საშიშია პანკისის ხეობა, როგორც ამას რუსული მასმედია წერს",** -- ამ სიტყვების თქმის საფუძველს საქართველოს უშიშროების მინისტრს 31 ივლისს პანკისის ხეობაში სამი რუსი ეროვნების მამაკაცის დაკავების ფაქტი აძლევს, რომლებიც დაკავებისას ირწმუნებოდნენ, რომ კრასნოდარის შს განყოფილების თანამშრომლები არიან. მათ სამართალდამცველებს წარუდგინეს კიდეც პირადობის დამადასტურებელი საბუთები, რომლის თანახმადაც ერთი მათგანი მილიციის კაპიტანი მიხეილ ტიჩკოვია, მეორე - მილიციელი იური უგრიუმოვი, მესამე კი - კრასნოდარის შს განყოფილების პრესცენტრის ხელმძღვანელი ვლადიმირ ბლინოვი. დაკავებულებს თან ახლდათ ჩეჩენი ეროვნების მამაკაცი – მაჰმუდ ზურაბოვი. როგორც მათ აღნიშნეს, ისინი ვლადიკავკაზიდან ცხინვალში მიკროავტობუსით ჩავიდნენ, იქიდან კი პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დუისში, ავტომანქანა "ჯიპის" საყიდლად გაემართნენ. ამასთან, საქართველოში შემოსასვლელი ვიზების არქონა მათ ასეთი საჭიროების არცოდნით ახსნეს.

გუშინ ამ სამი პიროვნების დაკავებას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა საქართველოს უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ. მისი თქმით: **"რუსეთთან გართულებული ურთიერთობებისა და საქართველო-რუსეთის საზღვარზე პროვოკაციების ფონზე მსგავსი დაკავებები სიმპტომატურია, მით უმეტეს, რომ მხარეებს შორის სავიზო რეჟიმი მოქმედებს".**

ხაბურძანია არ გამორიცხავს, რომ დაკავებულები, შესაძლოა, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ.

დაკავებისას წარმოშობილი ეჭვი დაკავებულთა საბუთების სიყალბის შესახებ, ფაქტობრივად, გამართლდა. კრასნოდარის მხარის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინფორმაციის განყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ტატიანა შირშოვამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არც კრასნოდარის მხარის და არც ქალაქ კრასნოდარის შინაგან საქმეთა სამმართველოში არ არის პრესსამსახურის თანამშრომელი, გვარად ბლინოვი. შიშოვა თვლის, რომ ვინმე ბლინოვის მიერ წარდგენილი მოწმობა ყალბია. მანვე აღნიშნა, რომ ინფორმაცია ტიჩკოვთან და უგრიუმოვთან დაკავშირებით ამჟამად მოწმდება.

ამ ცნობამ, ფაქტობრივად, დაადასტურა უშიშროების მინისტრის ეჭვი იმის თაობაზე, რომ დაკავებულები სპეცდავალების შესასრულებლად ჩავიდნენ პანკისის ხეობაში.

გუშინვე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაკავებულებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ცხადია, ჯერჯერობით მათ სპეცსამსახურების აგენტობას ოფიციალურად ვერავინ აბრალებს. სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-10 პუნქტით, რომელიც სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთისათვის 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



ვალერი ხაბურძანია

# „ალფადან" პენტაგონის პროგრამამდე

ინგა ალავიძე

ვერავინ იტყვის, საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმები არ სჭირდებაო, მით უმეტეს, რომ ხელისუფალნი მუდმივად დესტაბილიზაციის საფრთხეზე მიგვითითებენ. ჩვენი ქვეყანა არც ტერორიზმისგანაა დაცული და დაკარგული ტერიტორიებიც დასაბრუნებელი გვაქვს. ძლიერი სპეცრაზმების შექმნის სურვილი ბოლო ხანებში ხელისუფლების წარმომადგენლებსაც აშკარად გაუჩნდათ.

7-8 წლის წინ კი საქართველოს ჰყავდა ორი უძლიერესი სპეცრაზმი - "ომეგა" და "ალფა". თუმცა, ამ ჯგუფების რამდენიმეწლიანი მოღვაწეობა მათი განადგურებით დასრულდა.

გუშინ "ალფელებმა" უახლესი ისტორია გაიხსენეს და ბატალიონის შექმნის 10 წლისთავი აღნიშნეს.

**"ალფა" - ეს იყო რუსეთში მომზადებული უნიკალური რაზმი, უმაღლესი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული სამხედრო ბატალიონი, რომელმაც აჩვენა, რომ შესაძლებელია დუხჭირ ქვეყანაშიც არსებობდეს უძლიერესი სპეცრაზმი. ხელისუფლებამ ეს ოქროს ფონდი ქვეყნისთვის უნდა გამოიყენოს",** - ასე შეაფასა უშიშროების ექსმინისტრმა, ირაკლი ბათიაშვილმა სპეცბატალიონი "ალფა".

**"ეს მართლაც უძლიერესი რაზმი იყო, საქართველომ "ალფასა" და "ომეგას" განადგურებით მართლაც ძალიან დიდი დანაკლისი განიცადა",** - განაცხადა დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ავთო იოსელიანმა.

**"დასანანია, რომ ეს რაზმი უფუნქციოდაა, არადა, მათი რესურსების გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია,"** – მიაჩნია საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ვალერი ჩხეიძეს.

სხვათა შორის, "ალფელებმა" ბატალიონის შექმნის ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი ვალერი ჩხეიძე და ირაკლი ბათიაშვილი სიმბოლურად "ალფას" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს. სამკერდე ნიშნები და სიგელები გადაეცათ აფხაზეთის ომში დაღუპულ "ალფელთა" ოჯახის წევრებსა და "ალფას" მებრძოლებს.

"ჩვენ პროფესიონალები ვართ და სურვილი გვაქვს, ქვეყანას გამოვადგეთ," - ასეთი სურვილით დაასრულეს "ალფელებმა" სპეცბატალიონის "გახსენება".

"ალფა" 1992 2 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონ "ბუკიოტის" ბაზაზე შეიქმნა. მაშინდელ "ალფას" კოტე შავიშვილი და თემურ პაპუაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ეს ის თემურ პაპუაშვილი გახლავთ, რომელიც "მაისის ტერაქტის" ორგანიზატორობისთვის 1999 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს. იგი ორთაჭალის ციხეში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. თემურ პაპუაშვილი 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორობისთვის გასამართლებული უშიშროების ოფიცრის, გელა პაპუაშვილის ძმა გახლდათ. იმ გელა პაპუაშვილისა, რომელიც უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასულ სპეცბატალიონ "ალფას" მეთაურობდა.

პირველი წვრთნა "ალფელებმა" თავდაცვის სამინისტროში გაიარეს, ლაგოდეხში განლაგებულ რუსეთის სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის წამყვან ინსტრუქტორებთან. ისინი დიდძალი სამხედრო აღჭურვილობითა და ტექნიკითაც რუსმა მასწავლებლებმა შეაიარაღეს. პირველი საბრძოლო ნათლობა "ალფამ" სამაჩაბლოს ომში მიიღო, აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ომშიც.

ბატალიონს სპეციფიკა უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგაც არ შეუცვლია - კვლავ სამხედრო შენაერთად დარჩა. "ალფელებმა" პროფესიული მომზადება ბალაშიხის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში გაიარეს, 75 კაცმა უმაღლეს დონეზე ჩააბარა გამოცდები და უნივერსალური მებრძოლის სტატუსი მიიღო.

"ალფა" 6 ბრიგადისგან შედგებოდა. დღემდე აღიარებულია, რომ "ალფელები" სამხედრო-საინჟინრო საქმის (დანაღმვა-განაღმვა-აფეთქება) საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ, ასევე საუკეთესო სნაიპერები, მოიერიშეები, დაცვის ხელოვნების ზედმიწევნით მცოდნენი... ერთი სიტყვით, კვალიფიციური რეინჯერები.

ამერიკული "ომეგა" და რუსული "ალფა" შეთანხმებულად მოქმედებდნენ. 200-ზე მეტი ოპერაცია მათ ერთად ჩაატარეს – ხან "ალფა" უმაგრებდა "ომეგას" ზურგს და ხანაც პირიქით, ეს ოპერაციის შინაარსზე იყო დამოკიდებული. 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ ორივე ჯგუფი განადგურდა.

**"ამბობენ, "ალფა" პრორუსული პოლიტიკის გამტარებელი იყოო... ეს ჩვენთვის ყველაზე მეტად საწყენია. მართალია, მომზადება რუსეთში გავიარეთ, მაგრამ მხოლოდ საქართველოსთვის..."** - ასეთია ყოფილ "ალფელთა" აზრი.

ბატალიონი, რომელსაც შეეძლო მართლაც საქართველოსთვის ემუშავა, რომელსაც საამისო სურვილიც ჰქონდა და შესაძლებლობაც, ლიკვიდირებული აღმოჩნდა. სახელმწიფომ არ იზრუნა მის შენარჩუნებაზე. არადა, დღევანდელი საქართველოსთვის ასეთი რაზმი მისწრება იქნებოდა.

ეროვნულ "რელსებზე" დამდგარმა საქართველომ განვითარებისკენ თავისი პირველი სერიოზული ნაბიჯი სწორედ "ომეგასა" და "ალფას" შექმნით გააკეთა. 1992-96 წლები საქართველოს უახლესი ისტორიის ის პერიოდია, როცა "ლებედის", მე-8 პოლკისა და სხვა რუსული სამხედრო სპეცჯგუფებისგან გათავისუფლებულ ქვეყანას თავისი უსაფრთხოების დაცვა ქართული სპეცრაზმებით შეეძლო და ამას აკეთებდა კიდევაც. თუმცა, სამწუხაროდ, საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა მაინც "დიდმა პოლიტიკამ" თქვა. ხელისუფლებამ ეს მართლაც უძლიერესი სპეცრაზმები გასანადგურებლად გაიმეტა.

ამ რაზმების განადგურების საკითხში გარკვევას ახლა მხოლოდ ისტორიისთვის თუ აქვს მნიშვნელობა. საქართველომ დაკარგა შესანიშნავი შანსი, მასაც ჰყოლოდა პროფესიული და დღეისთვის ასე საჭირო სპეცბატალიონები - "ომეგა" და "ალფა" დაუნანებლად ჩააბარეს ისტორიას.

სხვათა შორის, გუშინ პენტაგონის "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის პირველი ეტაპი დასრულდა. ამერიკელ სამხედროთა მიერ დიპლომირებულ ქართველ ოფიცერთა შორის ყოფილი "ალფელი," უშიშროების მაიორი გიორგი ასათიანიცაა.



"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის პირველი ეტაპი დასრულდა.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## ავტოავარიებს ორი ადამიანი ემსხვერპლა

თითქმის ყოველდღიურად საქართველოში ავტოავარიების შედეგად ხალხი იღუპება. გუშინაც ორი ავტოავარია დასრულდა ადამიანის სიკვდილით. ერთი თბილისი-ლესელიძის გზატკეცილზე მოხდა. მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც ქარელელი 31 წლის ალეკო ზასოხაშვილი მართავდა, სატვირთო მანქანა "კამაზს" შეეჯახა. სატვირთო მანქანის მძღოლი მურმან ვაშაკიძე უვნებლად გადარჩა, ზასოხაშვილი კი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. გარდაიცვალა, აგრეთვე, 23 წლის გიორგი აბაზაძე, რომელიც მოტოციკლეტით ავტომანქანა "მოსკვიჩს" შეეჯახა. ავარია თბილისში, გლდანის დასახლებაში, ხიზანიშვილის ქუჩაზე მოხდა. მანქანას ვინმე ერვანდ ნაცაკაროვი მართავდა.

## 110 კგ. უვარგისი ძეხვი გასაყიდად მზადდებოდა

უშიშროების სამინისტროს თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, პოლიციის სპეციალური განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად, ფალსიფიკატორი ამხილეს.

როგორც ცნობილია, ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად ფალსიფიცირებული პროდუქცია ძეხვია. ძეხვეულის ნაირ-ნაირ სახეობათაგან საკვებად სულ რამდენიმე თუა ვარგისი. ახლაც სამართალდამცველებმა სწორედ ფალსიფიცირებულ ძეხვს მიაგნეს და მის წარმოებაში ამხილეს კიდეც თბილისელი მურთაზ არველაძე. იგი ფალსიფიცირებულ ძეხვს თბილისშივე, დიღმის მასივის ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში ამზადებდა. წინასწარი მონაცემებით, მას უკვე საკმაო რაოდენობის ფალსიფიცირებული ძეხვი აქვს დამზადებული და გასაღებული. ახლაც, დაკავებისას სამართალდამცველებმა საწარმოდან საკმაოდ დიდი რაოდენობით -- 110 კგ. ფალსიფიცირებული ძეხვი ამოიღეს.

## მეზობელი დაჭრა

გორის რაიონში მეზობელმა მეზობელი დაჭრა. ზურაბ ჯინიხაშვილსა და გიორგი გოლიაშვილს შორის ჩხუბი მათ მშობლიურ სოფელში - ბობნევში მოხდა. მათი კამათი ჩხუბში გადაიზარდა და ჯინიხაშვილმა მეზობელს მუცელში დანა დაარტყა. მომხდარ ინციდენტს ამჟამად გამოძიება სწავლობს.

## ძებნილებს აკავებენ

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა სამართალდამცველებს, მართალია, მუშაობა არ დაუწუნა, მაგრამ შეშფოთება კი გამოთქვა, ძალიან ბევრი ძებნილი პირია საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს შეფარებული და ისინი კვლავაც ჩადიან დანაშაულსო. პოლიციაც გაფაციცებით ეძებს სხვადასხვა დანაშაულისთვის ძებნილ პირებს. ამ ორ დღეში უკვე 8 ძებნილი დააკავეს.

მკვლელობისათვის ძებნილი ლევან სიმონიანი აეროპორტში დააკავეს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აეროპორტის სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა შეიტანეს. მათ თვითმფრინავში ჩაჯდომისა და საქართველოს დატოვების მსურველ სიმონიანში დამნაშავე სწორედ სასაზღვრო კონტროლის გავლისას ამოიცნეს.

ლევან სიმონიანმა მკვლელობა 1999 წლის 13 სექტემბერს ჩაიდინა. მან ვინმე რომან ნაზიევის თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყა და მოკლა.

თავი გამოიჩინეს ქუთაისელმა სამართალდამცველებმაც. მათ ყაჩაღობისთვის ძებნილი კახა ირემაძე დააკავეს. იგი 1 მაისს, თავის ძმასთან, ირაკლი ირემაძესთან ერთად, თავს დაესხა გორელ ემზარ სურამელს და მას იარაღის მუქარით მანქანა წაართვა.

თავის მხრივ, თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციამაც სატრანსპორტო საშუალებების დამყაჩაღებელი დააკავა - შალვა ბაღიშვილს ყაჩაღობა თითქმის 10 წლის წინ, 1993 წელს აქვს ჩადენილი. მან, რამდენიმე პირთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ტრაქტორი გაიტაცა, რომელიც მფლობელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მცხოვრებ კახა ბაქანიძეს იარაღის მუქარით წაართვეს.

## ახმეტელები ალაპარაკდნენ

პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების მიერ თითქმის ყოველდღე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენამ, მათ მიერ არაერთი ადამიანის მოკვლამ, ადგილობრივი მოსახლეობა ერთად შეყარა და პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოიყვანა.

ჩეჩნების თარეშით უზომოდ შეწუხებულ-შეშინებული ხალხი გუშინ ახმეტის ცენტრში შეიკრიბა და რაიონის სამართალდამცველებს დამნაშავეების ძებნა-დაჭერა და სასწრაფოდ დასჯა მოსთხოვა. ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ამ კატეგორიული მოთხოვნისა და, საერთოდ, პროტესტის გამოხატვის მიზეზი ორი დღის წინ სოფელ ომალოსკენ საკუთარ ოჯახთან ერთად მიმავალი გაიოზ გამრეკელაშვილის საზარელი მკვლელობა აღმოჩნდა. ჩეჩენის მიერ ავტომატის ჯერით უმიზეზოდ დაცხრილულ გაიოზ გამრეკელაშვილის ცხედართან შეკრებილებმა ფიცი დადეს, რომ თუ სამართალდამცველები ვერ დაიჭერენ მის მკვლელს, ახმეტელები თავიანთი კანონებით გაუსწორდებიან პანკისის ხეობას თავშეფარებულ ყველა ჩეჩენ დამნაშავეს.

გამოძიებას, გუშინდელისგან განსხვავებით, გაიოზ გამრეკელაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით უკვე ჩამოყალიბებული ვერსია გააჩნია. "ჩეჩნებმა გაიოზ გამრეკელაშვილს მანქანის გზიდან გადაყვანა მოსთხოვეს, იგი მათ ბრძანებას არ დაემორჩილა და ამიტომ გახდა განრისხებული დამნაშავეების მსხვერპლი," – ასეთია გამოძიების საბოლოო ვერსია. მკვლელის ვინაობა უკვე მიახლოებით დადგენილია. მიმდინარეობს მისი ზუსტი სახელისა და გვარის, ასევე ადგილსამყოფელის დადგენა.

უკვე დაკითხულია თითქმის ყველა თვითმხილველი, რომლებსაც ვერ აუხსნიათ მკვლელობის მოტივი. მოწმეების მტკიცებით, კიდევ ერთი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილის მიზეზი "გათავხედებული და გათამამებული ჩეჩნების დაუსჯელობაა".

გუშინ ახმეტის ცენტრში შეკრებილი ადამიანები, რომლებმაც კარგა ხნის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები გადმოაფრქვიეს, უკან დახევას აღარ აპირებენ და აცხადებენ, რომ დამნაშავეებს საკუთარი ძალებით გაუსწორდებიან. აღშფოთებული მოსახლეობის გარდა, ადგილობრივი სამართალდამცველებიც დებენ პირობას, რომ გაიოზ გამრეკელაშვილის ჩეჩენი მკვლელი მათ ხელიდან ვერ წაუვა და საკადრის პასუხს აგებს უდანაშაულო ადამიანის სისხლის დაღვრისთვის.

### მოქალაქის უფლებები

# სამართალწარმოება

"ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის მეექვსე მუხლის თანახმად, თითოეულ ჩვენგანს უფლება გვეძლევა, ჩვენივე უფლებების დასაცავად მოვითხოვოთ დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა.

"24 საათი" შეეცდება, გაგიადვილოთ კანონით მინიჭებული უფლებების სასამართლოს საშუალებით განხორციელება. შევეცდებით, უკეთ გაგაცნოთ საქართველოს სასამართლო სისტემა, მისი სტრუქტურა და პროცესუალური მოქმედების წესები, ასევე სასამართლოსთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპები.

თუ თქვენს წინაშე დადგა პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ქონებრივ დავასთან, მორალური ან მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან, კომერციული (შპს, სააქციო საზოგადოება) და არაკომერციული იურიდიული პირების (კავშირი, ფონდი) რეგისტრაციასთან, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენასა და სხვა სამოქალაქო უფლებების განხორციელებასთან, უნდა მიმართოთ საერთო სასამართლოებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებსა და ადმინისტრაციულ დავებსაც განიხილავენ.

საერთო სასამართლო სამი საფეხურისგან, ანუ სამი ინსტანციისგან შედგება.

**პირველი ინსტანციის** სასამართლოები არსებითად განიხილავენ საქმეს და გამოაქვთ გადაწყვეტილება.

**მეორე, ანუ სააპელაციო ინსტანციაში** შესაძლებელია, გაასაჩივროთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

**მესამე, ანუ საკასაციო სასამართლო** საბოლოო ინსტანციის სასამართლოა. მის ფუნქციაში შედის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა.

სადავო საკითხის მოცულობისა და შინაარსის მიხედვით, საქმეები სხვადასხვა სასამართლოს განსჯადობას მიეკუთვნება, თუმცა უცვლელი რჩება პრინციპი, რომ ნებისმიერი საქმე თავდაპირველად პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს. ძირითადად, საქმეების განხილვა რაიონულ სასამართლოებში იწყება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო დავის ღირებულება 500 000 ლარს აღემატება ან ინტელექტუალურ საკუთრებას უკავშირდება, მას განიხილავს საოლქო სასამართლოს კოლეგია.

პირს, რომელსაც სურს, თავისი უფლებები სასამართლო წესით დაიცვას, სასამართლოში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა შეიტანოს. მაგალითად, თუ პირი, რომელსაც თქვენი ვალი მართებს და არ გიბრუნებთ, დიდუბეში ცხოვრობს, მოვალისთვის ვალის დაბრუნების სარჩელით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს უნდა მიმართოთ.

ინსტანციების მიხედვით საერთო სასამართლოები შემდეგნაირად იყოფიან:

**პირველი ინსტანცია – რაიონული (საქალაქო) სასამართლოები:** თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების კოლეგიები; აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოების კოლეგიები; უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია.

**მეორე ინსტანცია – აპელაცია:** თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სააპელაციო პალატები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სააპელაციო პალატები.

**მესამე ინსტანცია – კასაცია:** საქართველოს უზენაესი სასამართლო.

რაიონული სასამართლოები წარმოადგენენ საერთო სასამართლოების ყველაზე დაბალ რგოლს – პირველ ინსტანციას, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთი მოსამართლის მონაწილეობით. რაიონული სასამართლოები ფუნქციონირებენ როგორც საქართველოს რაიონებში, ასევე ქალაქების რაიონებშიც.

საქართველოში ორი საოლქო სასამართლოა. ესენია - თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები. საოლქო, რაიონულის მსგავსად, პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს, სადაც საქმეს კოლეგია, ანუ სამი მოსამართლე განიხილავს. საოლქო სასამართლოებში ფუნქციონირებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო საქმეთა, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიები. საოლქოში შექმნილია სააპელაციო პალატა, რომელიც მეორე ინსტანციით, ანუ აპელაციის წესით განიხილავს რაიონულ გადაწყვეტილებას.

აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებიც, საოლქოს მსგავსად, დავებს პირველი ინსტანციით ისმენენ. ხოლო პალატები აპელაციის წესით განიხილავენ საჩივრებს მათი ქვემდებარე რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილების თაობაზე.

უზენაესი სასამართლო ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში. მასში მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფოს ღალატი, ჯაშუშობა, განზრახ მკვლელობა. უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატები, სამი წევრის შემადგენლობით, საკასაციო წესით, იხილავენ საჩივრებს სააპელაციო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებაზე.

უზენაეს სასამართლოში მოქმედებს დიდი პალატა, რომელიც ცხრა მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს ყველა კატეგორიის განსაკუთრებით მძიმე და რთულ საქმეებს.

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ქრონიკა

შეადგინა გიორგი ასანიშვილმა

***საპატიო სტუმარი:*** *ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ლიდი პოლფერი, აშშ-ს ევროპის სარდლობის სპეცოპერაციათა მთავარსარდალი ჩარლზ ჰოლანდი, რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ.*

***მოულოდნელობა:*** *პრეზიდენტ შევარდნაძის შეწყალების საფუძველზე, საპყრობილედან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ თემურ ხაჩიშვილი, გურამ პაპუკაშვილი და გელა გელაშვილი.*

***აგრესია:*** *რუსეთის ტერიტორიიდან შემოფრენილმა ვერტმფრენმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და საზაფხულო ტერიტორიები დაბომბა.*

***ვანდალიზმი:*** *უცნობი პირები შეიჭრნენ "თავისუფლების ინსტიტუტში", სცემეს მის თანამშრომლებს, დაამტვრიეს კომპიუტერები, გაანადგურეს ავეჯი და დოკუმენტაცია.*

***განაცხადი:*** *ცხრა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ (ედპ, "ახლები", "დემოკრატები", "ნაციონალური მოძრაობა", ტრადიციონალისტთა კავშირი, ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი, მწვანეთა პარტია, სახალხო პარტია, ლეიბორისტული პარტია) გააკეთა ერთობლივი განცხადება პოლიტიკის კრიმინალიზაციის დაუშვებლობის თაობაზე.*

***წარმატება:*** *20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ზვიად იზორიამ ჩემპიონობა მოიპოვა.*

**1 ივლისი** - თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ.
- პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ელჩი დიჯლე ქოფუზი.
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროფკავშირებს დაუბრუნდა კულტურის სასახლის შენობა, რომელიც ბოლო დრომდე თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა.

**2 ივლისი** - მუშაობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიამ. დეპუტატებმა მოისმინეს მთავრობის ანგარიში 2002 წლის იანვარ - აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.



- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის მმართველთა დირექტორი შენგმან ჟანგი.
- პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით, რაგულ სამსონიძე დაინიშნა ახალციხის რაიონის გამგებლად, გრიგოლ ცინცაძე - ჩოხატაურის რაიონის გამგებლად, თენგიზ ქერქაძე - ლანჩხუთის რაიონის გამგებლად, ავთანდილ ღელეყვა - ოზურგეთის რაიონის გამგებლად, გოდერძი ბერბერაშვილი - დუშეთის რაიონის გამგებლად, ცეზარ ჩოჩელი - ახალგორის რაიონის გამგებლად, აპოლონ წულაია - მარტვილის რაიონის გამგებლად, ვლადიმერ ჯობაძე - ხაშურის რაიონის გამგებლად.

**4 ივლისი** - დეპუტატმა გურამ შარაძემ თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვა მანამდე, ვიდრე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია არ გაარკვევს "კაგებესთან" მისი შესაძლო თანამშრომლობის საკითხს.



- დაიწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსული სამშვიდობო ძალების როტაცია.

**5 ივლისი** - აღიარებითი ჩვენება მისცა რუსთავში თვითმმართველობის არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენების გატაცებაში ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა, ქვემო ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის პირადი დაცვის ყოფილმა თანამშრომელმა შოთა თინიკაშვილმა.



- მოსკოვში ვიზიტი შეწყვიტა და თბილისში დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც რუსეთის დედაქალაქში რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომის დასკვნითი ოქმის გასაფორმებლად იყო ჩასული.
- "ნაციონალურმა მოძრაობამ" პრეზიდენტ შევარდნაძეს ულტიმატუმი წაუყენა და 10 დღის ვადაში ქვემო ქართლის რეგიონში მისი რწმუნებულის, ლევან მამალაძის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა.

**6 ივლისი** - პრეზიდენტ შევარდნაძის შეწყალების საფუძველზე, საპყრობილედან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს თემურ ხაჩიშვილი, გურამ პაპუკაშვილი და გელა გელაშვილი.
- უცნობმა პირებმა გაქურდეს პარლამენტარ რამიზ ბაქიროვის სამუშაო ოთახი და 5 ათასი ამერიკული დოლარი მოიპარეს.
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, რომან მარსაგიშვილი დაინიშნა ყაზბეგის რაიონის გამგებლად.

**8 ივლისი** - თბილისს სამუშაო ვიზიტად ესტუმრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი.
- ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის წევრი, სამტრედიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ გამრეკელიძე.
- პარლამენტარ გურამ შარაძის მომხრეებმა "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისთან საპროტესტო მიტინგი გამართეს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს კვერცხები დაუშინეს.
- მოსკოვში დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების შეხვედრა. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ეროვნული უსაფრთხოებისა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ირაკლი მაჭავარიანი.
- კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა მიიღო აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი.

**9 ივლისი** - თბილისში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმირ რუშაილო.



- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში, გაეროს მისიის ახალი ხელმძღვანელი ჰეიდი ტალიავინი.
- კასპის რაიონის სოფელ თეზის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს პარლამენტარ ლევან პირველის პირადი დაცვის უფროსის გიორგი რჩეულიშვილის გვამი, რომლის გვარიც 1999 წელს რესტორან "თამარიონში" მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმეში ფიგურირებდა.

**10 ივლისი** - უცნობი პირები "თავისუფლების ინსტიტუტში" შეიჭრნენ, სცემეს მის თანამშრომლებს, დაამტვრიეს კომპიუტერები, გაანადგურეს ავეჯი და დოკუმენტაცია.



- პრეზიდენტმა შევარდნაძემ ვეტო დაადო კანონპროექტს "დამოუკიდებელი მარეგულერებელი ორგანოების შესახებ", რომელიც პარლამენტმა წინა კვირას მიიღო.
- საკომიტეტო მოსმენის დროს პარლამენტარი ირაკლი ბათიაშვილი წვრთნისა და აღჭურვის ქართულ-ამერიკული პროგრამის ჩავარდნის საშიშროებაზე ალაპარაკდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დეპუტატის მოსაზრება უსაფუძვლოდ მიიჩნიეს.



- საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, საქართველომ თანხმობა განაცხადა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელებაზე, რომლის მოქმედების ვადაც 30 ივნისს ამოიწურა.
- აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მორიგი სამედიცინო გამოკვლევის გასავლელად, მოსკოვში გაემგზავრა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ მიიღო ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამიერკავკასიის ქვეყნებში ჰარი მოლინარი.

**11 ივლისი** - საქართველოში დაბრუნდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ბერლინში გამართულ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა. საქართველოს პარლამენტის სპიკერმა გერმანიის დედაქალაქში საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა რუსეთი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების ორგანიზებულად დარიგების გამო.



- თბილისის საოლქო სასამართლომ პატიმრობიდან უპირობოდ გაათავისუფლა რუსთავში თვითმმართველობს არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენების მიტაცებაში ეჭვმიტანილი შოთა თინიკაშვილი.

**12 ივლისი** - ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, "ახალმა მემარჯვენეებმა", "გაერთიანებულმა დემოკრატებმა", "ნაციონალურმა მოძრაობამ", ტრადიციონალისტთა კავშირმა, მწვანეთა პარტიამ, ქრისტიანულ-დემოკრატიულმა ალიანსმა და სახალხო პარტიამ გააკეთეს ერთობლივი განცხადება პოლიტიკის კრიმინალიზაციის დაუშვებლობის თაობაზე.



- საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის დახმარების პროგრამის აღდგენის შესახებ.
- თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო "მარიოტის" მახლობლად ძლიერი აფეთქება მოხდა, რომელსაც მსხვერპლი არ მოჰყოლია.
- "მაგთიკომის" ქსელით გავრცელდა მოწოდება -"სიკვდილი ფაშისტ გურამ შარაძეს, გაუმარჯოს თავისუფლების ინსტიტუტს!". მესიჯები, რომელთა რაოდენობამ 10 ათასს გადააჭარბა, გაიგზავნა ფონდი "ღია საზოგადოება -საქართველოსა" და ინტერნეტპროვაიდერი კომპანია "კავკასუს ნეტვორკის" სახელით. მათმა ხელმძღვანელებმა უარყვეს მომხდარში თავისი ორგანიზაციების მონაწილეობა.

**13 ივლისი** - თავდაცვის ეროვნული აკადემიის 220 კურსდამთავრებულს ლეიტენენტის წოდება მიენიჭა. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის მოედანზე ჩატარდა საზეიმო ცერემონია.



- ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ლიანა ისაკაძის ინიციატივით, ბორჯომში ჩატარდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი, ბორჯომი - დეტცენბახი 2002".

**14 ივლისი** - გაიმართა ზუგდიდის ქალაქის საკრებულოსა და გამგებლის განმეორებითი არჩევნები.
- ცხინვალში აღნიშნეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო შერეული ძალების შეყვანის 10 წლისთავი. ღონისძიება ქართული სამშვიდობო ბატალიონის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა.
- საქართველოს სამართალდამცავებმა ურეკში დააკავეს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში 1999 წელს განხორციელებულ ტერაქტებში ეჭვმიტანილი ადამ დეკუშევი.

**15 ივლისი** - სანკტ-პეტერბურგში ჩატარდა კავკასიის ოთხეულის - საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის - პარლამენტის თავმჯდომარეთა სამიტი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე.
- საქართველოში დაიწყო უკრაინის პრემიერ-მინისტრის ანატოლი კინახის ოფიციალური ვიზიტი.
- რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში ჩატარდა გურამ შარაძის მხარდამჭერთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის "ჩვენი საქართველოს" დამფუძნებელი ყრილობა.

**17 ივლისი** - საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხაზინის მდივანი პოლ ონილი.



- პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიდი პოლფერი.
- განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ მიიღო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰეიდი ტალიავანი.
- ფინეთში გამართულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**18 ივლისი** - სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე პანკისის ხეობაში ჩავიდა და ადგილობრივ მოსახლეობას მოქალაქეთა კავშირში გაერთიანებისკენ მოუწოდა. სახელისუფლებო პარტიაში შესვლის სურვილი დაახლოებით 400-მა ადამიანმა გამოთქვა.
- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის პირადი წარმომადგენელი, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში, - ვლადიმირ ლოშინინი.
- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროგაერთიანების კომისიის საგანგებო დესპანი დენის კორბოი.



- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, გიორგი ამირანაშვილი დაინიშნა ბაღდათის რაიონის გამგებლად, მერაბ სტურუა - სამტრედიის რაიონის გამგებლად, დავით ივანიშვილი - ჭიათურის რაიონის გამგებლად, ალექსანდრე ბელთაძე - ვანის რაიონის გამგებლად, მირზა ქორქაშვილი - წყალტუბოს რაიონის განგებლად, ოთარ ქაშიბაძე - ხონის რაიონის გამგებლად, გაიოზ დეკანოიძე - საჩხერის რაიონის გამგებლად, ელგუჯა კვეტენაძე - ზესტაფონის რაიონის გამგებლად.
- ექსცესების გარეშე დასრულდა ავჭალის კოლონიაში ე.წ. "წითელ ზონაში" მიმდინარე საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილენიც იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და ხონში გადასვლაზე უარს აცხადებდნენ.
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია "თანამშრომლობა კავკასიაში მშვიდობისათვის".

**19 ივლისი** - სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევისა და ძალადობასა და მუქარაზე უარის თქმის შესახებ.



- თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ თანამდებობიდან გაათავისუფლა სახმელეთო ძალების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა ჯანჯღავა.
- სუუამის ლიდერთა სამიტში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იალტაში გაემგზავრა. სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ.



- პარლამენტარმა გურამ შარაძემ ღია წერილით მიმართა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს, რომლითაც ის საქართველოში ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რიჩარდ მაილსის გაწვევას ითხოვს.
- სახელმწიფო მინიტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი დევიდ ოუენი.

**21 ივლისი** - ქობულეთში მიმდინარე საქართველოს პარლამენტის ბიუროს გასვლითი სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ასლან აბაშიძემ.



- კოდორის ხეობაში სტუმრობის დროს, სახელმწიფო მინისტრმა, "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ სმკ-ს ადგილობრივი პირველადი პარტიული ორგანიზაცია დააფუძნა.

**22 ივლისი** - იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში არ გაატარა სამცხე-ჯავახეთში მოქმედი პარტია "ვირქი".



- მწვანეთა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, გავიდეს ედპ-ს ინიციატივით შექმნილი პარტიათა კოალიციიდან.
- მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრო და ფოთის ადგილობრივი ხელისუფლება თეატრს ახალი შენობის აშენებას შეპირდა, ფოთის თეატრის მსახიობებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

**23 ივლისი** - კრიმინალური სიტუაციის გართულებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებულებით, თბილისში ყოველდღიური რეიდები დაიწყო.

**24 ივლისი** - ბაქოში გამართულ 20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ხონელმა ზვიად იზორიამ ჩემპიონობა მოიპოვა.



- მოსკოვში დაიწყო რუსეთ-საქართველოს შორის "ჩარჩო-ხელშეკრულების" მომზადების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდი. ქართულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რუსულს - სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ბორის პასტუხოვი.

**25 ივლისი** - ევროკავშირმა გააკეთა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია ღრმა შეშფოთება თავისუფლების ინსტიტუტზე განხორციელებულ თავდასხმასთან და საქართველოში მომხდარ სხვა ინციდენტებთან დაკავშირებით.
- საქართველოში მოღვაწეობის 10 წლისთავთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - იუსაიდის აღმასრულებელი ადმინისტრატორი ევრაზიის ქვეყნებში კენტ ჰილი.



- საქართველოს ახალმა წარმომადგენელმა გაეროში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რევაზ ადამიამ გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს რწმუნებათა სიგელები გადასცა.

**26 ივლისი** - პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საქართველოში სავალუტო ფონდის მისიის ახალ ხელმძღვანელს პაოლო ნოიჰაუსს.
- პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საპარლამენტო ფრაქციათა ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ შეიქმნება სახელმწიფო კომისია, რომელიც მინისტრთა კაბინეტის შექმნის კანონპროექტს მოამზადებს.

**27 ივლისი** - პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აშშ-ს ევროპის სარდლობის სპეცოპერაციათა მთავარსარდალი ჩარლზ ჰოლანდი.



- ცხინვალის რეგიონში სახელმწიფო მინისტრის, "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის, ავთანდილ ჯორბენაძის ვიზიტის დროს, სოფელ თამარაშენში დაფუძნდა სმკ-ს ლიახვის ხეობის პირველადი ორგანიზაცია.

**29 ივლისი** - ახმეტის რაიონის სოფელ გირევის ჩრდილოეთით, რუსეთის ტერიტორიიდან შემოფრენილმა ვერტმფრენმა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და დაბომბა საზაფხულო საძოვრები.

**30 ივლისი** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აფხაზეთის დევნილი ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა.
- სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე "თავისუფლების ინსტიტუტს" ესტუმრა და მის წარმომადგენლებს თანამშრომლობა შესთავაზა.

**31 ივლისი** - გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომამ განიხილა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობის საკითხი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

# დაუნინგ სტრიტიდან ფრანგულ წისქვილში

## პირველი პირების საოცნებო კურორტები



უფროსი ჯორჯ ბუში და გერჰარდ შრიოდერი მეუღლესთან ერთად.




მამა-შვილი ბუშები თევზაობის დროს.



ტონი ბლერის ოჯახი სამხრეთ საფრანგეთის კურორტს ეწვია.

REUTERS

თამარ ბაბუაძე

ვილა მაიორკაზე, ვილა ტოსკანაში, ვილა ნიცაში – ასე მხოლოდ მილიარდერები ცხოვრობენ. ბუნებრივია, მსგავსი ფუფუნების უფლებას საკუთარ თავს მდიდარი (ხშირად ღარიბი) ქვეყნის პირველი პირებიც აძლევენ, თუმცა, ბოლო დროს მათ მოკრძალება დასჩემდათ (ან, უბრალოდ, მოკრძალებულის იმიჯს იქმნიან) და დასასვენებელ კურორტებსაც ფუფუნების მიხედვით აღარ ირჩევენ.

ასე დაემართათ წელს ბრიტანეთის პრემიერსა და გერმანიის კანცლერს. მაშინ, როცა ახლად ფულნაშოვნი ევროპელები პრესტიჟული პალმა დე მაიორკას, კაპრისა და მარსელის მცხუნვარე მზით ირუჯებიან, გერჰარდ შრიოდერი გერმანიას არ ტოვებს. კანცლერი აცხადებს, რომ დასვენებას და განტვირთვას ჰანოვერში, საკუთარი სახლის უკანა ეზოშიც მშვენივრად მოახერხებს. როგორც ჩანს, შრიოდერი ხმელთაშუა ზღვის "ზაგარს" არ ხარბდება. რელაქსაციისთვის მას ჰანოვერის მზეც ჰყოფნის. ამიტომ, კანცლერი მინი კურორტის მოწყობას საკუთარ უკანა ეზოში აპირებს. აუზითა და შეზლონგით, გამაგრილებელი წვენებით და საინტერესო წიგნით, ალბათ, იგი ასე შეეცდება გერმანიაში მომრავლებული ქურთების, ევროსა და საშინლად აწეული ფასების დროებით დავიწყებას.

თუმცა, ფაქტის ახსნა ფსიქოლოგებს რომ მივანდოთ, ალბათ, მაინც დაასკვნიან, რომ გერჰარდ შრიოდერი ვარსკვლავური დაავადებით იტანჯება: ცნობილ ადამიანებს ხშირად ბეზრდებათ ფოტო და ვიდეოკამერების გამუდმებული ყურადღება და, შრიოდერის მსგავსად, "ჩრდილს" (ჩვენს შემთხვევაში უკანა ეზოს) თავს ხშირად აფარებენ. პრინციპში, გასაკვირი არც არის, გერმანიის კანცლერს "დროებითი აუტიზმი" რომ სჭირდეს. ჩვენს დროში ხომ ქვეყნის პრეზიდენტი ისეთივე ვარსკვლავად ითვლება, როგორც ჰოლივუდის მსახიობი. აპოლიტიკურ კონტექსტში განხილვას მიუჩვეველ პოლიტიკურ მოღვაწეებს კი ეს მომენტი ხშირად აბნევთ.

ფაქტია, რომ რაც უფრო კონტაქტური და უშუალოა სახელმწიფო მოღვაწე, მით უფრო მეტად უთამამდებიან მას პაპარაცები. თუმცა, იყო დრო, ჩვენს ძალიან ახლო წარსულში, როცა ამას ვერავინ წარმოიდგენდა. ალბათ, გახსოვთ, რამხელა შოკი გამოიწვია, რკინის ფარდის ახდისთანავე, პოსტსაბჭოთა ცნობიერებაში შემოჭრილმა აშშ-ს გაღიმებულმა პრეზიდენტმა, რომელიც სპორტულ სამოსში გამოწყობილი თეთრი სახლის გარშემო დარბოდა, ნაძვის ხეს აწყობდა... თუმცა, შემდეგ პოსტ-საბჭოთა ცნობიერებაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოლიტიკოსიც ადამიანია. და თვალი თანდათან შეეჩვია ისეთი პრეზიდენტის ხილვას, რომელიც საზოგადოებრივ თავყრილობაზე სიტყვით კი არ გამოდის, არამედ საქსოფონზე უკრავს, კოვბოის ტანსაცმელში გამოწყობილი რანჩოში დასეირნობს, "პოლოს" მაისურით გატაცებით თამაშობს ჩოგბურთს... და დღეს უკვე აღარავინ იცის, ვის უფრო მეტი ენთუზიაზმით დასდევენ პაპარაცები – ბრიტნი სპირსს, თუ ამერიკის პრეზიდენტს...

ტონი ბლერიც გულღიათა და კონტაქტურთა კატეგორიას განეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ მან დაუნინგ სტრიტის ათი ნომრის კარი ფართოდ გააღო და ჟურნალისტები თავის პრემიერულ ცხოვრებაში ღრმად შეახედა. ბრიტანულმა პრესამაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და შავი, თითქოს შეუვალი, ჭიშკრის მიღმა ახლაც აქტიურად იყურება. ამ ფონზე მართლა გაურკვეველია, ვინ უფრო ხშირად ხვდება "სანისა" და "მირორის" ფურცლებზე – სამეფო ოჯახი თავისი სკანდალებით, თუ პრემიერ-მინისტრი თავისი "ადამიანური" და აპოლიტიკური ქმედებებით.

ამგვარი პუბლიკაციების და ტელემასალის წყალობით, ბრიტანულმა საზოგადოებამ ტონი ბლერის უმცროსი ვაჟის, ლეოს დაბადება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. მამა-შვილი ბლერები, დედა-შვილი ბლერები – ამ შინაარსის ფოტოების დაბეჭდვით "მირორის" ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა. შემდეგ უკვე ტრადიციად იქცა ბლერების საზაფხულო არდადეგების გაშუქებაც. მაგალითად, საზოგადოებას დეტალურად აღუწერეს მათი მოგზაურობა ტოსკანაში, სადაც პრემიერის ოჯახმა შარშან ზაფხულს დაისვენა...

თუმცა, გასაკვირი არ იქნება, რომ ეს მუდმივი ყურადღება კონტაქტურ ბლერსაც მობეზრებოდა. ოჯახურ ატმოსფეროში განმარტოვების სურვილი ასეთებსაც უჩნდებათ ხოლმე. ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა მან, რომ წელს შთამბეჭდავ ტოსკანას უღალატოს და საზაფხულო არდადეგები სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის ერთ მიყრუებულ სოფელში გაატაროს, უფრო სწორად, ამ სოფლის მყუდროებას დროებით შეაფაროს თავი.

ლე ვერნე – ასე ჰქვია სოფელს ტულუზის მხარეში, სადაც სულ 2 ათასი მოსახლე ცხოვრობს და რომელიც ტურისტებისთვის განკუთვნილ არც ერთ ბუკლეტში არაა დასახელებული. ადგილობრივ მოსახლეობას ვერაფრით გაუგია, რით დაიმსახურა სოფელმა ბრიტანეთის პრემიერის ყურადღება. ერთ-ერთი ტურისტული სააგენტოს ცნობით: "გულწრფელად რომ გითხრათ, ლე ვერნე განსაკუთრებული ადგილი სულაც არ არის. როგორც ამბობენ, ის მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ ამ სოფელზე გადის გზა მთავარი ტურისტული კურორტებისკენ". მართლაც ამ სოფელში ჯერ არც ერთი ტურისტი არ გაჩერებულა. ისინი ლე ვერნეს გავლით პრესტიჟული აგარაკებისკენ მიემგზავრებიან.

ტონი ბლერი ამ კვირიდან უკვე შვებულებაშია. საფრანგეთში გამგზავრებამდე მან რამდენიმე დღე ასევე მშვიდ ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისში გაატარა. აგვისტოს დასაწყისში კი ლე ვერნეს წისქვილში გადასახლდა. უფრო სწორად, ყოფილ წისქვილში. ეს ბლერების მიერ არჩეული სახლია, ვარდისფერი აგურით ნაშენები (ეს ტულუზის მხარის დამახასიათებელი შტრიხია) მშვენიერი შენობა, რომელიც მედიცინის აწგარდაცვლილ პროფესორს, ჟან-ჩარლ ოვერნიეს ეკუთვნოდა. მას ახლა ოვერნიეს ქვრივი აქირავებს. ყოფილ წისქვილს აქვს ჩოგბურთის კორტი (ჩოგბურთი ბლერის ჰობია), საცურაო აუზი და მაღალი ღობე.

უცნობია, რით გაერთობიან ბლერები ამ ღობის გადაღმა – ლე ვერნეში განსაკუთრებული არაფერი ხდება. იქ ერთადერთი საზაფხულო ღონისძიება ივლისის დასაწყისში ჩატარდა. მეტიც, სოფელს მხოლოდ ერთი ბარი აქვს – Le Blue Note, ხოლო წესიერ რესტორნამდე მისაღწევად მანქანით ერთსაათიანი მგზავრობაა საჭირო. ყველაზე პრივილეგირებულ მდგომარეობაშია შერი ბლერი – მას შეუძლია ლე ვერნეს მე-16 საუკუნის ეკლესიაში საკვირაო წირვებს დაესწროს. თუმცა, საეჭვოა, რომ საეკლესიო ცერემონიალების პერსპექტივა უმცროს ბლერებს ხიბლავდეთ.

ამ მიზეზებისა და ბლერის ვიზიტს გამო გაოცებას ვერ მალავს ლე ვერნეს მერი: "ჩვენი სოფელი არც დიდი ისტორიის მქონეა და არც რაიმეთი განსაკუთრებული ადგილია. ადგილობრივ მოსახლეობას ლე ვერნეში მხოლოდ სძინავს, დანარჩენ დროს ისინი ტულუზაში ატარებენ – იქ სამუშაოდ დადიან".

ამ ფონზე, ერთი წუთით მაინც წარმოიდგინეთ სიამაყით გაბღენძილი ლე ვერნე, მისი სოფლური შუკები და ერთადერთი ბარი. ახლა Le Blue Note-ში კათხა ლუდის დასალევად შესულებიცა და ორღობეში საჭორაოდ შეჩერებულებიც მხოლოდ ბრიტანეთის პრემიერის ვიზიტს განიხილავენ – ლე ვერნესთვის ტონი ბლერის სტუმრობა ღმერთის სტუმრობის ტოლფასია. ბარი Le Blue Note-ის პატრონი კი, ალბათ, უკვე ამზადებს რაიმე მემორიალური დაფის მსგავსს, რომელზეც სიამაყით აღნიშნავს, რომ მის ბარს თავად ბრიტანეთის პრემიერი სტუმრობდა და ამით ისტორიაშიც შევა...

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მოსაზრებამ - "პრეზიდენტიც ადამიანია", ამ მიყრუებულ სოფელშიც შეაღწია და ამიტომ საინტერესოა, ეღირსებათ კი ბლერებს ნანატრი სიმშვიდე? თუმცა, ალბათ, მათთვის პატარა სოფლის მცხოვრებლების მოკრძალებული აღფრთოვანება გაცილებით უფრო იოლი ასატანი იქნება, ვიდრე გათავხედებული პაპარაცების დევნა.



სილვიო ბერლუსკონის "რუსული არდადეგები".



დანიის მეფე-დედოფალი საზაფხულო რეზიდენციაში.



ბილ კლინტონი ფერმაში.



ბენიამინი ნეთანიაჰუ ზღვაში გრილდება.



ეჰუდ ბარაკი მეუღლესთან ერთად სამხრეთ ისრაელის კურორტზე.



ჰელმუტ კოლი ავსტრიულ კურორტზე.

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი

# მართა

მართა ჩემი თანამშრომელია. გასათხოვარი, ლამაზი, მხიარული გოგოა. არავის უნახავს მანამდე მართა ვინმესთან ერთად. ჰოოოდა, მოვდივარ რუსთაველზე და რას ვხედავ? მოდის მართა ვიღაც ბიჭთან ერთად. ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, მორცხვად თვალდახრილნი მოდიან. ბიჭმა მართას ნაყინი უყიდა. მართამ ნაყინი უხალისოდ ჩამოართვა და მორიდებულად დაიწყო ჭამა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე: მოდიხარ რუსთაველზე შავგვრემან ბიჭთან ერთად და მიირთმევ ნაყინს, რომლის ჭამის სურვილი არა გაქვს და ნერვები გეშლება, რომ ნაყინი ძალიან ცივი და უზომოდ დიდია; მოდიხარ რუსთაველზე შავგვრემან ბიჭთან ერთად, რომელიც უზომოდ მოგწონს, შეიძლება ითქვას - გიყვარს კიდეც, მაგრამ ჯერ თქვენ ერთმანეთისთვის არაფერი გაგინდვიათ, ორივენი ერიდებით ამაზე საუბარს და გეჩვენება, რომ თითქოს ამ სეირნობისას რაღაც უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს რაღაც ისეთი, რასაც ორივენი დიდი ხანია ელით და აი, შავგვრემანმა ბიჭმა ნაყინი გიყიდათ. თქვენ კი, უფრო სწორედ მართამ, უარი ვერ უთხრა და იძულებულია ნაყინი ჭამოს. შუა რუსთაველზე, შეყვარებულ ბიჭთან ერთად იძულებული ხარ, ჭამო ის, რაც ასე არ გინდა.

საოცარი რამაა სიყვარული: გაგხდის ისეთს, როგორიც არა ხარ, გაგაკეთებინებს საქმეს, რომლის ჩადენა არც გიფიქრია, მოგაფიქრებინებს ისტორიას, რომელიც არასდროს მომხდარა, ერთი სიტყვით, შეგაძლებინებს იმას, რაც აქამდე არ შეგეძლო. და მაინც, არასდროს უნდა იყიდო ნაყინი შეყვარებული გოგოსთვის, იმიტომ, რომ არაფერს შეუძლია შეგიშალოს ისე ხელი, როგორც ნაყინს.

მოდის მართა შავგვრემან ბიჭთან ერთად, რომელსაც გრძელი თმები აქვს, გოგოსავით მოვლილი და რეზინით შეკრული, მართაზე ერთი თავით მაღალი, გამხდარი და დიდი, მასიური ნიკაპით, პატარა, შეშინებული ლურჯი თვალებით და გრძელი წამწამებით, მთლიანობაში შესაშური გარეგნობით და მაინც ყიდულობს ნაყინს, რომელიც არაფერ შუაშია მათ ურთიერთობაში. და ამის შემხედვარე კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ისეთ უწყინარ საგანს, როგორიც ნაყინია - შეუძლია შექმნას ყველაზე უხერხული სიტუაცია მათ ურთიერთობაში.

რუსთაველის გამზირი დასასრულს მიუახლოვდა და მართას ნაყინმა დნობა იწყო. ვერ ვიტყვი, რომ მართა ამას არ მოელოდა, მაგრამ მაინც მოუმზადებელი შეხვდა ცხოვრების ამ ახალ გამოცდას. პირველი წვეთი მართას მარჯვენა ფეხის ცერს დაეცა, მეორე თავად ფეხსაცმელს. როგორც იქნა, მართა შეჩერდა, ტანით წინ გადაიხარა და მესამე წვეთმა მილიმეტრებით ჩაუარა ბიჭის ყავისფერ სანდლებს. მართას სიბრაზემ სძლია, ბიჭს სირცხვილმა, ნაყინს კი დნობამ. მართას შუაგულ რუსთაველზე გამდნარი უხერხულობის გადაგდება მოერიდა. უხერხულობა წვეთავდა და მართამ ენა შეუშვირა ნაყინს. წვეთები მართას ნიკაპზე დაეცა და ბიჭმა სუპერმარკეტში ნაყიდი ერთჯერადი ხელსაწმენდით სცადა მისი მოწმენდა. მართა დანებდა, ნაყინიანი ხელი ძირს დაუშვა და დაელოდა, როდის მოწმენდდა ბიჭი სახეს.

მართას წაეკითხა, რომ ჭეშმარიტების ყველაზე დიდი შეგრძნება სწორედ ასეთი უხერხული სიტუაციების დროს ხდებოდა, რომ თუ ბიჭი მას თვალებში ჩახედავდა, მასაც შეეძლო მზერით ეპასუხა და მაშინ რომელ მამაკაცს შეეშინდებოდა პირველი კოცნის? მართა ამას მოუთმენლად ელოდა. ელოდა ბიჭის შეხებას მის სახეზე, ლურჯი თვალების სითბოს, სითამამეს, გაბედულებას, მიზანსწრაფვასა და სიყვარულის უსიტყვოდ ახსნას. მართამ სახე წინ გასწია და თავისდა გასაკვირად, ალისფერი, ცივი და ტკბილი ტუჩები კოცნისთვის მოამზადა. ბიჭმა ერთხანს დაიცადა, არ ჩქარობდა მართასთვის ნაყინის წვეთების მოწმენდასა და კოცნას. მართამ კი ამასობაში თვალები დახუჭა და როგორც მეგ რაიანმა, თავისი კარიერის საუკეთესო წლებში იცოდა, გაინაბა.

ბიჭმა მართას ნაყინი ჩამოართვა და ერთი ამოსუნთქვით გადაყლაპა. შემდეგ მართას ხელი ჩაჰკიდა და სწრაფად სადღაც გაარბენინა. ალბათ ახალი ნაყინის საყიდლად. ამის მერე, ალბათ, კიდევ დიდხანს, ვერავინ ნახავს მართას ვინმესთან ერთად. არა?!

# გალერეა „New Art„-ში ციფრული ფოტოგრაფიის გამოფენა გაიხსნება

## მათ პროფესიონალიზმში რომ დარწმუნდეთ, გაზეთი „24 საათი„ უნდა შეიძინოთ

თამარ სუხიშვილი

ციფრული ფოტოგრაფია ახალი ერაა ფოტოგრაფიაში, - ეს ჩემი სიტყვები არ გახლავთ, ამ ჭეშმარიტებას საყოველთაოდ ცნობილი "კოდაკის" ფირმა განუმარტავს თავის ერთგულ მომხმარებელს, პერსპექტიულ მომხმარებელსა თუ უბრალო ცნობისმოყვარეებს.




ციფრული ფოტოგრაფია ჩვენში, ისევე როგორც ყველა სხვა ტექნოლოგიური სიახლე, შედარებით გვიან შემოვიდა: ციფრული აპარატით გადაღებული კადრები თავდაპირველად პლოტერზე ან პრინტერზე იბეჭდებოდა, ამის შედეგად სურათი, ბუნებრივია, გამოსახულების ხარისხს კარგავდა. ბევრ თქვენგანს ალბათ არაერთხელ ამოუბეჭდავს პრინტერზე რომელიმე ცნობილი კინოვარსკვლავის ან ფეხბურთელის ფოტო და ორიგინალსა და ჩვეულებრივი თაბახის ფურცელზე გადმობეჭდილ ნახატს შორის ხარისხობრივი განსხვავებაც აღუნიშნავს. საბედნიეროდ, დრო მიდის და ჩნდება ახალი ტექნოლოგიები, მართალია – სხვაგან, მაგრამ მარჯვე ხალხის მონდომებით ეს ტექნოლოგიები ჩვენამდეც აღწევს და ნელ-ნელა აქაც იკიდებს ფეხს. ციფრული ბეჭდვის ტექნოლოგია თბილისში ფირმა "კონიკამ" შემოიტანა გაზაფხულზე, სულ მალე ამ წამოწყებას "კოდაკმაც" აუბა მხარი და "კონიკას" კონკურენტადაც მოევლინა. მარტივად რომ ავხსნათ, ბეჭდვის ტექნოლოგიის პრინციპული სიახლე ისაა, რომ პროდუქტი (ე.ი. ფოტო) ე.წ. ციფრული მატარებლიდან მიიღება და ნეგატივიდან კი არა, კომპიუტერიდან იბეჭდება. როგორც "კოდაკის" სტუდია "ფოტოსამყაროს" მენეჯერი მიშა ჭოხონელიძე განგვიმარტავს, ციფრულ ბეჭდვას ბევრი პლუსი აქვს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ოპტიკური ფოტოგრაფიის დრო წავიდა. უბრალოდ, ეს მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეა, თანაც ძალიან საჭირო, გამოსადეგი და სასიამოვნო სიახლე. ასე რომ, მსოფლიო ტექნიკურ პროგრესს რაღაცნაირად უნდა ავყვეთ და ეს სიახლე ჩვენშიც უნდა დავნერგოთ.

სულ მალე სტუდია "ფოტოსამყარო" ერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორად მოგვევლინება. გალერეა New Art-ი, რომელიც, თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ასევე დიდ ინტერესს იჩენს ახალ საშუალებათა დანერგვის საქმეში (New Art-ის თაოსნობით გამოიცა პირველი ელქტრონული წიგნი - გალაკტიონის რჩეული, New Art-ი აპირებს ქართული ვიდეო-არტის გამოფენა-კონკურსის მოწყობასაც), 7 აგვისტოს "ფოტოსამყაროს" მიერ ორგანიზებულ გამოფენას უმასპინძლებს: "ეს იქნება ციფრული ფოტოგრაფიის გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავს, აჩვენოს საზოგადოებას ციფრული ტექნიკის მიღწევები და დაარწმუნოს მის შესაძლებლობებში," – გვეუბნება მიშა ჭოხონელიძე და დარწმუნებულია, რომ გამოფენაში მონაწილე ფოტოგრაფების ნამუშევრები ამ ფუნქციას – ციფრული ფოტოგრაფიის შესაძლებლობების დემონსტრირებას მშვენივრად გაართმევს თავს.

რაც შეეხება თავად ფოტოგრაფებს, ისინი გაზეთ "24 საათის" რეპორტიორები არიან: მარიკა ამურველაშვილი, ბესო გულაშვილი, ლევან ხერხეულიძე, იური ლობოდინი და გოგიტა ბუხაიძე. მათ პროფესიონალიზმში რომ დარწმუნდეთ, გაზეთი "24 საათი" უნდა შეიძინოთ, მერე კი ამ გაზეთს უკვე პოპულარული სარეკლამო პარიკმახერივით ვერ მოწყდებით. გაზეთის ფოტორეპორტიორებს ყოველდღიურად 5-6 გადაღებაზე უწევთ წასვლა (ამიტომ მათთვის ციფრული კამერა ძალიან მოსახერხებელია), გზაში კი – ანუ გადაღებიდან გადაღებამდე – ისინი პროფესიულ ჩვევას არ ღალატობენ და ყველა საინტერესო შემთხვევას ფირზე, არა შევცდი – ციფრული ტექნოლოგიით აფიქსირებენ. დასანახი და დასაფიქსირებელი კი ამ ჩვენს ქალაქშიც და მის გარეთაც მრავლადაა.

ციფრული ფოტოგრაფიის პირველი გამოფენა გალერეა "New Art"-ში 7 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე გაიხსნება. გალერეის მისამართია: ფურცელაძის ქ. №11, ეროვნული ბიბლიოთეკის IV კორპუსი.

# მთელი საქართველო ერთ დისკზე

## ქართული ხალხური საკრავების კატალოგის დაბადება

ვერა ნეფარიძე

**"ქართველები ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში. რთული და ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად მათ უმდიდრესი კულტურა შექმნეს, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავად ხალხურ მუსიკაშია გამოხატული. საქართველოში ნაპოვნი უძველესი საკრავი, ძვლის სალამური ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-15 საუკუნითაა დათარიღებული" – ასეთია მინაწერი ქართული ხალხური საკრავების პირველ კატალოგზე, რომელიც კომპაქტ-დისკის სახით გამოვიდა. კატალოგი, თანამედროვე მუსიკოსებს შორის, ხალხური საკრავების ყველაზე აქტიურმა მომხმარებლებმა, Soft Eject-ის წევრებმა წარმოადგინეს.**

თანამედროვე ქართული მუსიკის ფოლკლორით გამდიდრების ტენდენციამ საქართველოში, მგონი, პიკს მიაღწია. ვისაც მოესურვება, არაფერი უშლის ხელს სურვილისამებრ გარითმოს ნებისმიერი ხალხური თუ ტრადიციული სიმღერა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ამ პროდუქციის ავკარგიანობაზე მსჯელობა ჩვენი თემა არ არის. ფოლკლორით საყოველთაო გატაცებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დადებითი შედეგებიც მოიტანა, ამჯერად ქართული ხალხური საკრავების პირველი კატალოგის სახით. თემას კიდევ სხვა ვინ უნდა ჩაღრმავებოდა, თუ არა Soft Eject, რომელზეც ერთხელ ხუმრობით ეწერა: ჯგუფი ისეთ საკრავებსაც იყენებს, რომელთა სახელებიც წესიერად არ იციანო. ამ შემთხვევაში ასეთ საკრავად ჭიბონი იგულისხმებოდა. აჭარული ჩასაბერი საკრავი ჯგუფმა პირველ ალბომში "ბეგრაუნდად" გამოიყენა. მაშინ ბევრს გაუკვირდა – სად მიაგნესო, მაგრამ იმ დროისათვის "სოფთები" სერიოზულად იყვნენ უკვე ჩართულნი პროექტში, რომელზე მუშაობაც სამი წლის წინათ დაიწყეს.

"კატალოგის გამოცემა ოთხი წლის წინანდელი იდეაა. ზუსტად მახსოვს, როგორ დამებადა: არამუსიკოს მეგობრებთან ვსაუბრობდი ძველ ხალხურ ინსტრუმენტებზე, თუ რა კარგი იქნებოდა მათი აღნუსხვა; დაგვაინტერესა, საერთოდ რა მდგომარეობაში იყო (ხალხურ საკრავთა მუზეუმის ბედზე რამდენიმე ხნის წინათ დაწერა "24 საათმა" – ვ.ნ) და სად ინახებოდა ისინი. იდეა მეგობრებმა მომიწონეს, რის შემდეგაც რამდენიმე ფონდს მივაკითხეთ" - თუმცა, ფონდების პარალელურად, იდეის ავტორმა, "სოფთელმა" გია ქარჩხაძემ მუსიკოსი-ინსტრუმენტალისტები და ეთნოგრაფებიც მოიძია. პირველი, ვინც მუსიკოსს ხალხური საკრავებისა და ფოლკლორის ამოუწურავი მასალა გააცნო, ფოლკლორისტი ედიშერ გარაყანიძე იყო. "ნამდვილად ცოცხალი ენციკლოპედია იყო, იშვიათად რომ შეხვდები, ისეთი. საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული ფეხით ჰქონდა მოვლილი. 2-3 თვის განმავლობაში უზარმაზარი ცოდნა გადმომცა. იმდენი რამე აღმოვაჩინე ამ ადამიანის გაცნობით, ავტოკატასტროფაში რომ დაიღუპა, შოკირებული ვიყავი, აღარ მიფიქრია საქმის გაგრძელება...." – მაგრამ, გიას მეგობრების წყალობით, პროექტის კონსულტანტ, ანჩისხატის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელ, მალხაზ ერქვანიძესთან ერთად, პროექტი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში" მიიტანეს.

ფონდმა თავდაპირველად ძველ მესაკრავეთა აღრიცხვა დააფინანსა. მოგვიანებით კი შეთანხმდნენ, პროდუქცია საბაზრო სახით გამოეცათ, რისთვისაც დაიწყო საარქივო მასალების მოძიება-შეგროვება. კატალოგის ავტორ-შემდგენლებს საკრავების ნუსხის სისრულეზე პრეტენზია არ აქვთ. აქ, ძირითადად, მუზეუმებს, ძველ მესაკრავეებსა და მეხსიერებას შემორჩენილი საკრავებია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ კატალოგი აუდიოფაილებსაც შეიცავს. ასე რომ, თავად შეგიძლიათ მოისმინოთ იმ ინსტრუმენტების ჟღერადობა, რომელზეც დღეს აღარ უკრავენ. ასეთი კი, კატალოგში წარმოდგენილი ჩვიდმეტი საკრავიდან, თერთმეტია. კატალოგი უფრო მეტად უცხოელებისთვისაა გათვალისწინებული (ამიტომაც ის ორენოვანია – ქართულად და ინგლისურად). თუმცა, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნებისმიერი (ცხადია, ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების გარდა) მაცხოვრებლისთვის უცხო იქნება რამდენიმე საკრავის სახელი. როგორც კატალოგის ავტორებმა გვითხრეს, ბევრი საკრავის მხოლოდ სახელია შემორჩენილი და სამწუხაროდ, დაახლოებითაც არ იციან, ისინი რომელი ცნობილი ინსტრუმენტის ანალოგი შეიძლება იყოს.








კატალოგზე მუშაობისას ისეთი გადაულახავი პრობლემაც იყო, რის გამოც ორიოდე საკრავი კატალოგში ვერ მოხვდა. მათ შორისაა, სვანური ინსტრუმენტი სანკერი, რომლის კვალსაც ვერ მიაგნეს; იყო შემთხვევა, როდესაც მუზეუმში იპოვეს ბუკი, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს მასზე ჩამბერავი; კატალოგის დასრულებისას ავტორებმა უენო სალამურის ლაზური ვარიანტი, კავალიც აღმოაჩინეს. სამწუხაროდ, არც ისაა კატალოგში შეტანილი. "ყველაზე მეტად გული მწყდება, რომ აფხაზური ინსტრუმენტები – აჭარპანი (ჩასაბერი) და აფხარცა (სიმებიანი) არ გვაქვს კატალოგში. ეს საკრავები სხვა კუთხეებში არაა გავრცელებული. შემონახულია მხოლოდ აჭარპანის საარქივო ჩანაწერი. კატალოგში კი ეს საკრავები იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხვდნენ, რომ აფხაზეთთან ხელი არ მიგვიწვდება" – ამბობს გია ქარჩხაძე.

კატალოგში შეტანილია 1937-39 წლებში მცხეთასთან არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნით დათარიღებული, გედის წვივის ძვლისგან დამზადებული უენო სალამური. Soft Eject-ის ფლეიტისტს ნახევარ საათიანი შრომა დასჭირდა მის ასაჟღერებლად. სალამური ჯანაშიას მუზეუმში ინახება. საკრავი იმითაა საინტერესო, რომ იგი ადასტურებს მეცნიერულ გამოკვლევებს ქართული ფუძე-ენის შესახებ. სალამურს მხოლოდ ოთხი ნოტი აქვს და ამით ის იმ გამოკვლევას, რომ ქართული მუსიკალური ფუძე-ენა ოთხნოტიანია, ზუსტად შეესაბამება.

კატალოგის აუდიო-ფაილების შესაქმნელად, თბილისში, "სოფთების" სტუდიაში სამუშაოდ, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უძველესი საკრავების ოსტატები ჩამოვიდნენ. მათ შორის: მეჩონგურე პოლიკარპე ხუბულავა, სამეგრელოდან; 84 წლის ისლამ ფილფანი სვანეთიდან, რომლის ჩანგი და ჭუნირი ჟღერს კატალოგში; აჭარაში გავრცელებული ჩასაბერი საკრავის, პილილის ჩასაწერად კი სარფიდან ილია აბდულიში მოიწვიეს პროექტის ავტორებმა. თუმცა, ეს არ არის მოწვეულ შემსრულებელთა სრული ჩამონათვალი. რაც შეეხება Soft Eject-ს, მისი წევრები კატალოგზე სხვადასხვა ფორმით მუშაობდნენ. კატალოგის დიზაინზე ვახო ბაბუნაშვილმა იზრუნა; ტექსტების ავტორი ნოდარ მანჩხაშვილია. გაცილებით მეტს კი თავად კატალოგიდან შეიტყობთ.

სცენარების კონკურსი
http://www.internews.ge/geo/psa
"ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს სოციალური რეკლამების საუკეთესო სცენარების გამოსავლენად
თემები: ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია
შერჩეული იდეების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის შემდგომ განხორციელებაში და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით
ტელ.: 25-38-60, -61, -68-2
ელ. ფოსტა: PSA@internews.ge
http://www.internews.ge/geo/psa
პროექტების "ინტერნიუსში" წარდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 7 სექტემბერი


8-07

## ორშაბათი 5.08

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 60 წუთი. ჩვენი ეზო 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით" 09.50 ველური ბუნება 10.40 ბრენდაიზერი 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ.ფილმი 17.05 ლუისი და კლარკი 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ბრენდაიზერი 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები" 19.15 სასამართლო დარბაზი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "კომუნიკატორი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "დამცველები" მთ.როლებში ტომი ლი ჯონსი, უესლი სნაიპსი

### პირველი არხი

17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 სერიალი "ბოგონები ქარში" 19.00 ვიდეოპატრული 19.10 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 20.00, 00.00 მოამბე 21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 21.45 ტელე-სინე-ვიდეო 22.20 ქართ. ფილმი "პირველი მერცხალი" 23.35 სერიალი "ძილის წინ" 00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.30 სერიალი "კობრა"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "ოცნება მავნე არ არის" 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის" 22.10 მხ. ფილმი "ქარიშხალი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15, 18.30 მულტფილმი "პინოქიო" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.30 მხ. ფილმი "გმირებს ყურები არ ეყინებათ" 14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები. მარიკა ხიდურელის საავტორო გადაცემა 22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "შეინარჩუნო რწმენა" 10.20 მხ.ფ. "სიკვდილი წყალში" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 19.30 ბურთი და მოედანი 20.00 მხ.ფ. "მზის დევნაში" 22.15 მხ.ფ. "მე აფრიკაზე ვოცნებობ" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

09.00 საინფორმაციო პროგრამა “დღის ამბები” 09.20, 12.20, 17.40, 20.50, 22.00, 00.15 მუსიკა 09.35, 19.10 მულტფილმი “კეთილი ჯადოქარი ოზიდან” 10.00, 15.00 “დილა” 11.20, 14.05, 18.00 დისქავერი 12.30 გადაცემა “საუბრები სტუდიაში” 13.20 მხ.სერიალი “ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური” 16.20 მხ.ფილმი “კანარიის პრინცესა” 19.00 მაცაცერა 19.30 მსოფლიო ფეხბურთი 20.00 სად? რა? როდის? 21.10 მხ.სერიალი “ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური” 22.10 მხ.ფ. “გულთან ახლოს”. მთ. როლებში რობერტ რედფორდი, მიშელ ფაიფერი 00.35 მხ.ფ. “ცდუნება”. მთ. როლებში ანტონიო ბანდერასი, ანჯელინა ჯოლი

### აჭარის ტელევიზია
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 9.30 Слово 10.00 სათავგადასავლო ფილმი “პატარა პრინცესა” 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 მელოდრამა “ესენია” 14.20 თრილერი “პატარა ჭუჭყიანი საიდუმლო” 16.15 მულტფილმი “აგა- დაგა-დუ” 17.45 თრილერი “სისხლით ძმები” 19.20 სატელევიზიო სპექტაკლი “კოლმეურნის ქორწინება” 20.50 ქართული მხატვრული ფილმი “ლომა” 2 სერია 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება “დღეს” 22.30 Новости в воскресенье 22.50 “სათქმელი” 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.20 მელოდრამა “მოხეტიალე ვარსკვლავები” 03.30 კომედია “სამსახურეობრივი რომანი”

### VII არხი
17.20,22.30,01,55 ანონსი 17.25,21.50 ამინდის პროგნოზი 18.00 ფეხბურთი. ინგლისის სუპერთასი. “არსენალი” - “ლივერპული” 20.00 “აჩიკუდა” 20.30 “სახლიდან გაუსვლელად” ეკრანთან მთელი ოჯახით 21.15 “ავტოტრეკინგი” (წლის საუკეთესო გადაცემა) 22.05 “საყვარელი ფილმი” - “დიდი გასეირნება” საფრანგეთი. 1965 წელი. კომედია. რეჟისორი - ჟერარ ური. მთავარ როლში: ლუი დე ფიუნესი. 00.05 მუსიკალური ტაიმაუტი 00.30 “სახლიდან გაუსვლელად” 00.50 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. “ელიტარული ქვედანაყოფი” ა.შ.შ. 1999 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - სკოტ სილვერი. როლებში: დენის ფარინა, ჯოშ ბროლინი. 02.25 “სახლიდან გაუსვლელად” 02.55 პრესის მიმოხილვა პროგრამაში განთავსებული ფილმები განკუთვნილია 18 წლიდან და უფროსი ასაკის მაყურებლისთვის.

### ОРТ
08.05 Сериал “Правда о птицах” 09.00, 11.00, 15.00 Новости. 09.10 Армейский магазин 09.40, 14.30 Дисней-клуб 10.05 сериал “СОБАЧЬЕ ДЕЛО” 11.10 Непутевые заметки с Дм. Крыловым 11.30 Пока все дома. 12.05 х.ф. “МЕЧЕНЫЙ АТОМ” 14.00 “Тайны забытых побед” 15.10 Живая природа “Русский медведь” 16.10 х.ф. “БЕГЛЕЦ” 17.00 “Большие родители” 17.30 Сами с усами 18.00 х.ф. “КИНГ-КОНГ ЖЫВ” 20.55 х.ф. “ХИЩНИК- 2” 22.00 Время 22.30 х.ф. “КОНАН-РАЗРУШИТЕЛЬ” 00.25 «На футболе» с Виктором Гусевым 00.55 х.ф. “БАРТОН ФИНК”

### РТР
07.30 Фильм “СЧАСТЛИВЫЙ НЕУДАЧНИК” 08.55 “ПОВЕЛИТЕЛЬ ЗВЕРЕЙ” 09.50 Русское лото 10.40 “ТВ Бинго-шоу” 11.10 “КОРОЛЕВА КРАСОТЫ ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО” 11.35 Сам себе режиссер 12.35 “Городок” 13.05 х.ф. “ДАЧА” 15.00, 21.00 Вести. 15.20 Концерт Н. Бабкина 17.10 “Диалоги о животных” 18.10 “Комната смеха” 19.10 Фильм “КРАСОТКИ” 21.25 Аншлаг 22.30 Фильм “ДИВЕРСИЯ” 00.35 Легкая атлетика. Чемпионат Европы. 01.55 Спорт за неделю 02.30 Твин-пикс

### НТВ
07.40 х.ф. “НЕИЗВЕСТНАЯ ПЛАНЕТА” 08.35 “Star-старт” 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня 09.15, 15.05 Вкусные истории 09.25 х.ф. “ЮНОСТЬ МАКСИМА” 11.20 фильм “ОХОТА НА ЗОЛУШКУ” 12.20 “Растительная жизнь” 13.25 х.ф. “ОТВЕТНЫЙ ХОД” 15.30 Служба спасения 16.05 Своя игра 17.25 Ток-шоу “Принцип “Домино” 18.30 Очная ставка 19.00 “Шоу Елены Степаненко” 20.30 фильм “ИДЕАЛЬНАЯ ПАРА” 21.35 фильм “МОНАХ-2. ВОЗВРОЩЕНИЕ ШАОЛИНЬ” 23.35 Фильм “ПУТЬ КАРЛИТО” 02.15 Пепси-чарт

ფეხბურთი

## ალექსანდრ შტელინი: "ფეხბურთელებმა ჩემი არც ერთი დავალება არ შეასრულეს"

თეიმურაზ ფირცხალავა

*ათიოდე დღის წინათ ფარერებზე გამგზავრებული ქუთაისის "ტორპედო" გუშინ ჩეხეთიდან დაბრუნდა, სადაც პრაღის "სპარტას" ეთამაშა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. თუ როგორ დასრულდა ქართველთა ეს ვოიაჟი, ყველამ კარგად იცის, მაგრამ ყველაფერში რომ უფრო კარგად გავერკვეთ, უმჯობესია, "ტორპედოს" მთავარ მწვრთნელს ალექსანდრ შტელინს მოვუსმინოთ, მით უმეტეს, რომ ფარერებზე გუნდს გარკვეული პრობლემები შეექმნა, რის გამოც ქუთაისელებს ჩეხეთში ჩასვლა დააგვიანდათ.*

*ფარერებზე უამინდობის გამო შევჩერდით, თუმცა, პრაღაში მასპინძლებმა ისეთი იდეალური პირობები შეგვიქმნეს, ვერც ვიოცნებებდით.*

**- მეტოქეზე თუ ფლობდით რაიმე ინფორმაციას?**

- როგორც იცით, ჩეხეთის ჩემპიონატის პირველ მატჩს "სპარტასა" და "ტეპლიცეს" შორის ბატონი სოსო ფრუიძე უნდა დასწრებოდა, მაგრამ სავიზო პრობლემის გამო ეს საკითხი ვერ მოგვარდა და ჩვენ მხოლოდ ამ მატჩის ვიდეოჩანაწერით დავკმაყოფილდით.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- მართალია, "სპარტას" ძალიან გაუჭირდა მეტოქის დამარცხება, მაგრამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მივხვდი, რომ იოლი ბრძოლა არ გველოდა. ვფიქრობ, ნაწილობრივ სწორედ ამ ვიდეოჩანაწერმა იმოქმედა ბიჭებზე დამთრგუნველად. ისინი საკმაოდ შეშინებული გამოვიდნენ სათამაშოდ. ამიტომაც იყო, რომ ჩემი ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულეს.

**- ჩეხებმა თქვენს მიერ დასახელებული წინასწარი შემადგენლობა გამოაქვეყნეს, მაგრამ თქვენ მატჩზე 7 სხვა ფეხბურთელი გამოიყვანეთ...**

- მე არავითარი სავარაუდო შემადგენლობა არ დამისახელებია. მათ ჩემს მიერ ფარერებზე დაყენებული შემადგენლობიდან ისარგებლეს და იფიქრეს, რომ გასვლით მატჩშიც ასე ვითამაშებდით.

**- მეკარეებს შორის როგორ გააკეთეთ არჩევანი?**

- ჭანტურიამ ფარერებზე ძალიან კარგად ითამაშა და არაერთხელ გვიხსნა, მაგრამ კასეტის ნახვის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ არჩევანი სტურუაზე შეგვეჩერებინა.

**- და მანაც გაგიმართლათ ნდობა...**

რაც სტურუამ და გუჩუამ გააკეთეს, დანარჩენებს იმის ნახევარი რომ გაეკეთებინათ, ალბათ, ასეთი დიდი ანგარიშით არ წავაგებდით.

**- ლიგის თამაშამდე ეროვნული ჩემპიონატის მეტად რთული მატჩი გელით თბილისის "ვიტ ჯორჯიასთან". რას იტყვით მასზე?**

- ფედერაციას ვთხოვეთ, რომ ეს მატჩი გადაეტანა, მაგრამ უარი მივიღეთ. მოტივი ასეთი იყო: კალენდარს ყველა გუნდმა პატივი უნდა სცეს და, გუნდური ინტერესებიდან გამომდინარე, მისი შეცვლა არ შეიძლება. ამას მეც მივესალმები, მაგრამ გამონაკლისი არავისთვის არ უნდა დაეშვან.

**- გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მიხეილ ფოცხვერია წლევანდელ ჩეპიონატში "ტორპედოს" ღირსებას დაიცავს. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?**

- მიშას დიდი ხანია, არ უთამაშია და ფორმის აღსადგენად ბევრი შრომა დასჭირდება. ამიტომ ჯერჯერობით მისი დამატება გამორიცხულია, მომავალში კი ვნახოთ.

**- კიდევ ვინმეს დამატებას თუ აპირებთ?**

- მე ვიცი, რომ ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს თავისუფლად შეიძლება უცხოელი ფეხბურთელების დამატება. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, რომ "ტორპედოს" მაისურა უკრაინელმა, ბელგიელმა ან აფრიკიდან ჩამოსულმა შავკანიანმა ფეხბურთელებმა მოირგონ.

# ქართული ფეხბურთი სკანდალის პირას

დიმიტრი ობოლაძე
მიხეილ აბაიშვილი

დღეს, წესით და რიგით, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი უნდა დაიწყოს. თუმცა, ყველაფერი, ალბათ, საღამოს ექვს საათზე, პირველი ტურის შეხვედრების დაწყებისას გაირკვევა. საქმე ისაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამ კლუბს - თბილისის "მერანს", ზესტაფონის "მარგვეთს" და უმაღლესი ლიგის დებიუტანტს, წნორის "მილანს" ტურნირში ჩაბმის საშუალებას არ აძლევს. ფედერაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ამ კლუბებს, რომლებიც წინასაარჩევნო ბრძოლაში დავით პეტრიაშვილის მხარეს არიან, არ გადაუხდიათ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო ოფიციალური თანხა - 22 ათასი ლარი. ეს მოთხოვნა თითქოს კანონიერია, თუმცა, არსებობს საქმის სხვა მხარეც, რომლის გამოც "მილანის", "მერანისა" და "მარგვეთის" ხელმძღვანელებმა დღეს პრესკონფერენცია მოიწვიეს. ჟურნალისტის სახლში შემდგარი შეხვედრა საინტერესო გამოდგა.



*ჟორდანიას საფიქრალი მოეძალა*

### მარიკა ფირცხალაიშვილი: "ჟორდანია არჩევნების გამო გვავიწროებს"

პირველი კომენტარი წნორელთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა მარიკა ფირცხალაიშვილმა გააკეთა: "წნორის "მილანი" პირველად მოხვდა უმაღლეს ლიგაში. ეს თავისთავად დიდი მიღწევაა. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენთვის პატარა დახმარებაც კი არ გაუწევია. ჩვენთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ფედერაციის კატეგორიული მოთხოვნა 22 ათასის დაუყოვნებლივ გადახდის თაობაზე. ჩვენი გუნდი კერძოა და სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული. კახეთში მომხდარი მიწისძვრის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. ამ დროს ყველა ქვეყნის მთავრობა ეხმარება დაზარალებულებს. ჩვენთან კი პირიქით ხდება. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თანხას თანდათან შევიტანთ. ფედერაცია, რომელიც ადრე ასეთ საკითხებს მშვიდად უყურებდა, დღეს, რატომღაც, კატეგორიულობას იჩენს. ეს ყველაფერი არჩევნებს უკავშირდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თანხის გადახდის საშუალება არ გვაქვს. დღეს კი ჩემპიონატი იწყება. ყველაფერი საღამოს ექვს საათზე გაირკვევა. იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის."

### ანზორ მამალაძე: "მე ფეხბურთიდან წავალ"

გაცილებით კატეგორიულია "მერანის" პრეზიდენტი ანზორ მამალაძე. "მე ადრეც მივმართე ფედერაციას, რომ ფინანსური საკითხი მოეგვარებინა. როგორც მითხრეს, ყველაფერი ჟორდანიას უნდა გადაეწყვიტა. ჩამოვიდა და ასეთი ფაქტის წინაშე დაგვაყენა. არჩევნები 24 აგვისტოს გაიმართება. იმ დღემდე "მერანს" ორი საშინაო შეხვედრის ჩატარება უწევს. მე ვიხდი 4 თამაშის თანხას. შემდეგ კი დაველოდოთ არჩევნებს. პეტრიაშვილის პროგრამით, მისი გამარჯვების შემთხვევაში, კლუბები საერთოდ თავისუფლდებიან გადასახადისგან. რატომ არ შეიძლება დაცდა. მე ფედერაციას ვცნობ და ვენდობი იმ დღემდე, ვიდრე იგი არსებობს. თუ 24-ში შემადგენლობა შეიცვლება, შეიცვლება სიტუაციაც. დარწმუნებული ვარ, მე რომ ჟორდანიას ვუჭერდე მხარს, თანხაზე საუბარიც არ იქნებოდა. კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვაცხადებ: პეტრიაშვილი არ დაგვხმარებია. თანხა ვიშოვეთ ორი ფეხბურთელის გაყიდვის შემდეგ. კიდევ ერთ ფეხბურთელს ვყიდით, მაგრამ იმ ფულს ფედერაციაში არ შევიტან. საიდან წამოვიდა ეს პრინციპულობა, ყველასათვის ცნობილია. თუ ხვალ თამაშს ამიკრძალავენ, არჩევნებს დაველოდები. პეტრიაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, იმედია, დამაბრუნებენ. ჟორდანიას გამარჯვების შემთხვევაში კი ფეხბურთიდან წავალ. სხვა გზა არ მრჩება. იმ თანხას, რაც გამაჩნია, "მერანის" ფეხბურთელებისა და სხვა წევრების ხელფასებისა და პრემიების ასანაზღაურებლად გამოვიყენებ".

### "21 ათასის შემოტანის შემთხვევაშიც გაგრიცხავთ"

"თანხაზე და მის გადახდა-არგადახდაზე საუბარი ზედმეტია, - განაცხადა "მარგვეთის" პრეზიდენტმა ნუგზარ მდივანმა, - ყველა დაადასტურებს, რომ საუკეთესო გადამხდელი სწორედ მე ვიყავი. აქ საუბარია საქმისადმი მიდგომაზე. მე დავუკავშირდი ვალერი ჩოლარიას და შევატყობინე, რომ "მარგვეთი" მხოლოდ ოთხი თამაშის თანხას გადაიხდიდა. საპასუხო წერილი მუქარით სავსე გამოდგა. ჩოლარიამ გვიბრძანა, დაუყონებლივ გადაგვეხადა 22 ათასი. "თქვენ გაირიცხებით 21 ათასის გადახდის შემთხვევაშიც", - დაახლოებით ასეთი იყო მისი წერილის შინაარსი. მეც მოკლედ ვიტყვი: თუ ეს განუკითხაობა გაგრძელდება, ფეხბურთიდან წავალ."

სამივე კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი შესატანი ფედერაციაში მხოლოდ ორმა კლუბმა - "დინამომ" და "ლოკომოტივმა" შეიტანა. ზეწოლა კი სწორედ პეტრიაშვილის მხარდამჭერ კლუბებზე ხორციელდება. დღეს, 18 საათზე, პირველი ტურის ხუთი შეხვედრა უნდა გაიმართოს. ყველაფერი, ალბათ, სწორედ ამ წუთებში წყდება.

შექმნილ სიტუაციაზე კომენტარი ვთხოვეთ სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტს რომიკო შოთაძეს.

"წნორის "მილანის", ზესტაფონის "მეტალურგისა" და თბილისის "მერანის" წარმომადგენლებს დღეს შევხვდი. მათ გვთხოვეს, თანხის შემოტანა ყრილობის ჩატარებამდე ვაცალოთ. ასეთ რამეს ვერ გავაკეთებთ, რადგან ფედერაცია ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს ერთმანეთისგან არ ასხვავებს. ჩვენთვის სულერთია, თბილისის "დინამო" იქნება, ქუთაისის "ტორპედო" თუ ზესტაფონის "მეტალურგი" - ყველა გუნდის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს. 9 გუნდმა უკვე შემოიტანა გადასახადი და უსამართლობა იქნება, რომ სამისთვის დავუშვათ გამონაკლისი. ასე რომ, დათმობაზე ვერ წავალთ. თუმცა, გარკვეული შეღავათები მაინც დავუშვით: მიუხედავად იმისა, რომ თანხის გადარიცხვის ვადა უკვე ამოწურულია, ზემოხსენებულ სამ გუნდს 3 აგვისტოს 16 საათამდე დავაცდით. თუ ფულს არ შემოიტანენ, მაშინ ისინი ჩემპიონატის პირველ ტურში ვერ ითამაშებენ და ტექნიკური დამარცხება ჩაეთვლებათ ანგარიშით 0:3. ხოლო თუ მეორე ტურის დაწყებამდეც არ გადაიხდიან, მაშინ მოიხსნებიან ჩემპიონატიდან და უახლოეს აღმასკომის სხდომაზე დაისმება საკითხი ყრილობაში მათი მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ.

წინასწარ ვერ გეტყვით, თუ რას მოიმოქმედებენ. თუმცა, ზუსტად ასეთი ვითარება იყო შექმნილი ცოტა ხნის წინ, როდესაც ფედერაციამ თავისი სამი სუბიექტი – "მეტალურგი", "დინამო" და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია 10-10 ათასი ლარით დააჯარიმა. თავიდან ისინიც უარს ამბობდნენ თანხის გადახდაზე, მაგრამ ფულის გადმორიცხვისთვის მიცემული ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე თანხა მივიღეთ. მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ გუნდების ხელმძღვანელობები გამოიჩენენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საკუთარი გულშემატკივრების წინაშე აქვთ და თამაშის საერთო წესებს დაემორჩილებიან."

## "ფიორენტინა" აღარ არსებობს

ნინო პირველი

ასეთი განაჩენი გამოიტანეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და ეგრეთ წოდებულმა "ლა ლიგამ", რომელიც სერია A-ს და B-ს საქმეებს განაგებს. "ფიორენტინას" ფინანსური კრიზისი დიდი ხნის წინ დაიწყო. ფლორენციულ კლუბს უზარმაზარი დავალიანება დაუგროვდა, რომლის დაფარვას "ფიორეს" პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი ვერაფრით ახერხებდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც სკანდალურად ცნობილმა ჩეკი გორიმ შეძლო, ეს ფეხბურთელთათვის რამდენიმე თვის ხელფასების გასტუმრება იყო. ბევრი ფიქრობდა, რომ ამის შემდეგ "ფიორეს" დაშლა აღარ დაემუქრებოდა, მაგრამ ეს იმედი ბუტაფორიული გამოდგა.

"ფიორეს" კრიზისი სერია A-ს კლუბებმა გულთან ახლოს მიიტანეს და სცადეს, დახმარებოდნენ ფლორენციელებს, მაგრამ კლუბის გადარჩენა მაინც არ მოხერხდა. მერე რა, რომ "ინტერმა" და "მილანმა" ფრანჩესკო ტოლდო და რუი კოშტა იყიდეს, მერე რა, რომ ბატისტუტა "რომაში" გადავიდა - სამი ასეთი ვარსკვლავის გაყიდვით შემოსული თანხაც კი არ აღმოჩნდა საკმარისი "ფიორენტინას" ვალების გასასტუმრებლად. რღვევის პროცესი უკვე დაწყებული იყო და შეუბრალებლად ვითარდებოდა. გაჭირვებაში ჩავარდნილმა "ფიორემ" სერია A-ში მხოლოდ ერთი სეზონი გაძლო.

2001-02 წლების სეზონის შუაში "ფიორემ" ნელ-ნელა უკლო თამაშს და მტკიცედ დამკვიდრდა აუტსაიდერთა შორის. ფლორენციელებმა სერია A-ს ფსკერს თავი ვერ დააღწიეს და უმაღლეს ლიგაში ადგილი დაკარგეს. გულდაწყვეტილი ტოსკანელი ტიფოზები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ "ფიორე" ერთი წლის შემდეგ აუცილებლად შეძლებდა სერია A-ში დაბრუნებას, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ფლორენციელებს სერია B-ც კი სანატრელი გაუხდათ.

გაზაფხულის მიწურულს "ლა ლიგას" ახალი პრეზიდენტი გახდა "მილანის" ვიცე-მმართველი ადრიანო გალიანი, რომელმაც მაშინვე დაიწყო მკაცრი რეფორმების გატარება. იმის გამო, რომ საგარანტიო თანხები არ წარმოადგინეს, გალიანიმ თავიანთი ლიგებიდან ერთბაშად რვა კლუბი გარიცხა. სერია A-ს გრანდები "რომა" და "ლაციო", სერია B-ს გუნდები "ვერონა", "გენოა", "პალერმო", "ნაპოლი", "ფიორენტინა" და "მესინა" განწირულთა სიაში აღმოჩნდნენ. როგორც კი ეს ინფორმაცია გაჩნდა სპორტულ პრესაში, მაშინვე ცხადი გახდა, რომ "ფიორეს" ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მართალია, ფინანსური გარანტიების წარდგენის ვადა 31 ივლისს იწურებოდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ "ფიორენტინას" აღარაფერი ეშველებოდა. მართლაც, ასე მოხდა. ყველა კლუბმა შეძლო პრობლემის მოგვარება, ფლორენციელების გარდა. "ფიორენტინას" აუქციონზე დაუპირეს გაყიდვა, მაგრამ გაკოტრებული კლუბის ყიდვა არავინ ისურვა და, რაკი გამოსავალი არ არსებობდა, "ფიორე" სერია B-დან გაირიცხა.

"ლა ლიგა" დიდხანს ბჭობდა იმის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა, "ფიორე" პროფესიულ ფეხბურთში დაეტოვებინათ. ბოლოს, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ "ფიორენტინას" (იგი 1926 წელს შეიქმნა) სერია C-ში გადაბარგება მიუსაჯეს. ჯერ ცნობილი არ არის, C 1-ში იასპარეზებს კლუბი თუ C 2-ში, მაგრამ ფლორენციელებს ისე გაუხარდათ გუნდის გადარჩენა, რომ დიდად აღარც დარდობენ ამაზე. "მთავარია, რომ "ფიორენტინა" პროფესიულ ფეხბურთში დარჩა. ყველა დანარჩენ პრობლემას ერთობლივი ძალისხმევით მოვაგვარებთ", - განაცხადა ფლორენციის მერმა ლეონარდო დომენიჩიმ. მერი ყველაფრის თავიდან დაწყებას აპირებს. "ფიორენტინა" აღარ არსებობს. ფლორენციელებმა ხელახლა უნდა შექმნან კლუბი, რომელსაც, ალბათ, "ფლორენტინა" დაერქმევა და საფეხბურთო ელიტაში დასაბრუნებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება. სერია B-ში კი "ფიორეს" ნაცვლად მომავალ სეზონში იასპარეზებს "ტერნანა", რომელიც, რა თქმა უნდა, უსაზღვროდ გახარებულია "ლა ლიგას" გადაწყვეტილებით და ჩეკი გორის მადლობაც კი გადაუხადა "დახმარებისთვის."

## შტრუნცი შეყვარებულია

გახსოვთ, რა სკანდალი აგორდა, როცა შტეფან ეფენბერგმა თომას შტრუნცს ცოლი წაართვა? მაშინ შტრუნცი ცრემლებს ღვრიდა, კლაუდია ძალიან მიყვარს და არ ვიცი, მის გარეშე რა მეშველებაო, მაგრამ როგორც ჩანს, "ბაიერნის" ექსფეხბურთელმა ცოლის დაკარგვა საკმაოდ იოლად გადაიტანა.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ შტრუნცმა უკვე სხვა ქალის შეყვარება მოასწრო. 31 წლის კრისტინა კუტი შტრუნცის ახალი გატაცებაა. მათ ერთმანეთი 27 მაისს "სპაიდერმენის" ბერლინურ პრემიერაზე გაიცნეს. "ბილდის" ინფორმაციას თუ ვენდობით, კრისტინა მას-მედიასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირია.

# ბუნდესლიგის სამი ფავორიტი - ერთი და იგივე პრობლემებით

აკა ტონია

9 აგვისტოს "ბუნდესლიგის" მორიგი სეზონი აიღებს სტარტს. ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებად კვლავ "ბაიერნი", "ლევერკუზენი" და ამჟამინდელი ჩემპიონი "ბორუსია" მიაჩნიათ. მაგრამ, სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ამ გუნდების რიგებში ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი. განსაკუთრებულ თავსატეხს ფეხბურთელთა ტრავმები ქმნის.

### მიუნხენის "ბაიერნი"

ჩემპიონატის დაწყებამდე ექვსი დღე რჩება, მაგრამ ოტმარ ჰიტცფელდის გუნდებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ. გუნდის მიერ ჩატარებული ტესტ-მატჩებით მწვრთნელი ძალიან უკმაყოფილოა. ჰიტცფელდის თქმით, "ბაიერნის" სასტარტო მატჩამდე, რომელსაც მიუნხენელები მიონხენგლადბახში, ადგილობრივ "ბორუსიასთან" გამართავენ, ფეხბურთელებმა თამაშს აუცილებლად უნდა მოუმატონ. "მე უკმაყოფილო ვარ. გუნდის ზოგიერთი ლიდერის სპორტული ფორმა ძალიან მაღელვებს. განსაკუთრებით ზე რობერტოზე ვნერვიულობ, აშკარაა, რომ მან თამაშს უნდა მოუმატოს. მაღელვებს ნაკრების ფეხბურთელთა მდგომარეობაც. მხოლოდ რვა დღეა, რაც ვარჯიში დაიწყეს და ჯერ გაურკვეველია, საკმარისი იქნება თუ არა ეს "გლადბახთან" მატჩისთვის", - განაცხადა ჰიტცფელდმა.

ოთხშაბათს, საღამოს, "ბაიერნმა" რეგიონული ლიგის კლუბ "აუგსბურგის" სათადარიგო შემადგენლობის წინააღმდეგ ძლივ-ძლივობით მიაღწია მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას (1:0). ამას წინ უძღოდა ფრე "ვაინჰაიმთან" (2:2) და გაჭირვებით მოგებული მატჩი "ვერლის" (3:2) წინააღმდეგ. ასეთ სუსტ მეტოქეებთან ამბიციური კლუბი თავისუფლად უნდა იმარჯვებდეს. ამ აზრზეა "ბაიერნის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერიც: "ეს შედეგები ძალიან მაფიქრებს. წესით და რიგით, ჩვენ ბევრად უფრო შორს უნდა ვყოფილიყავით."

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მწვრთნელის ქება დაიმსახურა, ახლად შეძენილი მიხაელ ბალაკია. "მას აქვს პროგრესი. ვარჯიშზე წინსვლა დაეტყო. გლადბახში ბალაკი აუცილებლად ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში", - ამბობს ჰიტცფელდი.

კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ტომას ლინკესა და იენს იერემიესის საკითხი. გაურკვეველია ზე რობერტოს საქმეც. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ცოტა ხნის წინათ ტრავმა მიიღო. მართალია, მან უკვე დაიწყო ვარჯიში, მაგრამ გუნდის მეორე მწვრთნელი მიხაელ ჰენკე ამტკიცებს, რომ ზე რობერტოს ჯერ კიდევ აწუხებს ტკივილები. სწორედ ამის გამოა, რომ ბრაზილიელი, ისევე როგორც ტრავმირებული ბიქსენტ ლიზარაზუ, სებასტიან დაისლერი და როკე სანტა კრუზი, მადრიდის "რეალის" ოთხთა ტურნირის განაცხადში არ შეიყვანეს. მადრიდის ტურნირზე "ბაიერნი" თავის პირველ მატჩს დღეს საღამოს გამართავს იტალიის "მილანის" წინააღმდეგ.

ამ ტურნირს მიუნხენელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. "იქ გამოჩნდება, თუ რას წარმოვადგენთ სინამდვილეში. ამ ტურნირს სულ სხვა განწყობით მივუდგებით, ვიდრე, ვთქვათ, "აუგსბურგთან" მატჩს. ეს სულ სხვა დონეა, მადრიდში თავს ვერ შევირცხვენთ", – ამბობს ჯოვანი ელბერი.

პრობლემების მიუხედავად, მიუნხენის "ბაიერნი", ექსპერტთა უმეტესობის აზრით, გერმანიის ჩემპიონის ტიტულის უპირველესი ფავორიტია.

### ლევერკუზენის "ბაიერი"

ეს ყველაფერი ხომ ასე კარგად დაიწყო: 8,5 მილიონ ევროდ ლევერკუზენელებმა ბრაზილიელი თავდამსხმელი ფრანკა შეიძინეს (ამის შესახებ "24 საათი" იუწყებოდა). ფრანკაზე კლუბი დიდ იმედებს ამყარებდა. სულ ცოტა ხნის წინათ მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ხარობდა, რომ, როგორც იქნა, გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრება. ყოველივე ამის შემდეგ ლევერკუზენის "ბაიერს" დიდი "უბედურება" დაატყდა თავს: ბუნდესლიგის მომავალი გათამაშების სასტარტო მატჩში კოტბუსის "ენერგიას" წინააღმდეგ ფრანკა მოედანზე ვერ გამოვა.

ბრაზილიელს, რომელიც "ლევერკუზენში" "სან პაულუდან" გადმოვიდა, წინასწარი სამედიცინო გამოკვლევის მიხედვით, კუნთი აქვს გაწყვეტილი.

"ფრანკას სიმშვიდე სჭირდება. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ხნით გამოგვაკლდება ის. ამას მხოლოდ დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ გავიგებთ", - განაცხადა "ბაიერის" პრეს-ატაშემ ულრიხ დოსტმა.

თუ ექიმების მიერ დასმული წინასწარი დიაგნოზი გამართლდა, ფრანკას გრძელვადიანი პაუზა ელოდება. ეს კი ტოპმიოლერის გეგმებს ძირფესვიანად შეცვლის. ფრანკას შეტევის ცენტრში ადგილი გარანტირებული ჰქონდა, თავდასხმაში ის გუნდის მთავარი იმედი იყო.

26 წლის ფრანკა, რომელსაც ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში რვა მატჩი აქვს ჩატარებული, ტოპმიოლერის ვეტერან ულფ კირსტენის შემცვლელად ესახებოდა. ახლა კი სავსებით შესაძლებელია, რომ კირსტენი კვლავ ლევერკუზენელთა ძირითადი შემადგენლობის ვიხილოთ. "ბაიერი" ბუნდესლიგაში "მარადიული მეორედ" არის განთქმული. თუ ფრანკა დროზე ვერ გამოჯანმრთელდა, სავსებით მოსალოდნელია, რომ ტრადიცია არც წლევანდელ სეზონში დაირღვევა.

### დორტმუნდის "ბორუსია"

ბრაზილიელი ამოროზო ბუნდესლიგის გასული სეზონის ბომბარდირია 18 გატანილი გოლით. თავდამსხმელი დორტმუნდელთა მთავარი იმედია მომავალ ჩემპიონატშიც. მაგრამ, თუ გაზეთ "ბილდს" დავუჯერებთ, მაშინ "ბორუსიას" იმედები ნამდვილად გაცრუებულა, რადგან გაზეთი ამორუზოს მძიმე ტრავმის შესახებ იუწყება. "ბილდის" ცნობით, ბრაზილიელს სამ-თვიანი იძულებითი პაუზა ელის.

თუმცა, თავად დორტმუნდელები "ბილდის" ინფორმაციას არ ეთანხმებიან. "ვერ დავადასტურებ, რომ ტრავმა მართლაც ასე სერიოზულია. ეს ჯერ კიდევ არ არის ცნობილი", - ამბობს სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი. კლუბის პრეს-ატაშე იოზეფ შნეკი კი აცხადებს: "ის, რაც სტატიაში ეწერა, სინამდვილეს არ შეეფერება."

ამოროზო დორტმუნდელთა ერთადერთი თავსატეხი როდია: ტრავმები აწუხებთ კრისტიან ვორნსს, ჰაიკო ჰერლიხს, დედეს, ჟუზუფ რეინხს და კაპიტან შტეფან როიტერს. ერთადერთი, რაც "ბორუსიას" ამშვიდებს, ის არის, რომ მეკარე იენს ლემანი, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ, კვლავ შეუდგა ვარჯიშს.





*მარსიო ამოროზო*

REUTERS

კალათბურთი

# მარკოიშვილი სერია A-ში ითამაშებს?

მიხეილ აბაიშვილი


მანუჩარ მარკოიშვილი

ბათუმის "ბასკოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მანუჩარ მარკოიშვილი მომავალი სეზონიდან, შესაძლოა, იტალიაში ვიხილოთ. სავარაუდოდ, იგი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, ტრევიზოს "ბენეტონში" გააგრძელებს საკლუბო კარიერას. ყოველ შემთხვევაში, სპორტულმა სააგენტოებმა უკვე გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ბენეტონმა" მარკოიშვილთან 8-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. იმისთვის, რომ ტრანსფერი განხორციელდეს, იტალიის კალათბურთის ფედერაციამ საქართველოს ანალოგიური უწყებიდან მარკოიშვილის გათავისუფლების ფურცელი უნდა მიიღოს. ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარისთვის დავუკავშირდით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორს მერაბ რატიშვილს, რომელმაც შემდეგი განგვიცხადა: "იტალიის კალათბურთის ფედერაციიდან მარკოიშვილის გათავისუფლების ფურცლის გაცემის მოთხოვნით ჯერ არ მოუმართავთ. ამ ფურცლის გარეშე კი იტალიის კალათბურთის ფედერაციას უცხო ქვეყნის კალათბურთელის იტალიის ჩემპიონატში მოთამაშედ დარეგისტრირების უფლება არა აქვს. ასე რომ, ჯერჯერობით მარკოიშვილს იტალიის ჩემპიონატის მოთამაშედ ვერ ჩავთვლით. იტალიელები ამ ფურცლის გაცემის მოთხოვნით, ალბათ, უახლოეს დღეებში მოგვმართავენ. იმისთვის, რომ ჩვენ გათავისუფლების ფურცელი გავცეთ, ფიბა-ს წესდებით გათვალისწინებული პროცედურა უნდა შევასრულოთ. კერძოდ, გავარკვიოთ, აქვს თუ არა მარკოიშვილთან რაიმე პრეტენზია მის კლუბს – ბათუმის "ბასკოს". თუ პრეტენზია გამოითქმება, მაშინ "ბასკოს" პრეტენზიის საფუძვლიანობის დასაბუთება მოუწევს და ჩვენ ყოველივეს ვაცნობებთ იტალიელ კოლეგებს, ხოლო თუ "ბასკოს" მარკოიშვილთან და მის მომავალ გუნდთან სადავო არაფერი ექნება, ჩვენ გათავისუფლების ფურცელს გავცემთ.

**- მარკოიშვილი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა. ასეთ ასაკში ფიბა საერთაშორისო ტრანსფერებს არ კრძალავს?**

- ფიბა-ს დებულებაში ცალკე პუნქტია ასაკობრივი ლიმიტის თაობაზე. თუ კალათბურთელი არ არის ცხრამეტი წლის, მისი საერთაშორისო ტრანსფერი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმდებიან იმ ქვეყნების კალათბურთის ფედერაციები, რომელთა კლუბებიც ახორციელებენ ტრანსფერს. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, თანახმა იქნება თუ არა "ბასკო" მარკოიშვილის გაშვებაზე, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, ფიბას დებულების და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, გადაწყვეტს, გასცეს თუ არა გათავისუფლების ფურცელი.

**- იტალიის რომელი კლუბი იწვევს მარკოიშვილს?**

- იტალიიდან ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ მიგვიღია. მეც მხოლოდ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან შევიტყვე, რომ მარკოიშვილი "ბენეტონში" გადადის. ამ ეტაპზე უფრო ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ.

**- თუ ტრანსფერი განხორციელდა, კალათბურთელის კონტრაქტში გათვალისწინებული იქნება თუ არა საქართველოს ნაკრების ინტერესები?**

- მარკოიშვილი ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების წევრი და ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ფიბა-ს დებულებით, ევროპის ნებისმიერი კლუბი ვალდებულია, თამაშამდე 72 საათით ადრე გამოუშვას კალათბურთელი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფიბა-ს მიერ აღიარებულ ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობს. ასეთი ტურნირებია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და უფროსებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბს დიდი ფინანსური ჯარიმა ელის. ამდენად, კონტრაქტში სპეციალური პირობის ჩადება არ არის საჭირო.

საწყლოსნო სპორტი

# წყალს გატანებული მტრობა

## საუტინი და ბაიბაკოვი დაძმობილდნენ

გიგა გურასაშვილი


ტელოკი და რუპრატი
REUTERS

დაახლოებით ათი წლის წინათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანია ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებოდნენ. მათ შორის დაპირისპირება ყველაზე მეტად სპორტში აისახებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ ბერლინის კედელი ისევ თავის ადგილზეა და მიმდინარეობს საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატი. უდავოა, სტივ ტელოკსა და ტომას რუპრატს შორის დაპირისპირება გაცილებით უფრო მძაფრი იქნებოდა, ვიდრე, უბრალოდ, ასპარეზობა. თითოეული მათგანი საკუთარი ხელისუფლების წნეხის ქვეშ მოხვდებოდა. რუპრატს დემოკრატიული დასავლეთის ფასეულობებისა და, შესაძლოა, თავისუფალი სამყაროს უპირატესობის ტვირთი უნდა ეზიდა, ხოლო ტელოკისკენ კომუნისტური გერმანიის (ისევე როგორც საბჭოეთის) მზერა იქნებოდა მიპყრობილი და იგი ყველანაირად ეცდებოდა საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას. საბედნიეროდ, ბერლინის კედელი აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ სპორტული ჟინი, რომელიც ბერლინის საცურაო აუზს არ სცილდება.

50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ტელოკსა და რუპრატს შორის "მტრობა" სულ რაღაც 25,05 წამს გაგრძელდა. ასპარეზობის შემდეგ კი მეგობრები გადაეხვივნენ და წარმატებები უსურვეს ერთმანეთს.

"ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს და ყოველთვის ბედნიერები ვართ, როდესაც ერთმანეთის წარმატება გვესმის", - ამბობს გამარჯვებული რუპრატი.

ვარჯიშისგან თავისუფალ დროს რუპრატი სადაზღვევო აგენტის სპეციალობას ეუფლება და შემოსავლის წყაროდ საკუთარი გარეგნობაც გაუხდია. ახლახან ერთ-ერთი გერმანული ჟურნალის გარეკანზე დედიშობილა გამოიჯგიმა და ამით ჰომოსექსუალისტთა ინტერესის არეალშიც მოხვდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ მომხდურთაგან თავის დასაცავად ახლა პოლიციის დაცვას საჭიროებს.

"ცხოვრებაში ასეთი რამ არასდროს გადამხდენია თავს. მე და ტელოკს მხოლოდ ჯანსაღი მეგობრობა გვაკავშირებს. თუკი რამ გვაინტერესებს, ეს ჩვენი მეგობარი გოგოები არიან და არა ბიჭები", - განმარტავს რუპრატი.

მიუხედავად იმისა, რომ წყალში მხტომელ რუსებს მედლების საკმაოდ მძიმე ყულაბა აქვთ, სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულად ხტომაში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა წყალში საჩემპიონოდ პირველად ისკუპეს. ასპარეზობის მეოთხე დღეს დმიტრი საუტინისა და დმიტრი ბაიბაკოვის წყვილმა ნავსი გატეხა.

საქმე ისაა, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საუტინი ალექსანდრ დობროსკოკთან იყო შეწყვილებული. მაშინ მათმა ტანდემმა ვერცხლი მოიპოვა. მერე კი საუტინის მეწყვილეს მხარზე ოპერაცია გაუკეთეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დობროსკოკს, სულ ცოტა, სეზონი უნდა გამოეტოვებინა, თუმცა, საუტინს ამაზე დიდად არ უნაღვლია, რადგან საშუალება მიეცა, ინდივიდუალურ სახეობებში ეასპარეზა. სინქრონული ხტომები კი, როგორც თავად განაცხადა, დიდ დროს ართმევდა. მოგვიანებით მას შესთავაზეს, ვარჯიში განეახლებინა და მეწყვილედ ბაიბაკოვი შეურჩიეს. საუტინისა და ბაიბაკოვის დუეტმა წლეულს რამდენჯერმე "გრან-პრიზეც" იასპარეზა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. მსოფლიო თასზეც გამოვიდნენ და არც იქ დარჩენილან უმედლოდ. რაც შეეხება კონტინენტის პირველობას, ეს ამ წყვილისთვის პირველი სერიოზული გამოცდა გახლდათ. თანაც, ჭიდილი მოუხდათ ისეთ მეტოქეებთან, ვისაც ერთხმად ფავორიტებად მიიჩნევდნენ.

"საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ, რატომღაც, დიმაზე ვღელავდი. ის უკვე ჩემი მესამე პარტნიორია. ადრე ვასია ლისოვსკისთან ერთად გამოვდიოდი, მერე - დობროსკოკთან. მასთან ერთად მიმართლებდა "გან-პრის" ეტაპებზე. აი, ჰელსინკის ევროპის ჩემპიონატზე კი ამჟამინდელ გერმანელ მეტოქეებთან -ანდრეას ველსისა და ტობიას შელენბერგის ტანდემთან დავმარცხდით", - განვლილ გზაზე გვიყვება საუტინი.

Formula 1

# ფორმულამ ჩინეთამდე მიაღწია

დიდი ხანია, ჩინეთი ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად იბრძვის. და აი, როგორც იქნა, მიზანს მიაღწია. 2004 წლიდან ფორმულა 1-ის რბოლები ჩინეთში, კერძოდ , შანხაიში გაიმართება. ექვსწლიან ხელშეკრულებას ამის შესახებ ორი დღის წინ მოეწერა ხელი. ტრასის მშენებლობა ახლო მომავალში დაიწყება და 240 მილიონი დაჯდება. როგორც შანხაის მერი ჩენ ლიან ჟუ აცხადებს, მშენებლობა 2004 წლის დასაწყისისთვის დასრულდება.

რაც შეეხება თავად რბოლას, ის სეზონის მეორე ნახევარში გაიმართება.

# ფრენცტცენის მომავალი გაურკვეველია

გერმანელი პილოტის, ჰაინც ჰარალდ ფრენტცენის ბედი ჯერაც გაურკვევლია. სპორტული გამოცემები ერთი მეორის საწინააღმდეგო ვერსიებს ავრცელებენ მისი მომავალი გუნდის თაობაზე. მაგალითად "მოტორსპორტ აქტუელი" წერს, რომ ფრენტცენი უნგრეთის დიდ პრიზზე "ზაუბერის" ღირსებას დაიცავს და ბრაზილიელ ფელიპე მასას შეცვლის, შვეიცარიული "ბლიკი" კი მიიჩნევს, რომ ფრენტცენი უნგრეთში ისევ "ეროუზით" იასპარეზებს და ფრანგი სებსასტიან ბურდეს ნაცვლად გამოვა. გერმანული "ველტი" სრულიად საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს, რომლის მიხედვითაც ფრენტცენი უნგრეთში "ეროუზის" პილოტი იქნება, შემდეგ კი "ტოიოტაში" გადავა. "ბილდის" ინფორმაციას თუ ვენდობით, გერმანელმა უკვე გაწყვიტა "ეროუზთან" ყოველგვარი ურთიერთობა და ამ გუნდის სახელით აღარასოდეს გამოვა.

თავად პილოტი ყოველგვარი კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებს. ფრენტცენი ამჟამად სამხრეთ ესპანეთში იმყოფება ოჯახთან ერთად და 18 აგვისტომდე ისვენებს. 18 აგვისტოს კი, როგორც მოგეხსენებათ, "ჰუნგარორინგი" იღებს სტარტს.

# „ფერარი" ბარიკელოს ეხმარება

მას შემდეგ, რაც გერმანელმა მიხაელ შუმახერმა ნაადრევად გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონობა, "ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი აცხადებს, რომ გუნდი ყველაფერს იღონებს, რათა მეორე პილოტმა, ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავოს.

ბრაზილიელი ამჟამად მეოთხე ადგილზეა, თუმცა, მეორე ადგილზე მყოფ ხუან პაბლო მონტოიას ხუთი, მესამეზე მყოფ რალფ შუმახერს კი ერთი ქულით ჩამორჩება.

ჩოგბურთი

# რუმინეთის ჩემპიონატი სახეს იცვლის

ჩოგბურთში რუმინეთის ღია ჩემპიონატის დირექტორის დუმიტრუ ხარადაის თქმით, ფინანსური პრობლემების გამო ტურნირმა, შესაძლოა, სახე იცვალოს და უნგრეთის ღია პირველობის სახით მოევლინოს საჩოგბურთო სამყაროს. გასულ წლებში ტურნირის ფინანსური ზარალი დაახლოებით 250 000-300 000 დოლარი იყო, რასაც თავისი ჯიბიდან ფარავდა რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე იონ ცირიაკი. ცხადია, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და დღის წესრიგში დადგა საკითხი, ტურნირის ჩატარების უფლება უნგრეთისთვის მიეყიდათ.

თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ნავარაუდევია, მომავალ წელს ჩოგბურთის მოყვარულთ რუმინეთის კი არა, უნგრეთის ღია ჩემპიონატისთვის მოუწევთ თვალყურის დევნება. წლეულს კი მასპინძელი ისევ რუმინეთი იქნება.

# ბეკერი ქველმოქმედებას ეწევა

ბორის ბეკერი, რამდენადაც ცნობილი და სახელგანთქმული ჩოგბურთელი იყო წარსულში, იმდენად სკანდალური პიროვნება გახდა სპორტიდან წასვლის შემდეგ. იგი ხან ცოლთან დაკავშირებული სკანდალებით და გაყრის აჟიოტაჟით იქცევდა საზოგადოების ყურადღებას და ხანაც გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობისა და დაპატიმრების პერსპექტივის გამო.

ჩოგბურთელი ხანდახან ცდილობს, "ცუდი ბიჭის" "საპატიო" წოდებისგან გათავისუფლდეს, მაგრამ ამის გაკეთებას სამწუხაროდ, ვერ ახერხებს. ასე მაგალითად, როცა ექსჩოგბურთელმა გაიგო, რომ ჰამბურგის მასტერსის ტურნირს უსახსრობის გამო დახურვა ემუქრებოდა, გადაწყვიტა, ქველმოქმედება გამოეჩინა და ტურინირი გადაერჩინა. ბეკერი და მისი ფირმა, რომელიც შვეიცარიაში მდებარეობს, სერიოზულად ცდილობენ ჰამბურგის ტურნირის ფინანსური პრობლემების მოგვარებას.

ცურვა

# „ოქროს" უარი

ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე შეკრებილი პუბლიკა მოუთმენლად მოელოდა სკანდალურად სახელგანთქმული გერმანელი მოცურავის, ფრანცისკა ვან ალმსიკის მორიგ ოქროს მედალს, მაგრამ ფრანციმ დამქანცველი მარათონის შემდეგ ერთი დღით დასვენება გადაწყვიტა.

24 წლის მოცურავეს შეეძლო 100 მეტრიან ბატერფლაიში ეცადა ბედი, რომელიც მისი საყვარელი სტილია, მაგრამ ფრანცისკამ ამჯობინა, დაძაბული სხეულისთვის განტვირთვის ბედნიერება მიენიჭებინა და 200 მეტრიანი თავისუფალი სტილისთვის მომზადებულიყო. ფრანცისკა იმედოვნებს, რომ ამ დისტანიციასაც იოლად გაუსწორდება და კიდევ ერთ ოქროს მედალს მოიპოვებს.



# ელვის პრესლის ნამდვილი სიყვარულის ისტორია

ელვის პრესლის ყოფილი მეუღლე, პრისცილა საზოგადოების წინაშე ახალი ინიციატივით წარსდგა. ის აპირებს, ელვისთან რომანის თემა მიუზიკლის შესაქმნელად გამოიყენოს. შოუს, მუსიკოსის გარდაცვალების დღისთვის, 16 აგვისტოსთვის გადაიღებენ. პრისცილას იდეას სისრულეში მოიყვანს კომპანია Immortal Entertainment. პროექტი ძალიან ემგვანება ჰიტად ქცეულ მიუზიკლს, Mamma Mia! რომელიც Abba-ს სიმღერებზეა აგებული. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, შევა თუ არა მიუზიკლში პრესლის სიმღერები. შოუს მიზანი ხომ პრესლის მუსიკალური მემკვიდრეობის გადმოცემა არ არის, ის მუსიკოსის სასიყვარულო ცხოვრების წარმოჩენას ისახავს მიზნად. Immortal-ის პრეზიდენტის, დევიდ გოდიკოუს განმარტებით: "შოუ მთლიანად პრისცილას ვერსია იქნება. მის მიერ მოთხრობილი ისტორია. მეფე და დედოფალი. როკ-ენ-როლის დაბადება". ამ ეტაპზე კომპანია ელვისისა და პრისცილას როლების შემსრულებლების მოძებნით არის დაკავებული.

პრისცილა როკ-ენ-როლის მეფეს 14 წლის ასაკში შეხვდა. თუმცა, მათი სიყვარულისთვის ასაკს ხელი არ შეუშლია. პრისცილა ელვისის სახლში გადავიდა, თან საშუალო სკოლაშიც აგრძელებდა სწავლას. წყვილი მაშინვე დაქორწინდა, როგორც კი პრისცილა 21 წლის გახდა. თუმცა, მათ რომანს ბედნიერი დასასრული არ ჰქონია – ისინი 1973 წელს განქორწინდნენ. ელვისთან დაშორების შემდეგ პრისცილამ მსახიობის კარიერა გაიკეთა. ის წარმატებით თამაშობდა "შიშველი თოფის" კომედიებში.



ელვის პრესლი თავის პირველ მეუღლესთან, პრისცილასთან ერთად

## სკანდინავიური კროსვორდი




**N 61-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი**

**თარაზულად**: ფსიტი; პასტორი; ბადე; კერი; საშლელი; ცეცე; ბომონდი; უშუ; აკა; სუმო; აკვანი; რეზინი; გნუ; ნოტა; ოპცია; იორკი;. ლეო; აზიმუტი; დი; პეტროფი; სპა; ჩა; არხი; ულისე; ბზა; მახრა; კაფია; ზებუ; ნერონი; ოკამი; ორი; გოგია.

**შვეულად:** ცარცი; პარსეკი; ოპერა; ატაშე; როკერი; სეტი; მანგო; არკებუზა; აფრა; დიპლომი; ოზი; ხარჯი; ლიმონი; ურდო; იურმალა; საკანი; ლუდი; ზიკო; პო; სვე; ტერცია; პლისე; ბუმი; კეცი; კუკია; დაბა; შაგალი; ჩაი; იუნონა.

# კერე - კულტურის კერა

სამხრეთ საფრანგეთის პაწაწინა ქალაქ კერეს შუაგულში Grand Cafe დღესაც არსებობს. ოდესღაც მისი ხშირი სტუმარი თვით პიკასო იყო, ხელსახოცებზე და ქაღალდის ნაგლეჯებზე ხატავდა და იქაურებს ძალიან სასცილო კაცად მიაჩნდათ.

ხაიმ სუტინიც შერეკილად იყო ცნობილი: საღებავების ლაქებით აჭრელებულ ლურჯ კომბინიზონში გამოწყობილი თავისუფლების მოედანზე ჩამოდგებოდა და ჭადრებს ღებავდა.

კერე მე-20 საუკუნის დასწყისიდან იზიდავდა მსოფლიოს ხელოვანებს. დღეს კი ძირითადად დამთვალიერებლები ჩამოდიან, რაც მნიშვნელოვანწილად 1950 წელს დაარსებული მუზეუმის "პოლიტიკის" დამსახურებაა.

მუზეუმის დირექტორის თქმით, "თანამედროვე ხელოვნების ახალი მიმდინარეობების მიღება საკმაოდ რთულია სოფელში, რომელშიც ხელოვნება, საერთოდ,მეტისმეტად კლასიკურად და კონსერვატიულად აღიქმება". ახლანდელი გამოფენაც ასეთია: 1938 წელს სტამბოლში დაბადებული სარქისის გამოფენა "მოგზაურობა. მზე. წყვდიადი" "მეტისმეტად თანამედროვე" და "ძნელად შესაჩვევი" აღმოჩნდა. თუმცა, კერეელებს დრო ჯერ აქვთ – გამოფენა სექტებმრის ბოლომდე გაგრძელდება, ამ დროის განმავლობაში ალბათ შეეგუებიან.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ბიუჯეტი არ გააჩნია და არც სახელმწიფო უწევს დახმარებას, მუზეუმის კოლექცია საკმაოდ შთამბეჭდავია: ხელოვნების 1.600 ნიმუში, მათ შორის პიკასოს 50-ზე მეტი საჩუქარი: კერამიკული, ფერწერული, და გრაფიკული ნამუშევრები - შაგალი, მატისი, მირო...

ქალაქიც ძალიან ლამაზია: კარლოს დიდის მიერ დაარსებული კერე დღესაც იზიდავს მნახველს ისტორიული შენობებითა და ხიდებით, უზარმაზარი ჭადრებით, ღია კაფეებით და ალუბლის ბაღებით.


## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


# TV პროგრამა 3 აგვისტო

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 პოლტერგეისტი
11.00 მულტსერიალი
12.30 სერიალი "ნიკიტა"
13.30 მხ.ფილმი
15.20 სიმფსონები
16.00 მხ. ფილმი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 რუსული ფილმი
20.00 ჯეოპარდი
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "გააფთრებული დღეები"
00.15 მხ.ფ. "უჩინარი". მთ.როლებში კევინ ბეკონი, ელიზაბეტ შუ
02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00 მულტსერიალი "საბრალონი"
08.40 "მხიარული კარუსელი"
09.05 "მსოფლიოს ველური ბუნება"
10.00 "დილის პაემანი"
11.05 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა
11.25 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
11.50 "კვალი"
12.25 "საწინდარი"
12.55 რუსთაველის თეატრის სპექტაკლი "დარაბებს მიღმა გაზაფხულია"
14.35 50_50 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
15.15 მხ. ფილმი "განკითხვის დღე"
16.55 "ცოცხალი სურათები"
17.20 "ენა დედაა ერისა"
18.15 ქართული სიმღერის ფესტივალი - სულიკო
19.00 "ვესტნიკი"
19.40 ტელეზღაპარი
20.25 მღერის გუგა კიკაბიძე
22.05 "ქიმერიონი"
22.45 "მელომანია"
23.35 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 ტ.კომპანია "იბერია" - ლატარეა "მტკვარი"
00.25 მხ. ფილმი "ჯადოქარი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "მემკვიდრეობა"
21.30 დოკ. ფილმი "საუკუნის დიდებული ქალბატონები"
22.10 მხ. ფილმი "კლასი"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
16.00 ლაბირინთი
16.30 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.25 ზერკალო
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი
0.40 მხ. ფილმი "ვამპირის ჩრდილი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მეექვსე ელემენტი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "სიამოვნებათა ქუჩა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ჩანახატი
20.00 მხ.ფ. "ეს ბედია"
22.30 მხ. ფილმი "ხელოვნური გონება"
23.00 სიგარეტი "მტკვარის" ლატარეის გათამაშება (პირდაპირი ეთერი)
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
13.00 "ცენტრი" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.45 "მო" განმეორებით
15.40 "სწ.მედია" მხ.ფ.
18.00 "სველი ხაზი" განმეორებით
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 "პაპარაცები" განმეორებით
23.00 პრეს-პრესი
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ცამეტი მოჩვენება", "ორმაგი უსიამოვნება", "ცუდი კომპანია"
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "ყველა ლედი ამას აკეთებს". მთ. როლებში კლაუდია კოლი, პაულო ლანცა
03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჩიხში"
13.30 მხ.ფ. "ლამაზმანი ჯო"
15.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი"
17.00 მხ. ფილმი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 მუსიკა
21.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
22.30 მხ.ფ. "შერბურული ქოლგები"
00.20 მხ.ფ. "დრაკულა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-19 სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-19 სერია
11.45, 17.20, 18.40, 00.20 მუსიკა
11.55 მხ. ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბით" მთ. როლებში ლ. დიკაპრიო, ჟერარ დე პარტიე, ჯერემი აირონსი, ჯონ მალკოვიჩი
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45 მულტფილმი "ვარდისფერი პანტერა"
16.20 დოკ. ფილმი "დიკ ენიგტონთან ერთად"
17.45 დოკ. ფილმი "ჩინური კინო"
18.45 მხ. ფილმი "მატყუარა, მატყუარა". მთ. როლში ჯიმ ქერი
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ. ფილმი "გორტს იქით". მთ. როლებში გოლდი ჰოუნი, კურტ რასელი
00.40 მხ.ფ. "ჰამლეტი" მთ. როლებში კეიტ უინსლეტი, ჯეკ ლემონი, კენეტ ბრანა

### მეცხრე არხი

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 კომედია "თეფში"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული მხატვრული ფილმი "ჩემი გოშები"
13.40 ფილმი-კატასტროფა "დაფრენა შეუძლებელია"
15.10 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში"
17.25 მხატვრული ფილმი "სამყაროს შექმნა" 1 ნაწილი
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 ისტორიული ფილმი "ზულუსები"
22.50 Слово
00.50 დრამა "ზღვაში ჩაძირულნი"
03.30 მხატვრული ფილმი "ჰავანა"

### VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.40 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.30 რაგბი. 3 ერი. ავსტრალია - ზელანდია.
21.15 "სახლიდან გაუსვლელად"
21.50 "საყვარელი ფილმი" - "შიშველი პისტოლეტი"
23.05 პრესის მიმოხილვა
23.15 "სახლიდან გაუსვლელად"
23.45 მუსიკალური ტაიმაუტი
00.15 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "6 დღე, 7 ღამე"
02.00 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.55 "Сверхъестественное: невиданные силы животных"
09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
09.10 "Играй, гармонь любимая!"
09.50 Слово пастыря.
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
11.45 Смак
12.05 х.ф. "БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА"
13.45 Чемпионат Европы по водным видам спорта. Финалы
14.30 Дисней-клуб
15.10 "Серебряный шар"
15.50 "БЕГЛЕЦ"
16.45 "Русский экстрим"
17.15 х.ф. "ПАПАША ИЗ НИЦЦЫ"
19.20 "Рядовой Евдокимов и его друзя". Юмористическая программа
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "ПОЕЗДКА В АМЕРИКУ"
00.40 Фестиваль в Юрмале. третий тур.
02.45 х.ф. "НЕЗАМУЖНЯЯ ЖЕНЩИНА

### РТР

07.30 х.ф. "НАСТЯ"
09.00 Здоровье и жизнь
09.35 Золотой ключ
09.55 Доброе утро, страна!
10.30 "Вокруг света"
11.30 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ, ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.55 Телеигра "Сто к одному"
12.45 х.ф. "ДОМ НА ПАРОХОДЕ"
15.00, 21.00 Вести
15.20 х.ф. "ОДИНОЖДЫ ОДИН"
17.00 Футбол. Чемпионат России. "Спартак" - "Динамо"
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 х.ф. "МИССИА НА МАРСЕ"
23.35 х.ф. "АФЕРА"
01.30 х.ф. "ПИТОН"

### НТВ

08.00 х.ф. "ФАНТАЗИЯ НА ТЕМУ КАЗАНОВЫ"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 фильм "ВЕСЕЛЫЕ РЕБЯТА"
11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
12.20 "Квартирный вопрос"
13.20 фильм "В ЗОНЕ ОСОБОГО ВНИМАНИЯ"
15.15 Вкусные истории
15.35 Путешествия натуралиста
16.05 Своя игра
17.25 "Неизвестная планета"
18.20 Чистосердечное признание
18.50 "Женский взгляд"
19.25 Вы будете смеяться!
20.35 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
21.40 фильм "ОСТРОВ ГОЛОВОРЕЗОВ"
00.10 Бокс
00.50 фильм "АТЛАНТИДА"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"